აჭარელი ჯარისკაცები და ირლანდიური "მამლუქი" A3
გაფართოებული ევროპა A8
გულახდილად B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — შაბათი, 1 მაისი, 2004 წელი. №102 (651) — ფასი 50 თეთრი

# აბაშიძის რეჟიმის აგონია

სოფო ბუკია

გუშინ ბათუმში, უზენაესი სასამართლოს წინ გამართული მიტინგი სპეცდანიშნულების რაზმმა, შინაგანი ჯარის ნაწილებმა, პოლიციამ და სამთავრობო დაცვამ ერთობლივი ძალისხმევით დაარბიეს. სასამართლოსთან შეკრებილი მომიტინგეები უკანონოდ დაკავებული, "ჩვენი აჭარას" ლიდერების ჯემალ ქიქავას, ვაჟა თავართქილაძის, თამაზ ხოზრევანიძისა და კიდევ რამდენიმე პირის გათავისუფლებას ითხოვდნენ.

"სამართალდამცავთა" საქმიანობის შედეგად, აჭარის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ათობით ადამიანი მოათავსეს. ერთ-ერთი ქალბატონი ლეილა ჩხეიძეა, იგი არასამთავრობო ორგანიზაცია "მანდილის" წევრია და როგორც თავად აცხადებს, სასამართლოს შენობასთან უკანონო პოლიტპატიმრების გათავისუფლების მოთხოვნით მივიდა. მას აქვს მოტეხილობა და ღრმა ჭრილობები თავის არეში.

გაგრძელება A3 გვერდზე



მშვიდობიანი მანიფესტაციის დარბევა



დარბევის შედეგები

## პატრიარქი ჰიმნის ტექსტს აფასებს

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II საქართველოს პარლამენტს წერილით მიმართა**

**მის აღმატებულებას, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს, საქართველოს პარლამენტის წევრებს.**

თქვენო აღმატებულებავ, ქალბატონო ნინო!

ჩვენ გავეცანით ბატონ დავით მაღრაძის მიერ წარმოდგენილ საქართველოს ჰიმნის ტექსტის პროექტს და მიგვაჩნია, რომ შესაძლებელია საქართველოს ჰიმნად მისი მიღება.

ღმერთმა დაგლოცოთ!

**ღრმა პატივისცემით,**
**ილია II**
**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი**
**30 აპრილი, 2004 წელი**

## დღეს ევროკავშირს ათი ქვეყანა შეემატა

"ეს ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ამაღელვებელი დღეა. დღეს შემიძლია ვთქვა, რომ თავისუფლებასა და დემოკრატიაზე მთელი თაობების ოცნება ასრულდა," - ჩეხეთის ელჩმა ირჟი ნეკვასილმა ეს სიტყვები მას შემდეგ წარმოთქვა, რაც საქართველოში ევროკომისიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ტორბენ ჰოლცემ მას ევროკავშირის დროშა გადასცა.

ჩეხეთი პოლონეთთან, ესტონეთთან, ლიტვასთან, ლატვიასთან, უნგრეთთან, კვიპროსთან, მალტასთან, სლოვაკეთთან და სლოვენიასთან ერთად, პირველ მაისს ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი ხდება.

წლევანდელი გაფართოება სათავეს 1989 წელს ბერლინის კედლის დანგრევიდან იღებს. 1992 წლის 22 ივნისს კოპენჰაგენში ჩატარებულმა ევროპულმა საბჭომ პირველად განაცხადა: ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ასოცირებული ქვეყნები, რომელთაც ევროკავშირში გაერთიანება სურთ, გახდებიან მისი წევრები.

გაგრძელება A8 გვერდზე



გაფართოებული ევროკავშირი.

## "ცეცხლის ხაზზე" პირველად საზღვაო დესანტი გადის

კობა ლიკლიკაძე
"რადიო თავისუფლება"
სპეციალურად "24 საათისათვის"
ფოთიდან

*ფართოდ რეკლამირებული კომპლექსური სამშვიდობო სწავლება "დიოსკურია 2004" ფოთში ქართული არმიის დღეს, 30 აპრილს ყოველგვარი ზეიმის გარეშე გამოცხადდა გახსნილად. საკუთარ პროფესიულ დღესასწაულს 13 წლის ქართული არმიის ელიტური სახმელეთო ქვედანაყოფები, ავიაცია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი პოლიგონებზე და სრულ საბრძოლო მზადყოფნაში ხვდებიან.*

სამხედრო სწავლება "დიოსკურია 2004" ფოთში, ყულევში, მერიასა და კოპიტნარში 30 აპრილს ერთდროულად გაიხსნა. სწავლების დამამთავრებელი ფაზა, რაც ყველა სამხედრო კომპონენტის ერთდროულ მოქმედებას გულისხმობს, 2 მაისს სწორედ ფოთთან ახლომდებარე ყულევის პოლიგონზე ჩატარდება. სწავლების შტაბის გადაწყვეტილებით, 30 აპრილს ფოთის სამხედრო ნავსადგურიდან

გაგრძელება A3 გვერდზე

### პოლიტიკა

## აფხაზეთის დეპუტაციის ბედის სიმღერა

აფხაზეთის დეპუტაციას გუშინდლამდე კიდევ ჰქონდა მცირე შანსი იმისა, რომ საქართველოს პარლამენტში ყოფნის 12-წლიან უწყვეტ სტაჟს კიდევ ოთხი წლით გაიხანგრძლივებდა, მაგრამ ეს შანსი, ფაქტობრივად, ნულამდე დავიდა.

A3

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 18 | წვიმა |
| ქუთაისი | 14 | წვიმა |
| ბათუმი | 11 | წვიმა |
| სოხუმი | 14 | წვიმა |
| ფოთი | 13 | წვიმა |
| თელავი | 16 | წვიმა |
| ზუგდიდი | 15 | წვიმა |
| გორი | 13 | წვიმა |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9800 |
| ევრო | 2.3610 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4998 |
| რუბლი | 0.0684 |

## დარიალის საგუშაგო კონტრაბანდისტებმა "აიღეს"

ინგა ალავიძე

*დარიალის ხეობაში მდებარე საქართველო-რუსეთის საზღვარი - დარიალის საგუშაგოს მიმდებარე ტერიტორია - უკვე ორი კვირაა სატვირთო მანქანების სადგომად იქცა. ორი კვირაა საქართველოს საზღვარზე ღამეს ათევს სხვადასხვა სახის პროდუქციით დატვირთული 70-მდე ტრაილერის მძღოლი, რომლებიც ტვირთის მეპატრონეებს ელოდებიან.*

საქმე ისაა, რომ სასაზღვრო დეპარტამენტის მიერ რამდენიმე დღის წინ დარიალის საკონტროლო-გამშვები პუნქტის მიმდებარე ტერიტორიის - საქართველოს საზღვრის - გასასუფთავებლად დაწყებულ ღონისძიებებს სერიოზული სკანდალი მოჰყვა. უფრო ზუსტად, აქამდე ტრადიციული უკანონო მსვლელობები - კონტრაბანდული საქონლით დატვირთული ტრაილერების მოძრაობა - სასაზღვრო დეპარტამენტის თავმჯდომარის ბადრი ბიწაძის ბრძანების საფუძველზე დაიბლოკა.

გაგრძელება A7 გვერდზე



მონიკა ბახაიძის ფოტო

"სახელმწიფო საზღვარი ბაზარი არ არის" - ამბობს დარიალის საგუშაგოს კომენდანტი.

## 2004 წლის ბიუჯეტის ხარჯები

თამარ ხორბალაძე

*პარლამენტის ბიურომ გუშინ ბიუჯეტის დაჩქარებული წესით განხილვის საკითხი განიხილა. გუშინ გადაწყდა, რომ მომავალ სასესიო კვირას პარლამენტი მხოლოდ ერთი დღით იმუშავებს და ამ დღეს კომიტეტების წესდებებსა და ცალკეულ დეპუტატთა უფლებამოსილების საკითხს განიხილავს. სამშაბათსვე (ოღონდ, არა სესიაზე) აქვს დაგეგმილი საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს რომან გოცირიძეს 2004 წლის ბიუჯეტის პრეზენტაცია. მომავალ კვირასვე "გადაურბენენ" ბიუჯეტს საპარლამენტო კომიტეტები, უკვე შემდეგ არასასესიო კვირას კი, სავარაუდოდ, შეიკრიბება საგანგებო სხდომა, რომელიც ბიუჯეტის საკითხის განხილვას დაიწყებს.*

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ამბები — A3 პოლიტიკა — A4 ეკონომიკა — A5 უცხოეთი — A6 საზოგადოება — A7 სამართალი — A8 ევროპა
B2 რევიუ — B3 ინტერვიუ — B4 სპორტი — B5 სპორტი — B6 კვირა — B7 ინტერვიუ — B8 სხვადასხვა

# აურზაური ლაგოდეხის საბაჟოზე



*რამდენიმე საათის განმავლობაში სოფელ აფენის მოსახლეობამ აზერბაიჯანისკენ მიმავალი გზა გადაკეტა.*

*გუშინ დილიდან ლაგოდეხში, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან პოლიციასა და მოსახლეობას შორის ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. აურზაურის მიზეზი, ამავე რაიონის მკვიდრი, საპარალამენტო არჩევნების მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, ბიზნესმენი ისაკო ცქიფურიშვილი იყო, რომელმაც რამდენიმე დღის წინ საზღვარზე 60 ლიტრი განუბაჟებელი დიზელის საწვავის გადმოტანა სცადა, რასაც საბაჟოს თანამშრომლებთან სიტყვიერი შეხლა-შემოხლა და შენობის მინების ჩამომსხვრევა მოჰყვა. ამ ყველაფრის შედეგად კი, ცქიფურიშვილი დააკავეს. ცქიფურიშვილის ოჯახის წევრები ამ ფაქტს პოლიტუკურ შეკვეთად ნათლავენ.*

ლაგოდეხის მაჟორიტარ დეპუტატს ლაშა ნაცვლიშვილს და ისაკო ცქიფურიშვილს შორის დაპირისპირებამ თავი ჯერ კიდევ 2 ნოემბრის არჩევნების წინ იჩინა. კონკურენტები ერთმანეთის ჩამოსაშორებლად ყველანაირ ზომებს მიმართავდნენ. ჯერ იყო და მაშინდელმა სამართალდამცავებმა უშიშროების ყოფილი მინისტრის მოადგილის საპატივსაცემოდ ცქიფურიშვილის საარჩევნო შტაბის უფროსი გაიტაცეს, შურისძიების მიზნით კი დეპუტატობის კანდიდატმა ისაკო ცქიფურიშვილმა, ნაცვლიშვილის მიმართ სკანდალური განცხადებები გააკეთა. მიუხედავად იმისა, რომ გამარჯვებულად ბოლოს ნაცვლიშვილი გამოცხადდა, როგორც ცქიფურიშვილის ახლობლები აცხადებენ, ყველაფერი ამით არ დასრულებულა.

გუშინ ლაგოდეხის პოლიციამ ისაკო ცქიფურიშვილი დააკავა. მიზეზად კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორი დღის წინ ცქიფურიშვილის მიერ ლაგოდეხი-აზერბაიჯანის საზღვრიდან საწვავის უკანონოდ გადმოტანა და ხულიგნობა სახელდება. ყოფილმა დეპუტატობის კანდიდატმა ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მებაჟეებს, შემდეგ კი ძალის დემონსტრირება შენობის მინების ჩამტვრევით სცადა. "ჩვენ კანონი გვიკრძალავს ულიცენზიოდ და განუბაჟებელი საწვავის გატარებას. იმის გამო, რომ ცქიფურიშვილს უარი ვუთხარით, [illegible]," - გვეუბნება ლაგოდეხის საბაჟო პუნქტის ახალმა უფროსმა ზაზა ნაცვლიშვილმა.

როგორც [illegible], ცქიფურიშვილი შარში 60 ლიტრი დიზელის საწვავის გამო გაეხვა. დაკავებულის ახლობლები აცხადებენ, რომ მომხდარი ფაქტი პოლიტიკურ შეკვეთას უკავშირდება. **"ამ ადგილზე თითქმის ყოველ დღე ასეთი ამბავია. სიმართლე კი ის არის, რომ ნაცვლიშვილს [illegible] ის სიმართლე, რომელიც "რუსთავი 2"-ის ეთერით გავიდა. "ჩვენ კი ისაკოს დასაცავად ყველანაირ ზომებს მივმართავთ"**, - აცხადებს სოფელ აფენის მოსახლება, რომელმაც თავისი პროტესტი გუშინ აზერბაიჯანისკენ მიმავალი გზის გადაკეტვით დააფიქსირა. აქცია მოსახლეობასა და პოლიციას შორის ხელჩართული ბრძოლით გადაიზარდა და რამდენიმე საათის შემდეგ დაიშალა. რაიონის პოლიციის უფროსი [illegible] ცქიფურიშვილის ახლობლების მიერ [illegible] პრეტენზიებს უსაფუძვლოდ უწოდებს და აცხადებს, რომ **"ცქიფურიშვილის მიერ ჩადენილი საქციელი ხულიგნობაა და იგი ამისთვის საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით მოიხდის სასჯელს."**

*ზვიად რუაძე, კახეთიდან*

# გამგებლები ჯართზე ნადირობენ, პროკურატურა - გამგებლებზე

*უკვე მეორე შემთხვევაა, როცა გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებული პუბლიკაციის საფუძველზე კახეთში ჩინოვნიკებს აკავებენ. გუშინ გურჯაანის პროკურატურამ სოფელ ვაზისუბნის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი მერაბ მახარაშვილი დააკავა.*

სოფელ ვაზისუბნის გამგებლის, ზაქარია მჭედლიშვილის დაპატიმრების შემდეგ, ამჯრად უკვე მის მოვალეობის შემსრულებელს, მერაბ მახარაშვილს აკავებენ. **"მის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების გამო,"** - ამბობს გურჯაანის პროკურორი რევაზ ჩივიაშვილი.

სარწყავი სისტემის უკანონოდ ამოღებას და ჯართად გაყიდვას სოფელ ვაზისუბნის მეორე ჩინოსანი ეწირება. რევაზ ჩივიაშვილის განცხადებით, ზაქრო მჭედლიშვილამდე სოფლის თავკაცი მერაბ მახარაშვილი იყო და მილების ამოღება თავდაპირველად მან დაიწყო. "მჭედლიშვილმაც და მახარაშვილმაც სახელმწიფო 100 ათასი ლარით აზარალეს."

**"სარწყავი მილების ოფიციალური ღირებულება 4 მილიონ ლარად არის შეფასებული. მჭედლიშვილის და მახარაშვილის მიერ მოწვეული აუდიტით კი 40 ათასად ჩამოფასდა,"** - აცახდებს პროკურორი. მისივე თქმით, ამ საქმეებთან დაკავშირებით გამოძიებაში წვლილი გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ პუბლიკაციასაც მიუძღვის.

ამჟამად მერაბ მახარაშვილი მეხუთე იზოლატორშია გადაყვანილი. მის ბედს კი სულ მალე, როგორც ჩივიაშვილი აცხადებს, ჩუმლაყის და ჭანდრის გამგებლებიც გაიზიარებენ.

# ოსები ქართული პოლიციის გაძლიერებას აპროტესტებენ

ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი ბორის ჩოჩიევი შეშფოთებას გამოთქვამს კონფლიქტის ზონის ქართულ სოფლებში პოლიციის განყოფილებების გაძლიერების გამო.

"ქართული მხარე კონფლიქტის ზონაში სპეცრაზმებს ქმნის. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ საქართველოს ხელისუფლება ცხინვალზე თავისი იურისდიქციის აღდგენას ძალის გამოყენებით აპირებს",- აცხადებს ბორის ჩოჩიევი.

შეგახსენებთ, რომ ბოლო ერთ კვირაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ლიახვის ხეობის სოფლების - ერედვისა და ქურთის განყოფილებებს 19 საშტატო ერთეული დაუმატა, მათვე გადაეცათ ავტომანქანები, გაიხსნა პოლიციის ახალი ქვეგანყოფილებები.

შიდა ქართლში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის მიხეილ ქარელის განცხადებით, ოსური მხარის შეშფოთება უსაფუძვლოა, პოლიციის განყოფილებების გაძლიერება კი შინაგან საქმეთა მინისტრის გადაწყვეტილებით ხდება და კონფლიქტის ზონაში კრიმინოგენული ვითარების გამოსწორებისკენ არის მიმართული.

*მედია-ნიუსი*

# აჭარაში ძალოვანთა დაპატიმრება გრძელდება

გუშინწინ, გვიან ღამით, აჭარის შს სამინისტროს თანამშრომლებმა ე.წ. "ობეერის" წევრი მალხაზ ტაკიძე და სამთავრობო დაცვის წარმომადგენელი ედუარდ ტაკიძე საკუთარ სახლებში დააკავეს. გავრცელებული ინფორმაციით, ისინი ამ დროისთვის აჭარის შს სამმართველოს წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფებიან.

შს სამინისტროში ამ ფაქტთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარის გაკეთებისგან გუშინ თავს იკავებდნენ. თუმცა შსს-ს თანამშრომლები, რომლებიც მონაწილეობდნენ მალხაზ და ედუარდ ტაკიძეების დაკავებაში და მათი სახლების ჩხრეკაში, აცხადებენ, რომ დაკავებულების სახლში "ლიმონკები" ამოაჩინეს. არაოფიციალური ვერსიით კი, ტაკიძეების დაპატიმრების საფუძველი გახდა ჩოლოქის ადმინისტრაციული საზღვრიდან მძიმე ტექნიკის ფოთში გადაყვანის მცდელობა. გუშინ აჭარის შს სამინისტროსთან შეიკრიბნენ დაპატიმრებული ტაკიძეების ოჯახის წევრები და აქცია გამართეს. მათი მტკიცებით, ტაკიძეებს სამხილები თავად პოლიციამ "ჩაუდო". შეგახსენებთ, ორი დღის წინ დააკავეს ბათუმის პოლიციის სამმართველოს ყოფილი უფროსი თამაზ ხოზრევანიძე. ჩხრეკა ხოზრევანიძეების სახლში 6 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. პოლიციელთა განცხადებით, ხოზრევანიძის საცხოვრებელ სახლში ავტომატური იარაღი და ტყვია-წამალი იპოვეს. თუმცა ოჯახის წევრები აცხადებენ, რომ იარაღი სახლის მახლობლად სპეცოპერაციის დროს თავად პოლიციელებმა ჩადეს.

*ინტერ-პრესი*

# ყოფილ პარლამენტარს პოლიციის ზედამხედველობა შეეფარდა

პარლამენტის ყოფილ წევრს თამაზ გელაშვილს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლომ გუშინ არასაპატიმრო სანქცია - პოლიციის ზედამხედველობა შეუფარდა. როგორც ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურორი თამაზ გეთია აცხადებს, არასაპატიმრო აღმკვეთი ღონისძიების შეფარდება სასამართლოში პროკურატურამ გელაშვილის საქმესთან დაკავშირებით არსებული შემამსუბუქებელი გარემოებების გამო მოითხოვა. ის გამოძიებას არ დამალვია, დანაშაულს აღიარებს და ბრალი ედება გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულში. წინასწარი გამოძიების ინფორმაციით, წლეულს, 18 თებერვალს, გამსახურდიასა და ვაჟა - ფშაველას გამზირების გადაკვეთაზე, ავტომანქანა "ვოლგაში" მჯდომმა თამაზ გელაშვილმა მისი ავტომანქანისკენ საეჭვოდ მოძრავი ადამიანი დაინახა და ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღო, რომელიც შემთხვევით გაუვარდა და ზურგის არეში დაჭრა თავისი მძღოლი დემურ ლომიძე. დაჭრილი საავადმყოფოში თავად გელაშვილმა მიიყვანა. რამდენიმე საათიანი ოპერაციის შემდეგ ლომიძე თბილისის მე-9 საავადმყოფოში გარდაიცვალა. გელაშვილის მიმართ წაყენებული ბრალი 5 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

*24 საათი*

# ქურდები ეკლესიასაც არ მოერიდნენ

გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია გაძარცვეს. ეკლესიის წინამძღვრის - მამა იოანეს კუთვნილ თანხასთან ერთად, წაღებულია თვით ეკლესიის შემოწირულობა, რომელიც 6 ათას ლარს შეადგენდა. გარდა ამისა მძარცველებმა ეკლესიიდან მოიპარეს მამა იოანეს ოქროს ნივთებიც. **"ამ ფულს აქ იმიტომ ვინახავდი, რომ, ძირითადად, ეკლესიაში ვიყავი და თავს უფრო დაზღვეულად ვგრძნობდი. მთავარი ის კი არ არის, თანხა რომ წაიღეს, აღმაშფოთებელია თვით ის ფაქტი, რომ ღვთის სახლი დაარბიეს,"** - ამბობს მამა იოანე. მომხდართან დაკავშირებით, მასალების მოკვლევას ამ დროისთვის საგამოძიებო დეპარტამენტის გურჯაანის განყოფილება აწარმოებს.

*24 საათი*

# კირსან ილუმჟინოვი ბათუმში გაფრინდა

ქალთა შორის ჭადრაკის საერთაშორისო ტურნირის თემა კვლავ სცდება სპორტის სფეროს და სერიოზული პოლიტიკური სჯა-ბაასის საგანია. წუხელ ფიდე-ს პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი დახურულ კარს მიღმა შეხვდა საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს. სააკაშვილმა ილუმჟინოვს ჩემპიონატის თბილისში ჩატარება შესთავაზა. ილუმჟინოვის განმარტებით, მან ეს საკითხი ასლან აბაშიძესთან მოლაპარაკების შემდეგ უნდა გადაწყვიტოს. ფიდე-ს პრეზიდენტმა უარყო კულუარებში გავრცელებული ვერსია ტურნირის ყალმუხეთის დედაქალაქ ელისტაში შესაძლო ჩატარების შესახებ. შეგახსენებთ, რომ ილუმჟინოვი არა მარტო ფიდე-ს, არამედ ყალმუხეთის პრეზიდენტიც გახლავთ.

*24 საათი*

# განცხადება

**სს "საქართველოს სახალხო ბანკი"-ს აქციონერთა საყურადღებოდ:**

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 20 მაისს 12.00 სთ-ზე გაიმართება სს "საქართველოს სახალხო ბანკი"-ს აქციონერთა საერთო კრება შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N74, მე-2 სართული, ბანკის სათაო ოფისი.

**დღის წესრიგი:**

1. 2003 სამეურნეო წლის ფინანსური შედეგების შესახებ;
2. ბანკის საწესდებო კაპიტალის შესახებ;
3. სხვადასხვა;

კრების მუშაობაში მონაწილეობის უფლება აქვთ იმ აქციონერებს, რომლებიც ასეთად რეგისტრირებულნი არიან 2004წ. 20 აპრილის მდგომარეობით.

აქციონერებს კრების მუშაობაში მონაწილეობის უფლება შეუძლიათ შეამოწმონ 2004 წლის 10 მაისიდან 19 მაისის ჩათვლით ბანკის აქციონერთა რეესტრის მწარმოებელ დამოუკიდებელ რეგისტრატორთან – შპს "კომპანია ცენტრი", რომლის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ი. მოსაშვილის ქ. N24

*დირექტორატი*

# "ედპ" ხელისუფლებას გონიერებისაკენ მოუწოდებს



*ბაჩუკი ქარდავა*

აჭარაში განვითარებულ მოვლენებს პოლიტიკური სპექტრი არაერთგვაროვნად ეხმაურება. მაშინ, როდესაც საქართველოს ხელისუფლება ცალსახად აცხადებს, რომ აჭარაში კონსტიტუციურ წესრიგს ნებისმიერი ხერხით დაამყარებს, ოპოზიციის წარმომადგენლები ქვეყნის ტერიტორიული რღვევის საშიშროებაზე საუბრობენ.

**"აჭარაში შექმნილი დაძაბული ვითარება უფლებას არ გვაძლევს, საკუთარი პოზიცია არ გამოვხატოთ,"** - ეს "ედპ"-ს ლიდერი ბაჩუკი ქარდავაა, რომელიც აცხადებს, რომ **"აჭარაში შექმნილი ვითარება საფრთხეს უქმნის ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას. ამ ფონზე ხელისუფლების ყოველდღიური საქმიანობა დამყარებულია ვირტუალურ პოლიტიკაზე და მხოლოდ პიარ-ღონისძიებებზე, რეალურად კი ხელისუფლება არ დგამს არც ერთ ქმედით ნაბიჯს ქვეყნის კრიზისიდან გამოსაყვანად".**

მისივე განცხადებით, ხელისუფლება **"ვალდებულია, ქვეყანა რაც შეიძლება სწრაფად გამოიყვანოს ჯერ კიდევ რევოლუციური მდგომარეობიდან და სახელმწიფომ არ დაკარგოს ის საგარეო ორიენტირი, რომლითაც საქართველო საერთაშორისო სივრცეში ინტეგრირებას ცდილობს".**

ეროვნულ-დემოკრატები წუხან, რომ, ამის სანაცვლოდ, **"ქვეყანაში ჩნდება ბევრად უფრო სერიოზული პრობლემა, რომელმაც შესაძლოა, რეგიონში კონფლიქტის გაღრმავება გამოიწვიოს და ამით საფრთხე შეექმნას ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას. აჭარის ხელმძღვანელობასა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის ძალაუფლების გადანაწილებისთვის ბრძოლა იმ ზღვარს მიუახლოვდა, როცა ადვილი შესაძლებელია, დაპირისპირება საომარ კონფლიქტში გადაიზარდოს. აჭარის რეგიონში არსებული პრობლემა გადაჭრას მოითხოვს, მაგრამ ტანკებითა და იარაღის ჟღარუნით საკითხის მოგვარება უფრო სერიოზულ პრობლემებს წარმოშობს. ასეთ ვითარებაში ხელისუფლებას და რეგიონის ხელმძღვანელობას უფრო მეტი გონიერება მოეთხოვება"**

კონფლიქტის მოგვარებას "ედპ" (ისევე, როგორც "ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი") ცენტრსა და რეგიონს შორის უფლებამოსილების გამიჯვნაში ხედავს. საქართველოს პარლამენტმა რაც შეიძლება სწრაფად უნდა შეიმუშაოს შესაბამისი კანონპროექტი, რომლის შექმნაშიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ აჭარის რეგიონის წარმომადგენლები.

საკმაოდ ნიშანდობლივია ისიც, რომ ედეპელები ხელისუფლებას "ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის შესახებ" კანონის სრულყოფას სთხოვენ, **"რის შედეგადაც ქვეყანაში განხორციელდება რეალური დეცენტრალიზაცია და აჭარის რეგიონშიც დაინიშნება ადგილობრივი თვითმმართველობისა და აჭარის უზენაესი საბჭოს ვადამდელი არჩევნები".**

სხვათა შორის, ბაჩუკი ქარდავას ეს მოთხოვნა მეტად მკვეთრი იყო; მეტიც - მისი მხრიდან მუქარაც გაისმა. როგორც ბაჩუკი ქარდავამ განაცხადა, თუ ხელისუფლება აღნიშნულ ღონისძიებებს არ განახორციელებს, "ედპ-ტრადიციონალისტების" ბლოკი რადიკალურ ზომებს მამართავს, თუმცა რა ზომებზეა საუბარი, ეს არავინ უწყის.

*24 საათი*

# "თელასს" მოგება ეცოტავება

## ეკონომიკური ექსპერტები კი ტარიფის შემცირების შესაძლებლობებზე საუბრობენ

*"თელასმა" ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდა მოითხოვა. თუ საქართველოს ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკ) კომპანიის "რაოელი" მენეჯერების მიერ შეთავაზებულ გაანგარიშებებს დაეყრდნობა, 150 დღის შემდეგ თბილისელებს ერთი კილოვატსაათი დენისთვის 4-5 თეთრით მეტის გადახდა მოუწევთ. როგორც სემეკ-ის თავმჯდომარე აკონკრეტებს, ეს, ჯერჯერობით, მხოლოდ "თელასის" სურვილია და არ ნიშნავს, რომ ტარიფი მართლაც გაიზრდება.*

მანამდე, სანამ "თელასის" ახალ ინიციატივაზე აჟიოტაჟი ატყდებოდა, "შერატონ მეტეხი პალასში" კონფერენცია გამართეს სახალხო დამცველის მოვალეობის შემსრულებელმა თემურ ლომსაძემ, სემეკ-თან არსებულმა, მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივმა დამცველმა დავით ებრალიძემ და ელექტროენერგიისა და გაზის ტარიფების შემცირების ინიციატივით გამოვიდნენ.

სწორედ ამ განცხადებების ფონზე, გუშინ, ნაშუადღევს "თელასმა" სემეკ-ს ტარიფის გაზრდის მოთხოვნით მიმართა. კომპანიის "რაოელ" მენეჯერთა მიერ სემეკ-ში შეტანილი განაცხადის შინაარსის დაზუსტება "თელასის" გენერალურმა დირექტორმა დანგირას მიკალაიუნასმა არ მოისურვა. მისი განმარტებით, კომპანიამ სემეკ-ს "მხოლოდ ტარიფის გადახედვის" თხოვნით მიმართა. მან საკუთარ ინიციატივას ზურგი თავის დროზე "ეი-ი-ეს სილკ როუდ ბი-ვი"-სთან საქართველოს ხელისუფლების მიერ დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით გაუმაგრა: **"ტარიფის გაზრდის მოთხოვნის უფლება "თელასს", ხელშეკრულებით, წელიწადში ორჯერ, 1 აპრილამდე და 1 ოქტომბრამდე ენიჭება,"** - აცხადებდა გუშინ მიკალაიუნასი.

თუმცა, ამ თხოვნას "თელასმა" თან დაურთო საკუთარი გაანგარიშებები, რომელთა მიხედვითაც დასტურდება, რომ ტარიფში "თელასის" წილად შემავალი მარჟა (6,6 თეთრი) სასურველია, უფრო მაღალი იყოს. "თელასის" გენერალურმა დირექტორმა გუშინ, საგანგებოდ მოწვეულ პრესკონფერენციაზე, ახალი ინიციატივა იმით ახსნა, რომ კომპანიას არ სურს ახალ, დიფერენცირებულ ტარიფზე გადასვლა, რადგან ეს უკანასკნელი **"პოლიტიკურ ტარიფად მიაჩნია"**.

ახლა სემეკ-ი ვალდებულია, "თელასის" წინადადება 150 დღის ვადაში განიხილოს. განაცხადის ეკონომიკური საფუძვლიანობის შესასწავლად, უახლოეს ხანში კომისია აუდიტს დანიშნავს. გარდა ამისა, ის საკითხის განხილვის პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვასაც გეგმავს.

"ვეცდებით, არ მივიღოთ ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც "თელასისა" და, მთლიანად, ენერგეტიკის დარგის ინტერესების საწინააღმდეგო იქნება. მაგრამ, ეს არ ნიშნავს, რომ ეს განაცხადი უპირობოდ დაკმაყოფილდება. კომისია შეეცდება გამოიყენოს "ტარიფში არსებული რეზერვები," რათა მოსახლეობას ელექტროენერგია არ გაუძვიროს," - ნეიტრალურ პოზიციას ინარჩუნებდა სემეკ-ის თავმჯდომარე გია თავაძე.

# არმიის იუბილე და ცრემლნარევი ზეიმი სამხედრო აკადემიაში

*საქართველოს შეიარაღებული ძალების იუბილე თავდაცვის ეროვნულ (სამხედრო) აკადემიაშიც აღნიშნეს, ოღონდ, ზეიმს თან ახლდა ცრემლი. გუშინ აკადემიის ასეულმა სამწყობრო მოედანზე საზეიმო სვლით ვერ გაიარა, ვინაიდან მის წევრებს მოძველებული ფორმები ეცვათ. ამ გულსატკენი ფაქტის გამო, ასეულის ერთ-ერთ წარმომადგენელს ცრემლები წამოსცვივდა, თუმცა ეს ემოციური დეტალი იქ მყოფი საზოგადოებისთვის შეუმჩნეველი დარჩა.*

იუბილე აკადემიაში დილაადრიან დაიწყო. აკადემიის რექტორმა, პოლკოვნიკმა გიორგი თავდგირიძემ გვირგვინით შეამკო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ხსოვნის მემორიალი, ხოლო აკადემიის ეკლესიის წინამძღვარმა მამა ანდრეამ სამშობლოსთვის თავდადებულ ახალგაზრდებს პანაშვიდი გადაუხადა.

რექტორატმა აკადემიის პირადი შემადგენლობის 15 სამხედრო მოსამსახურეს სიგელები, ხოლო ათ მათგანს ფასიანი საჩუქრები გადასცა. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგებელი თეიმურაზ ჭეიშვილი თანამშრომლობას და მხარდაჭერას დაჰპირდა აკადემიას.

აკადემიის "პლაცზე" ცენტრში იდგა საზეიმოდ გამოწყობილი ბატალიონი, რომელიც სწავლებას ნატო-ს სტანდარტების შესაბამისად, ქართულ-თურქული პროგრამის მიხედვით გადის. რაც შეეხება აკადემიის ასეულს, რომელიც ოცმეთაურთა მომზადების ერთწლიანი კურსის მსმენელებით არის დაკომპლექტებული, იგი სამწყობრო მოედნის ერთ-ერთ კუთხეში იყო მიყუჟული. ასეულს, როგორც უკვე მოგახსენეთ, მოძველებული ტანისამოსის გამო, "პლაცზე" საზეიმო სვლით არ გაუვლია. **"თავდაცვის სამინისტროსგან ფორმებს ვერ ვეღირსეთ. ცხადია, ჩვენი სამოსისთვის განკუთვნილი თანხა სამინისტროში ვიღაცამ ჩაიჯიბა. აკადემიის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ კი ეს საკითხი მკაცრად არ დააყენა. ფორმის უქონლობის გამო, საზეიმო და სტუმრიანობის დღეებში ჩვენს ასეულს არავინ აჩენს",** - განუცხადა "24 საათს" ასეულის იმ წევრმა, რომელსაც გუშინ ცრემლები წასკდა. მისივე განმარტებით, კურსანტებს, რომლებიც სწავლებას ქართულ-თურქული პროგრამით გადიან, გაუმართლათ, ვინაიდან ამ შემთხვევაში ფინანსურ მხარეს და მასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს თურქული მხარე განაგებს. ინკოგნიტო კურსანტი იმედოვნებს, რომ აკადემიის ახალი ხელმძღვანელობა ყველაფერს იღონებს, რათა თავდაცვის სამინისტროს ასევე ახალმა ხელმძღვანელობამ ასეული დანაპირები იტალიური ფორმებით უზრუნველყოს. ინფორმაციისთვის შევნიშნავთ, რომ ასეული ინგლისური პროგრამის მიხედვით მაღალი დონის სწავლებას გადის. რაც მთავარია, ხსენებული ასეული ქვეყნის მასშტაბით ერთადერთი სამხედრო შენაერთია, სადაც მამაკაცებთან ერთად ქალებიც ირიცხებიან.

ახალმა რექტორმა გიორგი თავდგირიძემ აკადემიაში მისვლისთანავე საკადრო წმენდა განახორციელა. მისი თქმით, აკადემიაში გარემო ძირფესვიანად შეიცვალა. მოსალოდნელია სხვა ცვლილებებიც. წელს აქ მისაღები გამოცდები სრულიად განსხვავებული წესით ჩატარდება.

*ვერიკო თევზაძე*

# საბაჟო რეკორდებს ამყარებს

## საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ერთთვიანი მუშაობა სამი "რეკორდით" აღნიშნა

საქართველოს საბაჟომ ერთ თვეში ბიუჯეტში პირველად შეიტანა 45 მილიონი ლარზე მეტი ნაღდი ფული. ეს მაშინ, როცა გეგმა 37,5 მილიონი ლარი იყო. თამბაქოს სექტორიდან ბიუჯეტში მობილიზებულ შემოსავლებში გეგმით გათვალისწინებული 2,9 მილიონი ლარის ნაცვლად 5,102 მილიონი ლარია მობილიზებული. აპრილში განბაჟებულია 12 ათასი ტონა საწვავი. აქამდე ეს მაჩვენებელი 8 ათას ტონას არასოდეს ასცილებია. ეს მონაცემები საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარემ გიორგი გოდაბრელიძემ საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე გაახმაურა და ერთთვიანი მუშაობის შედეგები რეკორდულ მიღწევად შეაფასა. მისი განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ **"ბევრს გეგმის შესრულება არარეალური ეგონა, საბაჟომ დაამტკიცა, რომ მუშაობა შეიძლება".**

აშშ-ის საბაჟოს წარმომადგენლის, "საქართველოს საზღვრის განმტკიცებისა და კანონიერების დაცვის" პროგრამის დირექტორის ტომ ქალამის განცხადებით, საქართველოს საბაჟო სისტემის მუშაობა რადიკალურად შეიცვალა, რის გამოც საბაჟო დეპარტამენტს "საზღვრის დაცვისა და კანონის განმტკიცების პროგრამის" ფარგლებში აშშ-ის მთავრობისგან საჩუქრად რვა პორტატული კომპიუტერი გადაეცა, რომლებიც დეპარტამენტის ერთიან კომპიუტერულ ქსელში ჩაირთვება. მისივე თქმით, აშშ-ს საბაჟოს ვაშინგტონის ოფისის სპეციალისტების დახმარებით თბილისის საბაჟოს თანამშრომლებს სპეციალური ტრენინგები ჩაუტარდათ ტვირთგადაზიდვების კონტროლის სპეციალური კომპიუტერული სისტემის შესწავლაში, რაც ექსპორტ-იმპორტზე დაკვირვებისა და ანალიზის სრულფასოვან შესაძლებლობას იძლევა და საქართველოს საბაჟოს მის სისტემაში არსებული კორუფციის აღმოფხვრაში მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს. აღსანიშნავია, რომ დღეისათვის კომპიუტერულ ქსელში ჩართულია საქართველოს ყველა საბაჟო გამშვები პუნქტი (აჭარაში მდებარე პუნქტების გარდა). გიორგი გოდაბრელიძის განცხადებით, მიმდინარეობს აჭარის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებები და ეს საკითხი აუცილებლად დადებითად გადაწყდება.

*ნინო ნარჩემაშვილი*

# ერი არ მოკვდება, თუ თავი არ მოიკლა

*ბათუმსა და თბილისს შორის კონფლიქტური სიტუაციის მოწესრიგებაზე მსჯელობას მიეძღვნა ჟურნალისტთა სახლში გამართული პრესკონფერენცია, რომლის ორგანიზატორი იყო არასამთავრობო ორგანიზაცია "ქალთა მოძრაობა - საქართველოს აღორძინება".*

ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია საზოგადოებას საერთო სახალხო მოძრაობის დაწყებას სთავაზობს. ორგანიზაციის ხელმძღვანელმა მარინა ხანთაძემ განაცხადა, რომ აჭარის პრობლემა ცენტრალური მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ცალმხრივად შუქდება, რაც არსებულ სიტუაციას კიდევ უფრო ძაბავს. ამიტომ, შეკრების მიზანია, **"პატივი ვცეთ აჭარის მოსახლეობის არჩევანს, კონსტიტუციას, რომ არ მოხდეს ძმათამკვლელი ომი. ჩვენ შევიკრიბეთ, ერთი სურვილით - განვმუხტოთ სიტუაცია!".**

ამ მონოდების მიუხედავად, შეხვედრის მონაწილეთა აზრი, ჩვეულებისამებრ, გაიყო: ნაწილი ყველაფერში ცენტრს ადანაშაულებდა, ნაწილი - რეგიონს.

სოსო მაჭარაშვილი, პოეტი: **" საქართველო დღესაც იმავე საფრთხის წინაშე დგას, რაც აფხაზეთში იყო. ამიტომ, მივმართავთ ორივე მხარეს: მოგვეცენ საშუალება, შევხვდეთ ხალხს, ინტელიგენციას. გავიგოთ მოსახლეობის აზრი, რათა ხელისუფლებამ გაიცნობიეროს და ანგარიში გაუწიოს მას".**

ალექსი კობაიძე, იურისტი :**"ბატონი ასლანის პოზიცია არის სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული. მე არც სააკაშვილის გამონათქვამები მომწონს. მაგრამ, ჩემი მიზანია, შევინარჩუნოთ სტაბილიზაცია, რომ არ დაიწყოს სისხლისღვრა".**

ვახტანგ ხარშილავა, პოეტი **" ჩემი აზრით, აჭარის ხელისუფლებას არ სურს დამოუკიდებლობა. ეს არარსებული, გარედან თავსმოხვეული პრობლემაა! მე მგონი, ვინც ცენტრალურ ხელისუფლებას აქეზებს, სწორედ ისაა საქართველოს ნამდვილი მტერი".**

გულაბერ ანანიაშვილი, სტუ-ს ლექტორი: **" ჩვენ სააკაშვილსაც და აბაშიძესაც უნდა ვუთხრათ, რომ დასხდნენ სალაპარაკოდ! ხალხი ითხოვს შერიგებას! საქართველო მხოლოდ მათი სამშობლო არაა, საქართველო ჩვენი - ყველას სამშობლოა და ხალხმა ორივეს უნდა მოსთხოვოს პასუხი"!**

თამარ მესხი, აღმოსავლეთმცოდნე: **" თავის დროზე ზურაბ ჟვანიამ დაძაბა ურთიერთობა შევარდნაძესა და აბაშიძეს შორის. დღესაც ამას აკეთებს. ბათუმში ბერძენიშვილები, ხაბაზი და სხვები რომ არ იყვნენ, ასეთი დაძაბული სიტუაცია არ იქნებოდა. ყველაფერი "ჩვენი აჭარას" ბრალია - ისინი თავად ალახინებენ თავს, თვითონ აწყობენ ექსცესებს! ყველა ცდილობს აჭარის დისკრედიტაციას".**

ძალზედ ემოციურად წარმართული პრესკონფერენციის მონაწილეები ბოლოს დაეთანხმნენ ერთ-ერთი მონაწილის ნათქვამს, რომ **"ქართველებმა არ უნდა ჩავიდინოთ თვითმკვლელობა; აუცილებელია გაერთიანება და დიალოგის დაწყება; ეს გადარჩენის ერთადერთი გზაა".**

*ლელა მარგიანი*

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფარუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფარუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჯიხაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგოშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# აბაშიძის რეჟიმის აგონია

პირველი გვერდიდან

ლეილა ჩხეიძე აცხადებს, რომ მას ბათუმის პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილემ, ჯემალ ბაკურიძემ თავში კეტი ჩაარტყა. ასევე საავადმყოფოშია მოთავსებული "კმარელი" ნოდარ დუმბაძე. მას სერიოზული ჭრილობები აქვს მიყენებული თავის არეში. ექიმები აცხადებენ, რომ დუმბაძის ჭრილობები სიცოცხლისთვის საზიანო არ არის, თუმცა ძალიან სერიოზულია. შედარებით "მსუბუქად" დაშავდა მოძრაობა "ჩვენი აჭარის" წევრი ამირან ჟორდანიძე. აჭარის "სამართალდამცველთა" ყოჩაღობა თავის თავზე იწვნია "რუსთავი 2"-ის ოპერატორმა ალეკო თვარაძემ. სასტიკად სცემეს გაზეთ "ბათუმელების" ჟურნალისტი ეთერ თურაძე.

"ჩვენი აჭარის" ერთ-ერთი ლიდერის, თამაზ დიასამიძის ინფორმაციით, გუშინ მიტინგის დარბევაში როლანდ ბერიძის, მეტსახელად "ჩაკიას" ბანდფორმირება მონაწილეობდა. როლანდ ბერიძე გიორგი აბაშიძის დაცვის უფროსია. დიასამიძის თქმით, დარბევაში მონაწილეობდა ხელვაჩაურის პოლიციის შეფი მერაბ ცინცაძე, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან განდგომილი გენერალ-მაიორის, მურად ცინცაძის შვილია. მიტინგზე "მუშაობდა" ასევე შს მინისტრის მოადგილის დავით ბაკურაძის სპეცრაზმიც.

ბათუმის პოლიციის უფროსის თამაზ ჯორთმენაძის აზრით, აჭარაში საგანგებო ვითარების დროს, მით უმეტეს - სასამართლოს შენობის წინ, მიტინგის ჩატარება დაუშვებელია. "პოლიციამ ადეკვატური ზომები მიიღო," - განმარტავს იგი. საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე ავთანდილ აბაშიძე მომიტინგეების მიერ დამტვრეული, სასამართლოს კიბეების მოაჯირის და სხვა აქსესუარების გამო წუხს. თავგატეხილ თანაქალაქელებზე ბატონი ავთანდილი კომენტარს არ აკეთებს.

■ ■ ■

**"ეს არის აბაშიძის ერთადერთი გზა. განვითარების ეს გზა მისთვის სავსებით მისაღებია... ძალადობა წარმოშობს ძალადობას - საქართველო, ამ მხრივ, გამონაკლისი არ არის. აბაშიძე ძალიან სერიოზულად უპირისპირდება თავის მოსახლეობას. არ არის გამორიცხული, რომ მართლაც მოხდეს სახალხო აჯანყება. ამ შემთხვევაში, ცენტრალური ხელისუფლება იძულებული და ვალდებული იქნება, დაამყაროს წესრიგი,"**- ეს კომენტარი აჭარაში განვითარებულ გუშინდელ მოვლენებზე ლევან ბერძენიშვილმა გააკეთა.

სპეცრაზმისა და პოლიციელების მიერ დარბეული მშვიდობიანი საპროტესტო აქცია, ათობით ნაცემი ადამიანი, მათ შორის - ქალები და სტუდენტები, დამტვრეული ვიდეო და ფოტოკამერები, ნაცემი ჟურნალისტები - ასე ვითარდება ასლან აბაშიძის ხელისუფლება აჭარაში.

გასაკვირი არაფერი მომხდარა. კიდევ ერთხელ მოხდა იმ პრინციპების დემონსტრირება, რასაც აბაშიძის ხელისუფლება წლების განმავლობაში ეყრდნობოდა - ტერორი და ძალადობა. აბაშიძის ამ "სისუსტეების" მიმართ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების დამოკიდებულება ცნობილია. ხმა "აჭარელ დიქტატორზე" საერთაშორისო საზოგადოებაშიც გავარდა.

აბაშიძე მიატოვა ცნობილმა 25-ე ბრიგადამ, მას დაუმორჩილებლობას უცხადებენ ცალკეული სამხედროები, მეზღვაურები. აჭარის მეთაურის დაქვემდებარებაში რჩებიან ისეთი სამხედრო ფორმირებები, სადაც იარაღის ხმარება არ იციან. ხულოში, შუახევში, ქედაში სამი დღეა მიმდინარეობს აქციები, სადაც ხალხი იმ სასუქს ითხოვს, რომლის ასე შეეშინდა აბაშიძეს. და რაც ყველაზე მთავარია, მოსახლეობაში დამკვიდრდა აზრი, რომ აბაშიძის რეჟიმის დღეები დათვლილია. ცხადია, ასეთ პირობებში აბაშიძეს სასწრაფოდ სჭირდებოდა რაღაც სადამსჯელო ღონისძიება, რაც მოსახლეობაში გაჩენილ იმედის ნაპერწკალს, რომელსაც "აჭარა აბაშიძის გარეშე" ჰქვია, ჩააქრობდა.



ამ დროშებმა აიძულა აბაშიძის რეჟიმი, ნიღაბი ჩამოეხსნა.

**"კონფრონტაცია რაც შეიძლება მალე. საქართველოს ხელისუფლების დისკრედიტაცია რაც შეიძლება მალე - ეს არის აბაშიძის მიზანი. ამ მიზნის მისაღწევად ის დაუნდობლად გაუსწორდება თავის ხალხს - ეს არ არის მისთვის პრობლემა,"** - მიიჩნევს ლევან ბერძენიშვილი.

ბერძენიშვილის ამ მოსაზრებას "ჩვენი აჭარას" ერთ-ერთი ლიდერი კობა ხაბაზიც ეთანხმება: **"ასლან აბაშიძის ოცნებაა, რომ აჭარის ტერიტორიაზე შეიარაღებული ძალები შევიდნენ. ასეთ შემთხვევაში, ის მიატოვებს იმ ხალხს, ვინც დღეს მის რეჟიმს იცავს და რომელიმე ქვეყანაში გაიქცევა, საიდანაც წამებულის როლს ითამაშებს და მოჰყვება იმის მტკიცებას, რომ ის აჭარის კანონიერი ხელისუფალია. ჩვენ ამას არ დავუშვებთ. ყოველგვარი სამხედრო ძალების მონაწილეობის გარეშე, ჩვენ უზრუნველვყოფთ იმას, რომ აბაშიძეს არც ერთი მომხრე არ დარჩეს და ხელისუფლებიდან წავიდეს,"** - აცხადებს ხაბაზი.

სახალხო აჯანყებაზე საუბრობს "ჩვენი აჭარის" კიდევ ერთი ლიდერი ედვარდ სურმანიძე. **"ძალიან ცოტა რამ არის საჭირო იმისთვის, რომ აჭარაში საყოველთაო სახალხო აჯანყება მოხდეს,"** - აცხადებს იგი.

"ჩვენი აჭარის" ლიდერები აჭარის ხელისუფლების მხრიდან ოპოზიციონერ აქტივისტთა დევნასა და ანგარიშსწორებას არ გამორიცხავენ. **"აბაშიძე მათი ოჯახების დევნას დაიწყებს,"** - აღინიშნა გუშინ "ჩვენი აჭარის" ოფისში მოწვეულ საგანგებო პრესკონფერენციაზე. სურმანიძის თქმით, რეგიონის მოსახლეობაში ასლან აბაშიძის წინააღმდეგ შექმნილი განწყობა იმის საფუძველია, რომ უახლოეს დღეებში აჭარის დედაქალაქში მასობრივი საპროტესტო აქციები დაიწყება.

სურმანიძე შიშობს, რომ ასლან აბაშიძის ხელისუფლების უკანონო მოქმედების ფონზე, შესაძლოა, პროცესებმა აჭარაში უმართავი ხასიათი მიიღოს. "ჩვენი აჭარის" ლიდერები ცენტრალურ ხელისუფლებას უემოციოდ და პრაგმატულად მოქმედებებისაკენ მოუწოდებენ. **"იმედი გვაქვს, რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება აბაშიძის პროვოკაციას არ აჰყვება და ყველა ღონეს იხმარს ბათუმში სტაბილური ვითარების შესანარჩუნებლად,"** - აცხადებენ ისინი.

# "ცეცხლის ხაზზე" პირველად საზღვაო დესანტი გადის

პირველი გვერდიდან

გავიდა ორი სადესანტო კატარღა, რომელზეც ამერიკელი ინსტრუქტორების მიერ გაწვრთნილი 113-ე ბატალიონის "ალფა" ასეულის შემადგენლობა იმყოფებოდა. ფოთის აკვატორიაში სწორედ ამ ქვედანაყოფის გამოჩენამ გამოიწვია აჟიოტაჟი აჭარის ხელისუფლებაში, რომელიც დღემდე დარწმუნებულია, რომ ქართველი "კომანდოსები" აჭარაში შესაჭრელად ემზადებიან.

**"მე ამ დღეეებში მივიღე სარწმუნო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გასცა განკარგულება, რათა სწავლება სამხედრო მოქმედებაში გადაიზარდოს. მათი გათვლით, 5 მაისამდე აჭარაში ხელისუფლება უნდა შეიცვალოს,"** - აცხადებს ცენტრალური ხელისუფლების მიერ მოღალატედ შერაცხული გენერალი რომან დუმბაძე, რომელიც ჩოლოქის ხიდთან თავდაცვით ღონისძიებებს ხელმძღვანელობს. იქ კონცენტრირებულია რამდენიმე ერთეული საზენიტო დანადგარი, რომელთა ლულები ფოთისა და მერიისკენ არის მიმართული.



დესანტი კატარღის გემბანზე.

"დიოსკურია 2004"-ის კონსულტანტი, კონტრ-ადმირალი ალექსანდრე ჯავახიშვილი ამგვარ აჟიოტაჟს უსაფუძვლოს უწოდებს და ყურადღებას სწავლების უნივერსალურ ჰუმანიტარულ ასპექტებზე ამახვილებს.

**"ასეთი დატვირთვა ამ სწავლებას იმიტომ მიეცა, რომ სხვადასხვა რანგის რამდენიმე პოლიტიკოსი ჩაერია მასში და გვიგონებს რაღაც ფანტაზიებს. არადა, ჩვენ არ ვაპირებთ არც დასავლეთში წასვლას და არც სამხრეთში. ჩვენ მივდივართ ჩვენს სამხედრო პოლიგონზე ყულევში. თანაც, სწავლების ამოცანები, იქნება ეს მოსახლეობის შველა მიწისძვრისა თუ სხვა ბუნებრივი კატასტროფების დროს, აღებულია "ბლექსი ფორსის" მეთოდოლოგიიდან, რომელშიც საქართველო რამდენიმე წელია მონაწილეობს,"** - განმარტავს კონტრ-ადმირალი ჯავახიშვილი.

სწავლების გეგმის თანახმად, საზღვაო თადაცვითი ძალების სადესანტო კატარღებმა, რომელთა გემბანებზე 300 ფეხოსანი იმყოფებოდა, კურსი ყულევის პოლიგონისკენ აიღეს. აღსანიშნავია, რომ ამერიკელთა მიერ გაწვრთნილ მრავლისმნახველ ქართველ ქვეითებს ზღვით დესანტირება პირველად მოუხდებათ, რაც გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული. მით უფრო მაშინ, როცა სწავლების დასკვნით დღეს დესანტის მანევრი საავიაციო დაბომბვისა და საბრძოლო სროლების ფონზე უნდა წარიმართოს. 113-ე ბატალიონის "ალფა" ასეულის სერჟანტის გოჩა დევდარიანის თქმით, მისი თანამებრძოლები საკმაოდ გამოცდილნი არიან და მოულოდნელი სირთულეების არ ეშინიათ.

**"რისი უნდა გვეშინოდეს, ცურვა ყველამ ვიცით და გული ყველას გვერჩის? თანაც რაც ყველაზე ძნელი იყო, უკვე გავიარეთ. ხმელეთზე გადასვლისას ჩვენ არავითარ მოწინააღმდეგეს არ ველოდებით და თუ ვინმე აპირებს რამეს, არ ვიცი. ჩვენ არაფერი გვამოძრავებს, გარდა მშვიდობი-**

# სნაიპერების ალყაში

ვერიკო თევზაძე

გუშინ, უშიშროების საბჭოს მდივანმა ვანო მერაბიშვილმა და პარლამენტის თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ გივი თარგამაძემ გაავრცელეს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ აჭარის ხელისუფლებამ თბილისში გადმოსვლის მსურველები, ე.წ. სწრაფი რეაგირების ძალებიდან, ერთ-ერთ ყაზარმაში ალყაში მოაქცია და მათ სნაიპერების მეშვეობით აკონტროლებს. **"იმ შემთხვევაში, თუ "ობეერის" მებრძოლები ყაზარმის დატოვებას შეეცდებიან, მათ წინააღმდეგ სნაიპერებმა, შესაძლოა, ცეცხლი გახსნან.. ვერულიძეების და სხვათა ყაჩაღური ბანდები განლაგებულნი არიან პოზიციებზე ჩოლოქთან, ქაქუთთან, რათა იქიდან ხალხი არ გადმოვიდეს. ეს სიტუაცია დიდხანს ვერ გაგრძელდება. ამ დღეებში მასობრივ გადმოსვლებს ველოდებით"**, - აცხადებენ მერაბიშვილი და თარგამაძე.

უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით, აჭარის მოსახლეობის საქართველოს შეიარაღებულ ძალებში გაწვევა ფოთსა და ადიგენში სპეციალურად გახსნილი გამწვევი პუნქტებიდან მოხდება. **"ისინი, ვინც გაივლიან სამხედრო სამსახურს ადგილობრივ სტრუქტურებში, დეზერტირებად ჩაითვლებიან და მათზე სისხლის სამართლის დევნა განხორციელდება, ვინაიდან დღეისთვის აჭარაში ოფიციალური სამხედრო სტრუქტურები არ ფუნქციონირებენ"**, - ბრძანა გუშინდელ ბრიფინგზე გივი თარგამაძემ. მისი განმარტებით, ასეთ ვითარებში აჭარის მოსახლეობის შეიარაღებულ ძალებში გაწვევას მთლიანად ცენტრალური ხელისუფლება იღებს საკუთარ თავზე.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

თბილისმა მომენტალურად მისცა რეაქცია აჭარის მოვლენებს.

ვანო მერაბიშვილის აზრით, შეუძლებელია რუსეთი ან დასავლეთი მხარს უჭერდეს ასლან აბაშიძეს, **"მე-17 საუკუნის ტიპის ფეოდალს".** უშიშროების საბჭოს მდივანმა აჭარაში გუშინდელი მიტინგის მონაწილეების, ოპოზიციის და ჟურნალისტების დარბევის შემდეგ დაასკვნა, რომ **"აჭარის ხელისუფლება აგონიაში იმყოფება, აბაშიძის რეჟიმი ირღვევა."** მერაბიშვილმა მასმედიას აუწყა, რომ იგი საერთაშორისო საზოგადოებას მიაწვდის დეტალურ ინფორმაციას აჭარაში მოქალაქეების და ჟურნალისტების უფლებების უხეშად დარღვევის შესახებ.

# აჭარელი ჯარისკაცები და ირლანდიური "მამლუქი"

## ანუ რატომ დაატარებს განათლების მინისტრი ჯარისკაცებს სკოლაში

გუშინ განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ლომაია თბილისის 44-ე სკოლას ესტუმრა. მას აჭარიდან ჩამოსული, 25-ე ბრიგადის 30 ჯარისკაცი და ოფიცერი ახლდა.

**"ამ ვაჟკაცების მაგალითზე ვცდილობთ, დავანახოთ ჩვენს მოსწავლე ვაჟებს, თუ რა არის ფიცის ერთგულება. ისინი ხომ მალე სამხედრო ვალდებულებიც იქნებიან და უნდა იცოდნენ, რომ სამშობლოსა და მთავარსარდლისადმი მიცემული ფიცის გატეხვა არ შეიძლება",** - განაცხადა განათლების მინისტრმა. მან მადლობა გადაუხადა იმ სკოლებსა და პედაგოგებს, რომლებმაც ეს ვაჟკაცები გაზარდეს და, საქართველოს პრეზიდენტისა და საკუთარი სახელით, გარანტია მისცა, რომ აჭარაში დარჩენილ მათ ახლობლებს თმიდან ბეწვი არ ჩამოუვარდებათ.

**"მე დარწმუნებული ვარ ჩემს გადადგმულ ნაბიჯში - ცუდად არ გადამიდგამს და ამიტომ, შიშიც არაფრის მაქვს",** - ამბობს ბრიგადის ასმეთაური. ის იმ პირველ ცხრა ჯარისკაცს შორის იყო, ვინც მარტში დატოვა ბათუმი. გიორგიმ სამხედრო აკადემია დაამთავრა, ფიცი დადო და მიაჩნია, რომ ფიცის ერთგულება უმთავრესია ჯარისკაცისთვის: **"მე ფიცი სამშობლოს და მთავარსარდლის წინაშე დავდე და - არა აჭარის ხელისუფლების, ან 25-ე ბრიგადის ხელმძღვანელების წინაშე".**

44-ე სკოლამ 25-ე ბრიგადის ჯარისკაცებს სასიამოვნო შეხვედრა მოუწყო - მღეროდა აფხაზეთის სახელმწიფო ანსამბლი "დიოსკურია"; მოსწავლეებმა ლექსები წაიკითხეს;

შემდეგ კი ასოციაცია "სკოლა, ოჯახი, საზოგადოებამ" ყველას ერთად - მოსწავლეებს, ჯარისკაცებს, მინისტრსა და მის მოადგილეებს "გაკვეთილი" ჩაუტარა - ერთად წაიკითხეს ირლანდიელი მწერლის ლიამ ოფლაერთის მოთხრობა "სნაიპერი", რომელიც ფინალით უიარაღოს "მამლუქსაც" წააგავდა - რესპუბლიკელების სნაიპერი სახელისუფლებო სნაიპერს კლავს, რომელიც მისი ძმა აღმოჩნდება.

**"ჩვენი გაკვეთილი არის სამოქალაქო ომის საწინააღმდეგო აქცია. გვინდა, რაც შეიძლება, ბევრმა ადამიანმა გააცნობიეროს, რომ სამოქალაქო ომში არც ერთი მხარე არ იმარჯვებს",** - თქვა ასოციაციის წევრმა ნინო ჯაფარიძემ.

შეხვედრის დასასრულს ჯარისკაცები სუფრაზეც მიიწვიეს.

# აფხაზეთის დეპუტაციის გედის სიმღერა

*აფხაზეთის დეპუტაციას გუშინდლამდე კიდევ ჰქონდა მცირე შანსი იმისა, რომ საქართველოს პარლამენტში ყოფნის 12-წლიან უწყვეტ სტაჟს კიდევ ოთხი წლით გაიხანგრძლივებდა, მაგრამ იურიდიული და საპროცედურო კომიტეტების ერთობლივი სხდომის შემდეგ, რომელიც დახურული იყო და ოთხ საათზე მეტხანს გაგრძელდა, ეს შანსი, ფაქტობრივად, ნულამდე დავიდა: კომიტეტის წევრების მიერ თითქმის ერთსულოვნად იქნა მოწონებული დასკვნა, რომლის მიხედვითაც პარლამენტს აფხაზეთის დეპუტაციისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის რეკომენდაცია ეძლევა.*

გიორგი ასანიშვილი

ფორმალობის ბოლომდე დასაცავად რეკომენდაციის მეორე პუნქტის განხორციელებაც არის საჭირო. იგი საარჩევნო კოდექსის იმ მუხლის გაუქმებას გულისხმობს, რომლის თანახმადაც, აფხაზეთიდან არჩეულ დეპუტატებს უფლებამოსილება აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე უნდა შეუნარჩუნდეთ.

**"კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე აფხაზეთის დეპუტაციის სასარგებლოდ ვერანაირი კონსტიტუციური საფუძველი ვერ მოიძებნა: კონსტიტუციაში გარკვევით წერია, რომ დეპუტატები საყოველთაო და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ოთხი წლის ვადით აირჩევიან",** - მიღებული გადაწყვეტილების სისწორეში მტკიცედ არის დარწმუნებული იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი.

მისივე თქმით, სხდომის მიმდინარეობისას, ვერც იმის დამაჯერებელი პოლიტიკური არგუმენტები დასახელდა, თუ რატომ უნდა გადაწყდეს საკითხი აფხაზეთის დეპუტაციის პარლამენტში დარჩენის სასარგებლოდ.

ერთობლივ სხდომაზე მიღებულ დასკვნას დამოუკიდებელ დეპუტატთა საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე კობა დავითაშვილიც ეთანხმება. იგი კატეგორიულად უარყოფს ზოგიერთი პოლიტიკოსის მოსაზრებას იმის შესახებ, თითქოს, 1992 წელს აფხაზეთიდან არჩეული პარლამენტარებისთვის სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტა აფხაზი სეპარატისტების წისქვილზე ასხამს წყალს.

**"ვინც ასეთ რამეს ამტკიცებს, უნდა ესმოდეს, რომ მსგავსი განცხადებები საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ არის მიმართული. არძინბას კრიმინალურ, აპარტეიდულ რეჟიმს ლეგიტიმაციას ვერაფერი შეჰმატებს, რადგან მან სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა, როდესაც მოსახლეობის ერთი ნაწილი მძევლად აიყვანა, ხოლო მეორე ნაწილი თავისი საცხოვრებელი ადგილიდან გამორეკა",** - აღნიშნავს დავითაშვილი.

თავად აფხაზეთის დეპუტაციის წევრები, კომენტირებისას, სიფრთხილეს იჩენენ. ყოფილი ვიცე-სპიკერი ვახტანგ ყოლბაია აღიარებს, რომ საკონსტიტუციო შეუსაბამობა ნამდვილად არსებობს, თუმცა, იქვე შენიშნავს, რომ მიღებულმა გადაწყვეტილებამ აფხაზეთის დაბრუნების საქმეს არ უნდა ავნოს.

**"გადაწყვეტილების სისწორეზე საუბარი მხოლოდ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ შეიძლება",** - დასძენს ყოლბაია.

რაც არ უნდა უცნაურად ჟღერდეს, მაინც ფაქტია, რომ აფხაზეთის დეპუტაციისთვის უფლებამოსილების შეწყვეტას მხარს უჭერს... ბორის კაკუბავა.

**"მე მადლობას ვუხდი სხდომის მონაწილეებს, რომ დევნილთა თხოვნა შეასრულეს. ლტოლვილების სურვილი კი ის არის, რომ მათ მიერ არჩეული დეპუტატები ხელისუფლების სამსახურს ჩამოსცილდნენ და ხალხთან დაბრუნდნენ",** - აცხადებს იგი.

ერთადერთი, ვინც პარლამენტში გუშინ მიღებულ გადაწყვეტილებას კატეგორიულად აპროტესტებს, სახალხო ფრონტის ლიდერი ნოდარ ნათაძეა. იგი გუშინ ჟურნალისტებთან ერთად დერეფანში ეცნობოდა სხდომიდან გამოჟონილ ინფორმაციებს.

იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტების ერთობლივ დასკვნას ნათაძე სახელმწიფო ღალატად აცხადებს, რადგან **"აფხაზეთიდან არჩეული დეპუტაციის უფლებამოსილების გაგრძელებაზე უარის თქმით, დევნილი მოსახლეობა ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში წარმომადგენლობის გარეშე რჩება".**

**"ამასთან, ეს იმის აღიარებასაც ნიშნავს, რომ აფხაზეთი საქართველოს შემადგენელი ნაწილი არ არის",** - საკუთარ დასკვნას აკეთებს სახალხო ფრონტის თავმჯდომარე, რომელიც მისთვის ჩვეული კატეგორიულობით იმასაც ამტკიცებს, რომ **"დღევანდელი პარლამენტარების უდიდესი ნაწილი რუსეთის აგენტურას წარმოადგენს".**

აზრთა ასეთი ფართო სპექტრის მიუხედავად, ერთი რამ ცხადია - გუშინდელი დღე აფხაზეთის თერთმეტკაციანი დეპუტაციისთვის გედის სიმღერა იყო. გასარკვევი მხოლოდ ის რჩება, მათ მიერ გამოთავისუფლებული ადგილები თავისუფალი დარჩება თუ მას სხვა პოლიტიკური ძალების წარმომადგენლები "აითვისებენ". ამ საკითხზე მსჯელობას პარლამენტი აფხაზეთის დეპუტაციისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის პროცედურის დასრულების შემდეგ შეუდგება.

# 2004 წლის ბიუჯეტის ხარჯები

პირველი გვერდიდან

*ჯერ კიდევ გუშინ ქართველი კანონმდებლები ბიუჯეტის დეტალებზე სასაუბროდ მზად არ იყვნენ, ამიტომ მკაცრ განცხადებებს ჯერ კიდევ არ აკეთებდნენ იმასთან დაკავშირებით, რომ წინა წლების პენსიების გასტუმრებას ხელისუფლება მიმდინარე პენსიების 3 ლარით გაზრდის ხარჯზე გეგმავს, ანუ ან პენსიების ზრდის შესახებ განცხადებაა სიცრუე, ან - პენსიების დავალიანების გასტუმრების შეპირება. ჯერჯერობით არავინ ხმაურობს არც იმაზე, რომ მინიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმთან დაახლოება ამ ბიუჯეტში არ არის განხორციელებული და ა.შ. ყველაფერ ამაზე და ბევრ სხვა დეტალზეც საუბრები, სავარაუდოდ, მომავალ კვირას დაიწყება. დღეს კი "24 საათი" შემოგთავაზებთ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რაში და რამდენის დახარჯვას აპირებს თავად მთავრობა:*

## ძირითადი პარამეტრები

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, 2004 წელს ამ ბიუჯეტით გასაწევი ხარჯების საერთო მოცულობამ უნდა შეადგინოს - 1.728,1 მლნ ლარი, რაც 249,1 მლნ ლარით, ანუ 16.8%-ით მეტია 2003 წლის შესაბამის საპროგნოზო მაჩვენებელზე (1.478,9 მლნ ლარი). ამავე დროს საქართველოს 2004 წლის ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯების საპროგნოზო მოცულობა შეადგენს 1.359,2 მლნ ლარს, რაც 156,9 მლნ ლარით, ანუ 13%-ით მეტია 2003 წლის შესაბამის მაჩვენებელზე (1.202.3 მლნ ლარი).

## პარლამენტი, პრეზიდენტი, უშიშროების საბჭო

მომავალი წლის ბიუჯეტში 2 მილიონით არის გაზრდილი საქართველოს პარლამენტის დაფინანსება, რაც, როგორც ამბობენ, უშუალოდ პარლამენტის თავმჯდომარის აქტიურობის შედეგია. მილიონით არის გაზრდილი პრეზიდენტის სარეზერვიო ფონდი. ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხარჯები, რომლის ზღვრული მოცულობაც 8,418.0 ათას ლარს შეადგენს.

ამავე კანონის შესაბამისად, სახელმწიფო კანცელარიის ნაცვლად ჩამოყალიბდა საქართველოს მთავრობის კანცელარია, რომლის 2004 წლის ზღვრული მოცულობა განისაზღვრა 2,836.9 ათასი ლარით, ხოლო მომუშავეთა რიცხვი - 188 ერთეულით.

რაც შეეხება საქართველოს უშიშროების საბჭოს აპარატის 2004 წლის ზღვრულ მოცულობას, იგი განისაზღვრა 1,000.0 ათასი ლარით.

## საგარეო ვალები

მიუხედავად იმისა, რომ სსფ-სთან პროგრამის აღდგენაზე გადაწყვეტილება ჯერჯერობით არ არის მიღებული, 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების საერთო მოცულობაში საგარეო ვალების მომსახურებისა და დაფარვის ხარჯების მოცულობა განსაზღვრულია იმის გათვალისწინებით, რომ სსფ პარიზის კლუბში მხარს დაუჭერს საქართველოს და რესტრუქტურიზებაც მოხდება. ამის გათვალისწინებით სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში საგარეო ვალების მომსახურებისა და დაფარვის ხარჯების მოცულობა შეადგენს 189,3 მლნ ლარს. ამასთან ერთად სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი საშინაო ვალების მომსახურების ხარჯების სახით ითვალისწინებს 99,5 მლნ ლარს. მთლიანობაში სახელმწიფო საშინაო და საგარეო ვალების მომსახურებისა და დაფარვის ხარჯები 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შეადგენს 288,8 მლნ ლარს, ანუ სახელმწიფო ბიუჯეტის მთელი ხარჯების 16,7%-ს. შედარებისათვის: 2003 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით, სახელმწიფო ვალის დაფარვისა და მომსახურების ხარჯების მოცულობა მთლიან ბიუჯეტში შეადგენდა 15,4%-ს.

## თავდაცვა

ხელისუფლების მტკიცებით, თავდაცვის სფერო მისი პრიორიტეტია. მათივე ინფორმაციით, თავდაცვის სფეროს დაფინანსებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოსაყოფი სახსრების საერთო მოცულობა 78,8 მლნ ლარს უახლოვდება. ხელისუფლება ირწმუნება, რომ, თავდაცვის სფეროს განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, 2004 წელს სსფ-სთან პროგრამის აღდგენის შემთხვევაში, რაც ნიშნავს საგარეო დაფინანსების წყაროების მიღებასა და საგარეო ვალების რესტრუქტურიზაციის პროცესის გაგრძელებას, შესაძლებელი იქნება ხარჯების სტრუქტურის შეცვლა და თავდაცვის ღონისძიებების დაფინანსებისათვის დამატებითი რესურსების გამოძებნა. 2004 წელს შეიარაღებული ძალების ღონისძიებები გაწერილია 4 ძირითად კომპონენტად. აღნიშნული კომპონენტებია:

- თავდაცვის მართვა - 4,328.8 ათასი ლარი;
- "ნატო"-სთან ინტეგრაციის ღონისძიებები - 59,089.6 ათასი ლარი;
- შეიარაღებული ძალების განათლების ღონისძიებები - 2,465.1 ათასი ლარი;
- შეიარაღებული ძალების ჯანდაცვის ღონისძიებები -1,116.5 ათასი ლარი.

## შინაგან საქმეთა სამინისტრო

შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის 2004 წელს გამოსაყოფმა თანხამ ბიუჯეტში 79,510.4 ათასი ლარი შეადგინა. ბიუჯეტის პროექტის შედგენისას მხედველობაში იქნა მიღებული, რომ გასულ წლებში სამინისტროს სპეცსახსრებზე მობილიზებული თანხები 2004 წლის 1 იანვრიდან ექვემდებარება ბიუჯეტში ჩარიცხვას, რაც დაახლოებით 12,040.0 ათას ლარს შეადგენს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზაციული სტრუქტურა შესაბამისი დაფინანსებით შემდეგნაირად გამოიყურება:

- შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი და სხვა ორგანოები - 58,536.0 ათასი ლარი;
- შინაგანი ჯარი - 8,872.1 ათასი ლარი;
- სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი - 10,817.3 ათასი ლარი;
- კულტური ძეგლებისა და მუზეუმების დაცვის ღონისაძიებები - 1,005.2 ათასი ლარი;
- მატერიალური რეზერვების დეპარტამენტის ასიგნებები - 279.6 ათასი ლარი.

2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების მოცულობაში გათვალისწინებულია საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების "წვრთნისა და აღჭურვის" ერთობლივ პროგრამაში სამინისტროს ქვედანაყოფების (39 სამხედრო მოსამსახურე) მონაწილეობისთვის საჭირო ხარჯები, რომელთა საერთო მოცულობა შეადგენს დაახლოებით 350,0 ათას ლარს.

## უშიშროება

2004 წლის ბიუჯეტის პროექტით უშიშროების სამინისტროსათვის გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 13,592.0 ათასი ლარი. სამინისტროსათვის გამოყოფილი ასიგნებებიდან 1,400.0 ათასი ლარი უშუალოდ ხმარდება ანტიტერორისტულ ღონისძიებებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უშიშროების სამინისტროს 2004 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულ თანხებში წინა წლებთან განსხვავებით გათვალისწინებული იქნა უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის სამხედრო მოსამსახურეთა შრომის ანაზაურებისათვის საჭირო თანხები, რომლის დაფინანსება გასულ წლებში ხდებოდა საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან უშიშროების სამინისტროსათვის დამატებით გამოყოფილი თანხებით.

საქართველოს უშიშროების სამინისტროს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის თანახმად ყურადღება ეთმობა სამინისტროს თანამშრომელთა მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებს, რომელთა დაფინანსება საერთო ჯამში შეადგენს 283.2 ათას ლარს.

## განათლება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია 39 826.1 ათასი ლარი. სამინისტროს უშუალო დაქვემდებარებაში გადაეცა აგრეთვე დამოუკიდებელი უმაღლესი სასწავლებლები. სამინიტრო აგრეთვე განახორციელებს სასულიერო განათლების ხელშეწყობას, რაზეც გაიცემა გრანტი 1,285.6 ლარის ოდენობით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მიმდინარე წელს განათლების და მეცნიერების სფერო გადადის პროგრამული დაფინანსების პრინციპზე. ახლო მომავალში გათვალისწინებულია, რომ სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ყველა საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულება ჩამოყალიბდეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად, რომელთა ბაზაზეც განხორციელდება სამინისტროს ძირითადი პროგრამები და ღონისძიებები.

ამასთან, 2004 წელს გათვალისწინებულია განათლების სამინისტროს მიერ ახალი ღონისძიებების განხორციელება. კერძოდ: სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ატესტაცია (98.9 ათასი ლარი), უმაღლესი სასწავლებლების აკრედიტაცია (39.7 ათასი ლარი), არაქართულენოვანი სკოლების სუბსიდირება სახელმძღვანელოების შესაძენად (230.0 ათასი ლარი), სასკოლო პარტნიორობის პროგრამა (100.0 ათასი ლარი), უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები 2005 წლის ეროვნული პროგრამების მომზადება (480.0 ათასი ლარი). ასევე საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებისათვის თანადაფინანსების სახით გაღებული იქნება 275,0 ათასი ლარი.

## ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო

2004 წლის ცენტრალური ბიუჯეტის პროექტით, დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა შემწეობების, ლტოლვილთა შენახვისა და მომსახურების სხვა ხარჯებისა და ღონისძიებების დაფინანსებისათვის გათვალისწინებული თანხა შეადგენს 57232,0 ათას ლარს, რაც წინა წელთან შედარებით შემცირებულია 3999,8 ათასი ლარით, ანუ 6,5%-ით. ხელისუფლების ინფორმაციით, ასეთი შემცირება გამოწვეულია იმით, რომ ზუსტდება ლტოლვილთა რეალური ოდენობა. ხელისუფლების ვერსიით, უნდა მოხდეს შემწეობების ზრდა, თუმცა ისევ და ისევ ლტოლვილთა რაოდენობის დაზუსტების ხარჯზე.

## სოციალური სფერო

2003 წელთან შედარებით მატებაა სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროში. ამ სფეროსათვის 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი თანხა შეადგენს 338,600.0 ათას ლარს, რაც საერთო ხარჯების 19.6%-ს შეადგენს. ამ სექტორში სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების დაფინანსებას თუ შევადარებთ 2003 წლის პროგრამების დაფინანსების ფაქტიურ მონაცემებს, მაშინ 2004 წელს ხარჯები 42.2%-ით გაიზარდა. ცალკე საუბრის თემაა საპენსიო დავალიანებები და პენსიების ზრდა, რასაც დეტალურად კიდევ დავუბრუნდებით.

## გარემოს დაცვა

განსაკუთრებით დიდი ზრდაა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა მომსახურების სფეროში, რომელიც შეადგენს 42,200.0 ათას ლარს, რაც 37,000.0 ათასი ლარით ანუ 8-ჯერ მეტია 2003 წლის ფაქტიურ მაჩვენებელზე. აღნიშნული ზრდა ძირითადად გამოწვეულია ამ სფეროში საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ინვესტიციური პროექტების გაზრდით.

## კულტურა, ძეგლთა დაცვა და სპორტი

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსათვის 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია 22,166.1 ათასი ლარი. დაგეგმილია სამინისტროს საშტატო ერთეულების 26 %-ით შემცირება, რის ხარჯზეც გათვალისწინებულია თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების მნიშვნელოვანი გაზრდა.

## სოფლის მეურნეობა

2004 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის სფეროში დაფინანსების მოცულობა. ზრდა (ისევე, როგორც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სფეროში) ძირითადად მოდის საერთაშორისო საინვესტიციო პროექტებზე, რომელიც მიმდინარე წელს 28,200.0 ათასი ლარის ფარგლებშია გათვალისწინებული. სულ ამ ფუნქციონალური კატეგორიით დაფინანსებულ ღონისძიებებზე გათვალისწინებულია 57,300.0 ათასი ლარი, ანუ წინა წელს გაწეულ ანალოგიურ ხარჯებთან შედარებით 44.3%-ით მეტი.

## სათბობ-ენერგეტიკის სფერო

სულ სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსისათვის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია 145,200.0 ათასი ლარი. მათ შორის, საქართველოს ენერგოსისტემის სუბსიდირებისათვის - 38,700.0 ათასი ლარი, ხოლო ენერგეტიკის დარგის საინვესტიციო პროექტებისა და თანადაფინანსებისათვის - 105,619.0 ათასი ლარი.

## საგარეო საქმეთა სამინისტრო

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საბიუჯეტო ხარჯების ზღვრული მოცულობა შეადგენს 2,838.0 ათას ლარს, მათ შორის საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატის ხარჯებმა 6,053.9 ათასი ლარი შეადგინა, რომელშიც გათვალისწინებულია პროგრამა "პარტნიორობა მშვიდობისათვის" ხარჯები 100.0 ათასი ლარის ოდენობით და 2004 წელს ქ. თბილისში BSEC-IS ეგიდით ჩასატარებელი ღონისძიების საორგანიზაციო ხარჯები - 131.4 ათასი ლარი. საზღვარგარეთ საქართველოს დიპდაწესებულებების ხარჯები განისაზღვრა 20,826.1 ათასი ლარის ოდენობით. ხოლო საერთაშორისი ორგანიზაციებთან თანამშრომლობისა და ამ ორგანიზაციებში გაწევრიანების ხარჯები შეადგენს

## ორი სიტყვით

**თბილისი.** თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დღეს გამართული ვაჭრობის შედეგად, საქართველოს ეროვნული ვალუტის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 1.98 ლარის ნიშნულზე დაბალანსდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "საქართველოს ლეიბორისტული პარტია" ელექტროენერგიის ტარიფის შესაძლო გაძვირებას აპროტესტებს და ხელისუფლებას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების იგნორირებაში ადანაშაულებს. საქმე ეხება საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის გადაწყვეტილებას, რომლის თანახმად, "ლეიბორისტული პარტიის" სარჩელის საფუძველზე სემეკ-ს ელექტროენერგიის ტარიფის გაძვირება აეკრძალა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ლონდონი.** 2000 წლის ოქტომბრიდან დღეს ნავთობის ლონდონის საერთაშორისო ბირჟაზე "ბრენტის" მარკის ერთი ბარელი ნავთობის ფასმა 35 დოლარს პირველად გადააჭარბა. საწვავზე მოთხოვნილების ზრდა გამოიწვია გავრცელებულმა ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ აშშ-ის შიდა ბაზარზე ბენზინის ნაკლებობის საფრთხე იქმნება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტი ვერ ასრულებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნას სახელმწიფო ბიუჯეტის 10 მაისამდე მიღებასთან დაკავშირებით. ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ პარლამენტის ბიუროს რიგგარეშე სხდომაზე განაცხადა. მისი თქმით, საქართველოს პარლამენტი სპეციალურ თხოვნას გაუგზავნის საერთაშორისო სავალუტო ფონდს და ბიუჯეტის მიღებისათვის კიდევ 10 დღეს მოითხოვს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მაისიდან ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ათასამდე თანამშრომლის ატესტაცია დაიწყება. 16 მაისიდან ატესტაციას გაივლიან დეპარტამენტის მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის თანამშრომლები. შემდგომში ატესტაციის პროცესი გაგრძელდება თბილისის, აღმოსავლეთ, დასავლეთ საქართველოს ინსპექციებში, ხოლო ბოლოს ატესტაცია აჭარის რეგიონის საგადასახადო სამსახურების თანამშრომლებს ჩაუტარდებათ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სს "თბილგაზმა" სარემონტო სამუშაოების დაწყების გამო ნუცუბიძის ფერდობის I-II მიკრორაიონებსა და ვაჟა-ფშაველას III-VII კვარტლების აბონენტებს ბუნებრივი აირის მიწოდება შეუწყვიტა. ამ აბონენტებისთვის ბუნებრივი აირის მიწოდების აღდგენის თარიღი ჯერჯერობით უცნობია. **მედია-ნიუსი**

**სს „თელას“-ს“ ესაჭიროება შემდეგი მასალები:**

**ს.ს.“თელასი“ ქვემოთჩამოთვლილ საქონელს შეისყიდის იმ ორგანიზაციისგან, ვინც საუკეთესო ფასს და მოწოდების საუკეთესო პირობებს შემოგვთავაზებს.**

| | |
|---|---|
| 1. გადასატანი დამიწება ЗПЛ-1 | 40 ცალი |
| 2. გადასატანი დამიწება ЗПЛ-10 | 6 ცალი |
| 3. გადასატანი დამიწება ПЗРУ-1 | 40 cali |
| 4. გადასატანი დამიწება ПЗРУ –1 | 10 ცალი |
| 5. მანქანის დამიწება | 10 ცალი |
| 6. ტრანსფორმატორი NOM-6 | 4 ცალი |
| 7. ტრანსფორმატორი NOM-10 | 2 ცალი |
| 8.ტრანსფორმატორი ძაბვის NTMI –6 | 3 ცალი |
| 9.ტრანსფორმატორი ძაბვის NTMI -10 | 1 ცალი |
| 10 ტრანსფორმატორი დენის TPL-100/5 | 8 ცალი |
| 11. ძაბვის მაჩვენებელი 2-10 კვ | 30 ცალი |
| 12. ფაზირების მაცვენებელი 2-10 კვ | 6 ცალი |
| 13. დიელექტრიკული ხელთათმანი | 200 წყვილი |
| 14. დამცავი ჩაფხუტი | 153 ცალი |
| 15. უსაფრთხოების ზოლოვანი ლენტი | 9000 მეტრი |
| 16. el.შედუღების ნიღაბი | 11 ცალი |

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა მოგვმართონ ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53; დატოვონ თავიანთი შემოთავაზებები სს „თელასის“ კანცელარიაში ან მობრძანდნენ სს „თელასის“ კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილებაში; თბილისი, ვანის ქუჩა N3, მე-3 სართული.

**სს „თელასი“ აცხადებს ტენდერს შემდეგ სამუშაოებზე :**

**0.4 კვ საჰაერო ხაზების ახალ ბოძებზე გადამონტაჟებაზე**

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა მოგვმართონ: სს „თელასი“; III სართული, კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილება; ტელ: 77 98 55 / 77 98 53 / 77 99 29; ფაქსი: 77 98 19. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა დაიწყება 2004 წლის 3 მაისს. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 10 მაისი.



# მოარგებს თუ არა ჩინეთი საკუთარ თავს ჰონგ კონგის სხეულს?

ლაშა გიორგაძე

წლების მანძილზე ჰონგ კონგის საკითხი ინგლისსა და ჩინეთს შორის დავის საგანი იყო. თუმცა, დიდმა სახელმწიფოებმა, ურთიერთშორისი შეთანხმებებით, ადვილად "მოინელეს პატარა ლუკმა". მეცხრამეტე საუკუნეში დიდ ბრიტანეთსა და ჩინეთის მთავრობას შორის სამი ხელშეკრულება გაფორმდა, რომლებიც უშუალოდ კუნძულ ჰონგ კონგს ეხებოდა. პირველი მათგანი - ნანკინის ხელშეკრულება 1843 წელს იქნა რატიფიცირებული, მოგვიანებით ხელი მოეწერა 1860 წლის პეკინის კონვენციას, 1898 წელს კი გაფორმდა ყველაზე მნიშვნელოვანი შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, ბრიტანეთს კუნძული ჰონგ კონგი სამართავად 99 წლით გადაეცა.

ჩინეთის ოფიციალური ხელისუფლება კუნძულს ყოველთვის თავის ტერიტორიად აცხადებდა, თუმცა, ფაქტები ცხადყოფს, რომ პეკინი მზად იყო, დაეთმო ჰონგ კონგი, როგორც კი მას იძულებულს ხდიდნენ, არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულებისათვის მოეწერა ხელი. უკანასკნელად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ თავისი პოზიცია ოფიციალურ დონეზე, 1972 წელს, გაერო-ს სპეციალური კომიტეტის თავმჯდომარისათვის გაგზავნილ წერილში დააფიქსირა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ იმ პერიოდში მიიღო დეკლარაცია დარჩენილი კოლონიური ქვეყნებისა და ხალხების თავისუფლებისთვის ხელშეწყობის შესახებ. ოფიციალურ წერილში პეკინმა ჰონგ კონგის საკითხი განიხილა, როგორც საშინაო პრობლემა. აქედან გამომდინარე, იგი არ შეიძლებოდა, კოლონიური სახელმწიფოების სიაში შესულიყო. ამის შესაბამისად, გაერო-ს დეკლარაცია არ შეეხებოდა ჰონგ კონგს, როგორც მეტროპოლიაზე დამოკიდებულ სახელმწიფოს.

1997 წელს ჰონგ კონგი, 99-წლიანი მმართველობის შემდეგ, ჩინელებს გადაეცათ. მაშინ პეკინმა პირობა დადო, რომ კუნძულზე კაპიტალისტურ სისტემას და ავტონომიურ მმართველობას არ შეეხებოდა. თუმცა, ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა საფრთხის ქვეშ დააყენა ჰონგ კონგის დემოკრატიული განვითარება. საკითხი კუნძულზე არჩევნების ჩატარებას ეხება, რასაც პეკინში ეწინააღმდეგებიან. ბრიტანეთმა და აშშ-მ ჩინეთის ის გადაწყვეტილება გააკრიტიკეს, რომელიც კუნძულის მოსახლეობას თავისი მომავალი ლიდერის არჩევას უკრძალავს. ბილ რამელმა ბრიტანეთის საგარეო უწყებიდან განაცხადა, რომ ოფიციალური პეკინის ასეთი ნაბიჯი იმ შეთანხმებას არ შეესაბამებოდა, რომლის საფუძველზეც, ჰონგ კონგი 1997 წელს ჩინეთს უკანვე გადაეცა. ბილ რამელმა ასევე განაცხადა, რომ იგი "იმედგაცრუებულია სახალხო კონგრესის გადაწყვეტილებით, რაც გარკვეულად ჰონგ კონგის კონსტიტუციურ განვითარებას ზღუდავს, ეს კი, თავის მხრივ, ძირითადი კანონის შინაარსს ეწინააღმდეგება." აშშ-ს გენერალურმა კონსულმა ჰონგ კონგში ჯეიმს კეითმა კი ვითარება შეაფასა, როგორც "კუნძულის ავტონომიური უფლებების შელახვა."

დღესდღეობით ჰონგ კონგის მოსახლეობა თავის ლიდერს პირდაპირი არჩევნების მეშვეობით ვერ ირჩევს, არსებული კანონმდებლობით მათ მხოლოდ კანონშემოქმედებითი ორგანოს რამდენიმე წევრის არჩევის უფლება აქვთ. მანამ, სანამ ბრიტანეთი კუნძულს ჩინეთის ხელისუფლებას გადასცემდა, გაკეთდა ოფიციალური განცხადება, რომ ჰონგ კონგს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შემადგენლობაში ფართო ავტონომიური უფლებები მიეცემოდა. ეს ითვალისწინებდა შიდა საქმეების ავტონომიის დონეზე, პეკინის ჩაურევლად მოგვარებას. ამ შეთანხმებას ოფიციალურმა პეკინმა ამგვარი ფორმულირება მისცა: "ერთი სახელმწიფო, ორი სისტემა", რაშიც ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე განსხვავებული პოლიტიკური სისტემების არსებობა იგულისხმება. ამავე დროს, ჰონგ კონგისათვის შემუშავდა მინიკონსტიტუცია, ანუ ე.წ. "ძირითადი კანონი", რომლის თანახმად, კუნძულზე შესაძლებელი იყო დემოკრატიული გარდაქმნების განხორციელება. სწორედ ამ კონსტიტუციაზე დაყრდნობით, 2007 წლისათვის ჰონგ კონგის მოსახლეობას პირდაპირი არჩევნების გზით ახალი ლიდერის არჩევის საშუალება უნდა მისცემოდა.



1997 წელი: მაშინ ჰონგ კონგი ჩინეთთან გაერთიანებას ზეიმობდა.

რამდენიმე დღის წინ კი ჩინეთის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში - ეროვნულ სახალხო კონგრესში მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ამგვარი არჩევნების ჩატარების უფლება კუნძულის მოსახლეობას არ აქვს, რადგანაც იგი "სოციალურ დაპირისპირებას და ეკონომიკურ არასტაბილურობას" გამოიწვევს. აქამდე, კუნძულის მმართველი პეკინიდან ინიშნებოდა. როგორც ჩანს, ჩინეთის ხელისუფლება არც მომავალში აპირებს მართვის სადავეების ისეთი პოლიტიკოსისათვის გადაცემას, ვინც შეიძლება სახალხო რესპუბლიკის ეროვნული ინტერესებისათვის არასასურველი იყოს. ერთადერთი, რისი უფლებაც ჰონგ კონგის მოსახლეობას დაუტოვეს, არის "საარჩევნო მეთოდების თანდათანობითი ცვლილებები". ჰონგ კონგის მთავარმა აღმასრულებელმა პირმა თუნგ ჩი-ჰვამ, რომელიც ოფიციალური პეკინის მხარდაჭერით სარგებლობს, სახალხო კონგრესში მიღებული გადაწყვეტილება მოიწონა და ხალხს "სიმშვიდისა და კეთილგონიერებისაკენ" მოუწოდა.

სახალხო რესპუბლიკის ასეთმა გადაწყვეტილებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, როგორც ჰონგ კონგში, ასევე - საზღვარგარეთ. პროდემოკრატიულად განწყობილმა ოპოზიციონერებმა, პროტესტის ნიშნად, ის შეკრება დატოვეს, რომელზეც პეკინის გადაწყვეტილება უნდა განხილულიყო. ისინი ჩინეთს, რომელიც ფეხქვეშ თელავს ხალხის აზრს, ჰონგ კონგის მიმართ დიქტატურაში ადანაშაულებენ.

ჰონგ კონგის გამო, ჩინეთზე აშშ-ს ზეწოლა გაიზარდა. ოფიციალურმა პეკინმა განაცხადა, რომ ვაშინგტონი ჩინეთის საშინაო საქმეებში არ უნდა ერეოდეს. სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელთა განრისხება იმან გამოიწვია, რომ ოპოზიციონერი პოლიტიკოსი მარტინ ლი აშშ-ში შეხვდა პრეზიდენტის მრჩეველს სახელმწიფო უშიშროების საკითხებში კონდოლიზა რაისს, ხოლო სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში ყოფილი ბრიტანეთის კოლონიაში არსებულ დემოკრატიაზე ისაუბრა. ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალური პოზიცია გამოხატა, რომ სახალხო რესპუბლიკა ქვეყნის საშინაო საქმეებში ნებისმიერ ჩარევას წინააღმდეგობას გაუწევდა. სამინისტროს განცხადებაში, კერძოდ, ეწერა: "ჩინეთს ჰყოფნის გონიერება, რათა ჰონგ კონგის საკითხი კანონის შესაბამისად მოაგვაროს და საგარეო ძალების უპასუხისმგებლო განცხადებებს წინ აღუდგება."

ოპოზიციონერი მარტინ ლი აცხადებს, რომ მისი ჩასვლა აშშ-ში ჩინეთთან ურთიერთობის დაძაბვას არ ითვალისწინებს. "მე მჯერა პეკინის ახალი ლიდერებისა, რომლებიც, ბოლოს და ბოლოს, გაიგებენ, რომ რასაც ჩვენ ვაკეთებთ, კარგი იქნება არა მხოლოდ ჰონგ კონგის, არამედ ტაივანისთვისაც," - აღნიშნა მან. მისი ასეთი განცხადება და ტაივანთან პარალელის გავლება შემთხვევითი არ ყოფილა, რადგან ამ კუნძულის ჩინეთის იურისდიქციაში დაბრუნება პეკინისათვის მიუღწეველ მიზნად გადაიქცა. ოპოზიციონერი მარტინ ლის განცხადებით, სწორედ ჰონგ კონგი უნდა იყოს მაგალითი ტაივანისათვის, რათა ამ უკანასკნელმა ერთ სივრცეში განსხვავებული სისტემების წარმატებული თანაარსებობის შესაძლებლობა დაიჯეროს და თავადაც უფრო მჭიდრო თანამშრომლობის სურვილი გამოთქვას. დღევანდელი ვითარებით კი, ორივე კაპიტალისტური ჩანასახი სოციალისტური ჩინეთის ტერიტორიაზე დიდი საფრთხის ქვეშაა.

აშშ-მ ჯერ კიდევ იანვარში გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ ჰონგ კონგში საარჩევნო რეფორმის და საყოველთაო არჩევნების ჩატარებას მხარს დაუჭერდა. "ჩვენი რწმენა მხოლოდ დემოკრატიაშია, - განაცხადა სახელმწიფო დეპარტამენტის პრესმდივანმა რიჩარდ ბაუჩერმა და იქვე დასძინა, - ჰონგ კონგის მოსახლეობამ და მისმა მთავრობამ დემოკრატიული პრინციპების განხორციელება უნდა დაიწყოს." ჰონგ კონგში უფრო და უფრო მცირდება იმ ადამიანების რაოდენობა, რომელთაც პეკინის პოლიტიკის სწამდათ. მათი რაოდენობა კუნძულის მოსახლეობის 43 პროცენტს შეადგენს, რაც დეკემბერში ჩატარებული გამოკითხვის შემდეგ ბევრად ნაკლებია.

# ამერიკელი ოფიცრები ერაყელ პატიმრებს აწამებდნენ

ამერიკულმა ტელეკომპანია "სიბიესმა" სენსაციური მასალა გაავრცელა, რომელიც ბაღდადში აბუ ღრაიბის ციხეში ამერიკელი ოფიცრების მიერ ერაყელი პატიმრების წამებას ასახავს. ამ ოფიცრებს და მათდამი დაქვემდებარებულ ჯარისკაცებს დისციპლინარული სასჯელი ელოდებათ. **"გასულ თვეს, აშშ-ს არმიის სარდლობამ განაცხადა, რომ ერაყში მყოფი 17 ჯარისკაცი და ბრიგადის ერთი გენერალი თანამდებობიდან გაათავისუფლა, ერაყელი პატიმრებისადმი ცუდი მოპყრობის გამო. მაგრამ დეტალები, თუ რა მოხდა სინამდვილეში, აქამდე მკაცრად გასაიდუმლოებული იყო,"** - იუწყება ტელეკომპანია "სიბიესის" ჟურნალისტური საგამოძიებო ჯგუფი "60 წუთი-2." ბრალდებული გენერალი კენის კარპინსკი, ექვს ოფიცერთან ერთად, აბუ ღრაიბის ციხის მმართველი იყო. ისინი უკვე გათავისუფლებულნი არიან დაკავებული თანამდებობიდან და სამშობლოში უკან გაიწვიეს. თავად კარპინსკიმ კი ერაყის ტერიტორია წლის დასაწყისში ამერიკული დანაყოფების როტაციის საფუძველზე დატოვა.

ტელეკომპანია "სიბიესმა" გადასცა ფოტოკადრები, სადაც ასახულია, თუ როგორ აწამებენ ამერიკელი სამხედროები ბოლომდე გაშიშვლებულ ერაყელ პატიმრებს.

ტელეკომპანიის ცნობით, ზოგიერთ ფოტოზე აღბეჭდილია ერაყელი პატიმარი, რომელსაც გენიტალიებზე მავთულები აქვს მიბმული; ზოგიერთ ფოტოზე ასახულია პატიმრებისათვის ძაღლების მისევა, ხოლო ერთ-ერთ ფოტოზე გარკვევით ჩანს, თუ ერაყელ პატიმარ მამაკაცებს სქესობრივი აქტის იმიტირებას როგორ აიძულებენ.

აშშ-ს არმიის სარდლობა აცხადებს, რომ აღნიშნული ქმედება დასაგმობია, მაგრამ ის, რაც აბუ-ღრაიბის ციხეში მოხდა, ერთეული შემთხვევაა.




სახეზე კაპიუშონჩამოცმული ერაყელი პატიმარი დენზეა შეერთებული.

ბრიგადის გენერალმა მარკ კიმიტმა კი განაცხადა, რომ ეჭვმიტანილები არ შეიძლება 150-ათას კაციან სამხედრო კონტინგენტთან გაიგივდნენ. **"ჩვენს არმიას რამდენიმე ადამიანის ქცევით ნუ განსჯით,"** - აცხადებს კიმიტი.

**"გულახდილად გეუბნებით, რომ ყველა ჩვენგანი შეძრწუნებულია ამ ოფიცრების საქციელით. ჩვენ გვიყვარს ჩვენი ჯარისკაცები, მაგრამ გულახდილად გეუბნებით, ზოგჯერ არ შეგვიძლია, მათით ვიამაყოთ,"** - განუცხადა "სიბიესის" საგამოძიებო ჯგუფს გენერალმა კიმიტმა.

**"აბუ ღრაიბის ციხის კედლებში ყოველთვის იმალებოდა სადამის ეპოქის საშინელებანი, თუმცა მისი დამხობის შემდეგ, თითქოს დემოკრატიის პირობებში, აქ კვლავ იბადებიან მონსტრები,"** - წერს გაზეთი "ლა სტამპა."

დამკვირვებლების განცხადებით, ის ფაქტი, რომ ამერიკელები ერაყელებს აწამებდნენ იმ ციხეში, სადაც სადამ ჰუსეინის ჯალათები მის ოპონენტებს სჯიდნენ, არა მარტო ერაყში, არამედ სხვა ქვეყნებშიც საკმაოდ უარყოფითად იქნება შეფასებული.

აბუ ღრაიბის ციხეში ჩატარებული სამხედრო გამოძიების დეტალების გარკვეული ნაწილი ცნობილი გახდა გაზეთ "გარდიანისთვისაც." გაზეთის ინფორმაციით, ციხეში მოთავსებული ერაყელების საქმეთა გამოძიების პროცესს კერძო კონტრაქტორები კურირებდნენ. "გარდიანის" ცნობით კი, ერთ-ერთ კონტრაქტორს ბრალად ედება ახალგაზრდა პატიმარი მამაკაცის გაუპატიურება, თუმცა არსებული სამხედრო კანონი მის წინააღმდეგ სასჯელს არ ითვალისწინებს.

რაც შეეხება გენერალ კარპინსკის, "სიბიესის" ინფორმაციით, მას ოფიციალურად ბრალი წაყენებული არ აქვს. ასევე მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე კი არ აღძრულა, არამედ მხოლოდ ადმინისტრაციული გამოძიება მიმდინარეობს, რაც საბოლოოდ იმით დასრულდება, რომ მას დისციპლინარულ სასჯელს დააკისრებენ.

# სად მთავრდება ევროპა?

*დღეს 10 სახელმწიფო (კვიპროსი, მალტა, ჩეხეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, უნგრეთი, პოლონეთი) ევროკავშირში გაწევრიანდა. თუმცა, გაფართოების პროცესი ამით არ დასრულებულა. ზუსტად არავინ იცის, როდის და სად დასრულდება ევროკავშირის გაფრთოების პროცესი.*

რევაზ ბახტაძე

1989 წელს, ბერლინის კედლის დაცემის შემდეგ, რკინის ფარდის მიღმა მდებარე სახელმწიფოები ევროკავშირს გასაწევრიანებლად "მიაწყდნენ". ბრიუსელმა 1993 წელს სასწრაფოდ შეიმუშავა სპეციალური მოთხოვნების ნუსხა, ე.წ. "კოპენჰაგენის კრიტერიუმები", რომლის თანახმად, კანდიდატი სახელმწიფოები სტაბილური დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის მქონენი უნდა იყვნენ. ამას გარდა, მათ ევროკავშირში არსებული ყველა ვალდებულება უნდა აიღონ, მათ შორის, ინკორპორირება უნდა გაუკეთონ ევროკავშირის უამრავ კანონს.

მკაცრი მოთხოვნების მიუხედავად, უამრავი მსურველი არსებობს და არა მარტო იმ სახელმწიფოთა შორის, რომლებსაც, გეოგრაფიული თვალსაზრისით, ევროპა შეიძლება ეწოდოს. ისრაელმა და მაროკომ გაწევრიანების სურვილი უკვე გამოთქვეს. თუ მათ მოთხოვნას სერიოზულად განიხილავენ, მაშინ რატომ უნდა გამოირიცხოს ალჟირი, სადაც აპრილის დასაწყისში ნორმალური არჩევნები ჩატარდა და რომელიც საფრანგეთს ეკუთვნოდა? რა დააშავა ტუნისმა ჩრდილოეთ აფრიკაში, პირველმა აფრიკულმა სახელმწიფომ, რომელმაც ევროკავშირთან ასოციაციური შეთანხმება გააფორმა?

ევროკავშირის დამფუძნებელ შეთანხმებებში ნათქვამია, რომ წევრები "ევროპულები" უნდა იყვნენ, მაგრამ ეს ტერმინი განმარტებული არ არის. თურქეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი, რომელიც გაწევრიანებას დიდი ხანია ცდილობს, აზიაში მდებარეობს. საქართველო, რომელიც გეოგრაფების მიერ ევროპად არის აღიარებული, სირიას და იორდანიის აღმოსავლეთით მდებარეობს. აზერბაიჯანის გაწევრიანების შანსები, რომელიც ასევე ევროპის ნაწილად ითვლება, ძალზე დაბალია. თუმცა, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დაჟინებით აცხადებს, რომ საბოლოოდ სამხრეთ კავკასიის ყველა სახელმწიფო ევროკავშირის წევრი გახდება.

ზოგიერთები ამბობენ, რომ ევროპა უკვე აღარ არის გეოგრაფიული სივრცის აღმნიშვნელი სიტყვა და იგი გარკვეულ ღირებულებებზე დაფუძნებულ ქვეყნებს აერთიანებს. ეს ღირებულებებია: კანონის უზენაესობა, თავისუფალი ბაზარი და ადამიანის უფლებები. თუმცა, ამგვარი გაგების თანახმად, ევროპამ, შესაძლოა, სამხრეთ კორეა და ოკეანეთის რომელიმე კუნძულოვანი სახელმწიფოც მოიცვას.

ზოგიერთების აზრით, "ევროპელობაში" ევროპული კულტურა იგულისხმება, რომელიც ქრისტიანობასთან არის მჭიდროდ დაკავშირებული. თუმცა, ევროკავშირმა რელიგიური მოსაზრებებით დისკრიმინაცია გამორიცხა და განაცხადა, რომ თურქეთი, ისევე, როგორც ბოსნია, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა მუსლიმია, შესაძლოა, წევრი-სახელმწიფოები გახდნენ.

რაც შეეხება აღმოსავლეთ ევროპის ქრისტიანულ სახელმწიფოებს, როგორც ევროპული რეფორმების ცენტრის ექსპერტმა ჰიტერ გრაბიმ "ეკონომისტისთვის" მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, "ბელარუსი ძალზე ავტორიტარულია, მოლდოვა - ძალზე ღარიბი, უკრაინა - ძალიან დიდი, ხოლო რუსეთი - ძალიან საშიში იმისათვის, რომ ევროკავშირის წევრობა შესთავაზონ". ევროკავშირის საერთო ბაზრის კომისარი ფრიც ბოლკეშტაინი კი თავის წიგნში ამტკიცებს, რომ ეს ქვეყნები, პლუს თურქეთი, შესაძლო კანდიდატების სიიდან საერთოდ უნდა გამორიცხონ.

ამ ქვეყნებისაგან განსხვავებით, ნორვეგიას, შვეიცარიას და რამდენიმე ჯუჯა სახელმწიფოს (ლიხტენშტეინი, მონაკო) გაწევრიანებასთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ ექნებათ, თუ ამას თავად მოისურვებენ.

იმ სახელმწიფოთა უმრავლესობა, რომელსაც გაწევრიანება სურს, ძალზე ღარიბია. მათ ევროკავშირის უზარმაზარი სუბსიდიების პროგრამები ხიბლავთ, რომლის მეშვეობით ერთ დროს ღარიბი ესპანეთი და ირლანდია განვითარებულ სახელმწიფოებად იქცნენ.

ევროკრატების აზრით, ბრიუსელი ამდენ ახალ წევრზე სუბსიდიების ძველებური სიუხვით გაცემას ვეღარ შეძლებს. ამას გარდა, წევრების დიდი რაოდენობა ევროკავშირის მართვას ძალიან რთულს გახდის, სადაც თითოეული გადაწყვეტილება კონსენსუსის გზით მიიღება.

ევროკავშირის მესვეურების თქმით, უმჯობესია, წევრობის მოსურნე სახელმწიფოებს "ფართო ევროპის" ინიციატივა შესთავაზონ, რაც მათ ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის საშუალებას მისცემს, ხოლო პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გატარების სანაცვლოდ, ისინი სხვა სახის შეღავათებსაც მიიღებენ.

## მოკლედ

### მინსკში დიპლომატი დააკავეს

ბელორუსის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ცენტრის უფროსმა ალექსანდრ ბაზანოვმა ხუთშაბათს გაავრცელა ცნობა იმის შესახებ, რომ ბელორუსის სპეცსამსახურებმა პოლონეთის საელჩოს სამხედრო ატაშე კაზიმირ ვიტაშიკი დააკავეს. ვიტაშიკი 27 აპრილს ბელორუსის სახელმწიფო საიდუმლოს ხელში ჩაგდების მცდელობის დროს აიყვანეს, - აცხადებენ ბელორუსის სპეცსამსახურები. მათი მტკიცებით, დაკავებული პოლონელი ბელორუსში პოლონეთის საელჩოს სამხედრო ატაშეს საფარქვეშ მოქმედებდა.

პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ "პოლონეთისათვის ეს გაუგებარი ქმედებაა. მით უმეტეს გაუგებარია ჩვენი ბელორუსი პარტნიორების მხრიდან, მაშინ, როდესაც ჩვენ ვცდილობთ, დავეხმაროთ ამ ქვეყანას პოლიტიკური კატასტროფიდან გამოსვლაში, რომელშიც თავისივე მიზეზით ჩავარდა."

გუშინწინ, პოლონეთის ელჩმა ბელორუსში აღნიშნულთან დაკავშირებით ოფიციალური პროტესტი გამოთქვა, თუმცაღა პოლონელ დიპლომატს სამშობლოში გამგზავრება მაინც მოუწია.

### სამშვიდობო მარში რომის ქუჩებში

რომის პაპმა იოანე-პავლე II საჯაროდ დაუჭირა მხარი გუშინ რომში გამართულ ანტისაომარ გამოსვლებს. რამდენიმე ათასმა მანიფესტანტმა მარშით გაიარა რომის ისტორიულ რაიონში, მათი ნაწილი რომის პაპის მიმართვის მოსასმენად ვატიკანშიც შევიდა.

ერაყში მძევლად აყვანილი სამი იტალიელის ახლობლები იძულებულნი გახდნენ, ამბოხებულთა მოთხოვნებს დათანხმებოდნენ. რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ვიდეომასალა მძევალთა კადრებით, სადაც გამტაცებლები პირობას იძლეოდნენ, რომ გამოუშვებდნენ იტალიელებს, თუ მათი ნათესავები ხელისუფლების პოლიტიკის საწინააღმდეგო გამოსვლებს გამართავდნენ ერაყიდან იტალიური კონტინგენტის გამოყვანის მოთხოვნით. აქციების ორგანიზაციისათვის მათ ხუთი დღე მისცეს. მძევალთა ნათესავები აღნიშნავენ, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ სამშვიდობო აქციაა და არ ნიშნავს, რომ ისინი ტერორისტებს დანებდნენ.

4 იტალიელი 12 აპრილს ბაღდადის მახლობლად აიყვანეს მძევლად. სალვატორე სტეფიო, უმბერტო კუპერტინო და მაურიციო აგლიანა დღემდე მძევლად რჩებიან. მეოთხე მძევალი ფაბრიციო კუატროჩი გამტაცებლებმა, დაახლოებით, ორი კვირის წინ მოკლეს და მისი მკვლელობის კადრები საინფორმაციო საშუალებებით გაავრცელეს.

იტალია ანტიერაყულ კოალიციაში ცოცხალი შემადგენლობით მესამე ადგილზეა. პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი აცხადებს, რომ იტალია ყველა ღონეს ხმარობს მძევალთა გასათავისუფლებლად, თუმცა - დღემდე უშედეგოდ.

აღსანიშნავია, რომ ხელისუფლებაც და ოპოზიციური პარტიებიც ერთსულოვანნი იყვნენ და გამტაცებელთა ამგვარ მოთხოვნებს შანტაჟი უწოდეს.

# ჩვენ გვინდა ჩვენი - ქართული არმია

*30 აპრილი ქართული ეროვნული არმიის შექმნის დღეა, მაგრამ ამის შესახებ, ალბათ, თითო-ოროლა კაცმა თუ იცის საქართველოში. ეს იმ დუხჭირი ყოფის ბრალია, რომელშიც არსებობს და სულს ღაფავს ჩვენი ქვეყნის თავისუფლების გარანტი - ქართული ჯარი. არადა, ყველაფერი სხვანაირად, იმედიანად იწყებოდა. ამის შესახებ გვესაუბრება სამხედრო ექსპერტი, საქართველოს სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, გადამდგარი პოლკოვნიკი თორნიკე პაპავა.*

ზაზა ფარუაშვილი


ბესო გულაშვილის ფოტო

*თორნიკე პაპავა.*

**- ბატონო თორნიკე, როდის და როგორ ჩაეყარა საფუძველი ქართული არმიის შექმნას?**

- 1991 წლის 30 აპრილი საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებულია ქართული ეროვნული არმიის შექმნის დღედ. ახალწვეულების გაწვევაც სწორედ ამ დღიდან დაიწყო.

საერთოდ კი, როგორც ცნობილია, ეროვნული არმიის ჩამოყალიბების მცდელობის სათავეა 1918 წელი. თუმცა, მაშინ ქართულმა არმიამ სრულად ჩამოყალიბება ვერ მოასწრო და 1921 წელს საქართველოში შემოჭრილ რუსეთის მეთერთმეტე არმიის იერიშსაც ვერ გაუძლო. ამრიგად, მოხდა რუსეთის მხრიდან საქართველოს ანექსია, რომელიც 1990 წლამდე გაგრძელდა.

69 წლის შემდეგ, 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ხელმეორედ აღდგა. პრეზიდენტი გახდა ზვიად გამსახურდია, რომლის აქტიური ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით, დაიწყო ქართული ეროვნული არმიის შექმნა.

1990 წლის 20 დეკემბერს საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო № 75 კანონი საქართველოს შინაგანი ჯარის - ეროვნული გვარდიის შექმნის შესახებ ( შემდგომში ეს დღე გამოცხადდა ეროვნული გვარდიის შექმნის დღედ). ვინაიდან საბჭოეთი ჯერ კიდევ არ იყო დაშლილი და საქართველოს არ ჰქონდა რეგულარული ჯარის შექმნის უფლება, ეროვნული არმიისთვის შეირჩა შენიღბული სახელწოდება - შინაგანი ჯარი-ეროვნული გვარდია.

**- როდის დაიწყო გაწვევა და როგორ მიმდინარეობდა ეს პროცესი?**

- 1991 წლის 29 იანვარს, საქართველოს უზენაესი საბჭოს № 110 დადგენილებით, დამტკიცდა დროებითი დებულება შინაგან ჯარში-ეროვნულ გვარდიაში ოფიცრების, ზემდეგების, სერჟანტების და რიგითების მიერ სამხედრო სამსახურის გავლის წესის შესახებ. დამტკიცდა, აგრეთვე, წვევამდელთა სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის დროებითი დებულება. იმავდროულად, შეიმუშავეს სამხედრო ფიცის ტექსტი, რომელიც შეთანხმებული იყო საქართველოს პრეზიდენტთან და კათოლიკოს-პატრიარქთან.

ყველა რაიონისა და ქალაქის ადგილობრივ პრეფექტურებთან შეიქმნა წვევამდელთა სავალდებულო სამსახურში გამწვევი კომისიები და სამხედრო სექტორები, რომლებიც მაშინ წარმოადგენდნენ ყოფილი კომისარიატების ალტერნატიულ ორგანოებს. ისინი დაექვემდებარნენ რესპუბლიკურ გამწვევ კომისიას. სამხედრო სექტორი კი, რომლის უფროსიც მაშინ მე გახლდით, განთავსებული იყო მთავრობის სახლში.

1992 წლის 24 აპრილს, მთავრობის 250-ე დადგენილებით, მიიღეს გადაწყვეტილება წვევამდელთა სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევისა და გვარდიის სამხედრო ნაწილების დაკომპლექტების შესახებ. 1991 წლის 30 აპრილს ოფიციალურად დაიწყო შინაგანი ჯარის-ეროვნული გვარდიის ნაწილების ახალწვეულებით დაკომპლექტება. პირველი გაწვევა საზეიმო ვითარებაში ჩატარდა, ის დღე კი ეროვნული არმიის დაარსების დღედ გამოცხადდა.

აპრილ-მაისში საქრთველოს 30-ზე მეტ ქალაქში უკვე ფორმირებული იყო გვარდიის სამხედრო ნაწილები, ცენტრალური დაქვემდებარების განყოფილებები და უზრუნველყოფის სამსახურები.

1991 წლის 26 მაისს ეროვნულ სტადიონზე საზეიმო ვითარებაში ჩატარდა გვარდიელთა სამხედრო ფიცის მიღება და სამხედრო აღლუმი. ფიცის ტექსტს კითხულობდა საქართველოს პრეზიდენტი ბატონი ზვიად გამსახურდია. მის სიტყვებს მუხლმოდრეკილი გვარდიელები იმეორებდნენ. დასავლეთის ტრიბუნა გადაჭედილი იყო ცრემლმორეული ხალხით.

1991 წლის 10 ივნისს დაიწყო წვევამდელთა გაწვევის მეორე ეტაპი და აგვისტოსთვის გვარდიელთა საერთო რიცხვმა 11 ათასს მიაღწია. გვარდიელები განთავსებულნი იყვნენ ყაზარმებში. ყველას ჰქონდა სამხედრო ფორმა და მიმდინარეობდა მუშაობა სრული აღჭურვის უზრუნველსაყოფად. იმ პერიოდში ძალიან ბევრი ოფიცერი გადმოვიდა საბჭოთა არმიიდან და, საერთო ჯამში, ქართული არმია ანგარიშგასაწევი ძალა გახდა.

**- რატომ გამოეყო ეროვნული გვარდია შინაგან ჯარს?**

- საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიასა და ეროვნული გვარდიის სარდლის თენგიზ კიტოვანს შორის მომხდარი სერიოზული უთანხმოების გამო, 1991 წლის სექტემბერში შინაგანი ჯარი გამოეყო ეროვნულ გვარდიას. თავად გვარდიაც ორ ნაწილად გაიყო - პრეზიდენტის მომხრეებად, რომელსაც ხელმძღვანელობდა ვახტანგ ქობალია და თენგიზ კიტოვანის მომხრეებად.

**- როდის შეიქმნა თავდაცვის სამინისტრო?**

- 1991 წლის 9 სექტემბერს შეიქმნა საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. 15 სექტემბერს კი მინისტრად დაინიშნა გენერალ-მაიორი ჯონი ფირცხალაიშვილი.

მოგეხსენებათ, მალე სახელმწიფო გადატრიალება მოხდა და შეიქმნა სახელმწიფო საბჭო ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით. საქართველოს თავდაცვის მინისტრად კი დაინიშნა გენერალ-მაიორი ლევან შარაშენიძე. თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბება ეროვნული გვარდის ბაზაზე დაიწყო.

1992 წლის 9 მაისს შარაშენიძე შეცვალა თენგიზ კიტოვანმა. შემდგომში თავდაცვის მინისტრები იყვნენ შემდეგი სამხედრო პირები: გიორგი ყარყარაშვილი, რომელიც დაინიშნა 1993 წლის 6 მაისს; ედუარდ შევარდნაძე, რომელმაც ეს პოსტი 1994 წლის 12 თებერვლიდან შეითავსა; ვარდიკო ნადიბაიძე 1994 წლის 26 აპრილს დაინიშნა და დავით თევზაძე - 1998 წლიდან.

ამჟამად თავდაცვის მინისტრია სამოქალაქო პირი გელა ბეჟუაშვილი, რომელმაც სამსახურეობრივი მოღვაწეობა იმდენად კარგად დაიწყო, რომ მისი იმედი გაგვიჩნდა.

**- როგორ ცხოვრობდა ჯარი "ვარდების რევოლუციამდე"?**

- გულის ტკივილით მინდა აღვნიშნო, რომ შევარდნაძისა და მისი მთავრობის მიერ საქართველოს შეიარაღებულ ძალებს არ ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება. ჯარი მინიმალურადაც არ იყო უზრუნველყოფილი - მას ისედაც მწირი ბიუჯეტის ნახევარიც კი არ ეძლეოდა. სამხედროების ყოფა-ცხოვრების პირობები მოუწყობელია, არმია - დისკრედიტებული. ამიტომაცაა, რომ წვევამდელები სამსახურს თავს არიდებენ, მით უმეტეს, რომ "სამხედრო ვალდებულებებისა და სახედრო სამსახურის შესახებ" ახალი კანონის თანახმად, ერთი წლით გადავადება 200 ლარი ღირს, ხოლო ჯარიდან გათავისუფლება - 2000 ლარი ( იმას ნიშნავს, რომ ჯარი იქნება "მუშურ-გლეხური").

გამოდის, რომ საქართველოს კონსტიტუციის 101 მუხლის მოთხოვნის მიუხედავად, სამხედრო სამსახური გახდა არასავალდებულო, რაც, ჩემი აზრით, დიდი შეცდომაა და დამატებით შესწავლას საჭიროებს. თანაც შეიარაღებული ძალების დაკომპლექტების გეგმაში ფულით გათავისუფლებული წვევამდელებიც ითვლებიან. ამის გამო, ბოლო წლებში სამხედრო ძალები სრულად ვერ დაკომპლექტდა და, ცხადია, ბრძოლისუნარიანობაც შესუსტდა.

ისიც საყურადღებოა, რომ სამხედრო კათედრიანი სასწავლებლების სტუდენტებისთვის შეღავათები გაუქმდა, რის გამოც, უმაღლესი განათლების მქონე ჯარისკაცი, ფაქტობრივად, არ გვეყოლება; ეს მაშინ, როცა მთელი პასუხისმგებლობით მინდა განვაცხადო, რომ ქართული შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბების პირველ წლებში ეროვნულ ჯარში სამსახური იყო მეტად პრესტიჟული და საამაყო.

პარადოქსულია ის ფაქტი, რომ გარკვეული თანამდებობის პირების არაპროფესიონალიზმისა და სათანადო ანალიზის გარეშე, გაუქმდა სამხედრო დაკომპლექტების ძირითადი ორგანო სამხედრო კომისარიატი და მისი ქსელი. შესაბამისად, მოიშალა წვევამდელთა დაწყებითი მზადების, მათი აღრიცხვის და სამხედრო სამსახურისთვის მომზადების აწყობილი სისტემა. გაწვევა დაევალა ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის სამოქალაქო ორგანოებს.

ახალი წესების თანახმად, გამწვევი კომისიის თავმჯდომარე უნდა იყოს რაიონის გამგეობის თავმჯდომარე, რომელიც წელიწადში 4-5 თვის მანძილზე აღნიშნული სპეციფიკური თანამდებობის შესრულებას, პრაქტიკულად, ვერ მოახერხებს.

რეზერვისტთა მომზადებასა და მობილიზაციით გაწვევას ხელმძღვანელობს ქალაქებისა და რაიონების სამობილიზაციო განყოფილებები. ისინი თავდაცვის სამინისტროს ეროვნულ გვარდიას ექვემდებარებიან. საჭიროება მოითხოვს და უპრიანიც იქნება, რომ ეს ორი სამსახური გაერთიანდეს ერთ სამხედრო ორგანოდ, რითაც აღდგება შეიარაღებული ძალების დაკომპლექტების ერთიანი სისტემა ომისა და მშვიდობიანობის დროსაც.

ყოველივე ამის გამო, შეიძლება ითქვას, რომ ყოფილმა პრეზიდენტმა და მისმა მთავრობამ ქართული რეგულარული არმია დაშლის ზღვრამდე მიიყვანეს. უმოწყალოდ გაიყიდა თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული სამხედრო ნაწილების შენობა-ნაგებობანი და მიმდებარე ტერიტორიები. განსაკუთრებით, დასანანია დედაქალაქში, ოფიციალურად, ჩალის ფასად გაყიდული სამხედრო ობიექტები.

**- ახალი ხელისუფლების შესახებ რისი თქმა შეგიძლიათ?**

- იმედი გვაქვს, რომ საქართველოს პრეზიდენტი და ახალი ხელისუფლება გაითვალისწინებენ სამხედრო პროფესიონალების აზრს და შეიარაღებულ ძალებში არაპროფესიონალიზმს აღკვეთენ.

დაბოლოს, ვეტერანები მივესალმებით იმ ფაქტს, რომ თავდაცვის სამინისტროში თანამდებობები დაატოვებინეს, თითქმის, ყველა დამნაშავეს, მაგრამ უკმაყოფილონი ვართ, რომ ისინი დაუსჯელად წავიდნენ.

# ღია ცის ქვეშ ან - ნანგრევებში

*გუშინ გამთენიისას, დადიანის ქუჩის 22 ნომერში მდებარე საცხოვრებელი სახლის ფასადი მთლიანად ჩამოინგრა. ნგრევას მსხვერპლი არ მოჰყოლია, თუმცა 14 ოჯახი უბინაოდ დარჩა. 2003 წელს ზავროევის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტმა სახლის მდგომარეობა შეისწავლა, დასკვნაში მიუთითა, რომ შენობა მწვავედ ავარიულია და რეკონსტრუქციას აღარ ექვემდებარება. ამის მიუხედავად, ძეგლთა დაცვა მოსახლეობას კერძო ინვესტორის მიყვანის უფლებას არ აძლევს, სახელმწიფოს კი მისი შეკეთების შესაძლებლობა არ აქვს.*

თამარ დვალი


ვახო ხაინდრავას ფოტო

*საუკუნოვანი შენობა რამდენიმე საათში დაინგრა.*

**"მაინც და მაინც უნდა დავიხოცოთ, რომ ვინმემ ყურადღება მოგვაქციოს? შეხედეთ ამ დანგრეულ შენობას, რაღა ისტორიულ ღირებულებას წარმოადგენს ახლა ეს? ძეგლთა დაცვა გვეუბნება, - ეს არქიტექტურული ძეგლია და კერძო ინვესტორის შემოყვანის უფლებას ვერ მოგცემთო. ისტორიული შენობების დაცვა თუ უნდოდათ, რამდენიმე წლის წინათ უნდა შეეკეთებინათ. მკვდარს გააცოცხლებს ვინმე? - ისე ვეღარ აღადგენენ ამ შენობასაც. სახლი 1905 წელს არის აგებული და, უკვე ოცი წელიწადია, რაც ავარიულია. წუხელი ისეთი სიძლიერით ჩამოინგრა ფასადი და სახლის აივნებიც ჩაიტანა, რომ შენობაში ცხოვრება შეუძლებელი გახდა. ერთადერთი, რაც ძეგლთა დაცვამ გააკეთა, ორნამენტები შეაკეთა, თუმცა კედელზე გამოსახული ქალის ფიგურა ძროხას დაამსგავსეს და წავიდნენ. ჩვენ დაგვიბარეს, - თუ რომელიმე ორნამენტი ჩამოვარდება, არ გადააგდოთ, შეინახეთო. იმდენი ქვა მოვაგროვეთ, რომ სახლს ააშენებს კაცი"...** - ამბობს სახლის მაცხოვრებელი ციალა ხომერიკი.

ორსართულიანი სახლი, რომელიც ერთ დროს, ალბათ, მართლაც წარმოადგენდა ისტორიულ ღირებულებას, დღეს ნანგრევებადაა ქცეული. ძეგლთა დაცვის წარმომადგენლები დაჟინებით აცხადებენ, რომ შენობის დანგრევა კი არა, რესტავრაცია უნდა მოხდეს, თუმცა ვერ აკონკრეტებენ, როდის ექნება სახელმწიფოს მისი სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობა.

2003 წელს ზავროევის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტმა დასკვნაში მიუთითა, რომ დადიანის 22 ნომერში მდებარე სახლი აღდგენა-რეკონსტრუქციას აღარ ექვემდებარება და სასწრაფოდ უნდა მოხდეს მოსახლეობის ევაკუირება. ამ დასკვნის მიუხედავად, ძეგლთა დაცვა მოსახლეობას კერძო ინვესტორის მიყვანის უფლებას არ აძლევს.

შემთხვევის ადგილზე მისული მთაწმინდა-კრწანისის გამგებელი გიორგი ხახნელიძე აცხადებს, რომ მათ მხოლოდ მეორე კატეგორიის სახლების შეკეთება ევალებათ და ასეთი მწვავედ ავარიული სახლის რესტავრირება რაიონის ძალებს აღემატება. **"ყოველი წვიმისა და ქარის დროს მეშინია, რომელიმე სახლი არ დაინგრეს. ჩვენს რაიონში, თითქმის, სულ ასეთი ავარიული სახლებია. პრობლემას ისიც გვიქმნის, რომ უმეტესობა ძეგლთა დაცვას ეკუთვნის და, მათი ნებართვის გარეშე, ჩვენ ვერაფერს ვაკეთებთ",** - განმარტავს ხახნელიძე. გამგეობის წევრებმა შენობას ბრეზენტი გადააფარეს, რომ სახლში წყალი არ ჩასულიყო და მათი დახმარებაც ამით ამოიწურა.

როდესაც მოსახლეობამ საკრებულოში წასვლის გადაწყვეტილება მიიღო, ქალაქის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი, პრემიერი ბიძინა ბრეგაძე და ვიცე-პრემიერი თემურ ქურხული შემთხვევის ადგილზე თავად გამოცხადდნენ. მათ დანგრეული შენობა დაათვალიერეს და მოსახლეობას პრობლემის დროულად მოგვარებას დაჰპირდნენ. **"ჩვენ ხვალვე მოვიწვევთ წარმომადგენლებს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტიდან, ასევე, ინფასტრუქტურის სამინისტროდან და მოვიფიქრებთ, რა შეიძლება გაკეთდეს. თქვენ მოიყვანეთ ინვესტორი, რომელიც თანახმა იქნება, ისეთი პროექტი წარმოადგინოს, სადაც შენობის ფასადი შენარჩუნებული იქნება. არ შეიძლება, ვერც ჩვენ ვაკეთებდეთ საქმეს და არც ხალხს ვაძლევდეთ თავის შველის უფლებას",** - ასეთი იყო ქალაქის ხელმძღვანელობის პოზიცია.

მერიასთან და ძეგლთა დაცვის წარმომადგენლებთან მოსახლეობის შეხვედრა დღეისთვის დაიგეგმა, გუშინ კი დადიანის 22 ნომერში მცხოვრებნი ასეთი არჩევანის წინაშე დარჩნენ: ღამე მათ ან ბრეზენტით გადახურულ, დაბზარულ სახლში უნდა გაეტარებინათ, ან - ღია ცის ქვეშ.






**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**

## აცხადებს კონკურსს

სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებების მონიტორინგის ფარგლებში პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და კოლეჯებში მონიტორინგის ჩატარების მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს კონკურსს. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთა მიზნები და საქმიანობის სფერო სოციალური ჯგუფების კვლევას მოიცავს.

პროექტი მიზნად ისახავს ინფორმაციის მოკვლევას, შესაბამისი მონაცემთა ბაზის შექმნასა და მიღებული ინფორმაციის დამუშავებას. პროექტი განხორციელდება საქართველოს რეგიონების მიხედვით.

მსურველმა ორგანიზაციებმა უნდა წარმოადგინონ მოკლე ინფორმაცია განხორციელებული საქმიანობის შესახებ, ორგანიზაციის წესდების ასლი და სამოტივაციო წერილი შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**

0102 თბილისი, უზნაძის ქ. N52 ტელეფონი: **95-48-69.**
საკონტაქტო პირი: ქ-ნი **ეკა დგებუაძე**

**დოკუმენტაციის წარდგენის საბოლოო ვადაა 2004 წლის 20 მაისი.**

# დარიალის საგუშაგო კონტრაბანდისტებმა "აიღეს"

პირველი გვერდიდან

ბადრი ბიწაძის ამ ანტიკონტრაბანდულ მითითებას წინ უძღოდა ორი ქვეყნის - საქართველოსა და რუსეთის სასაზღვრო უწყებების ხელმძღვანელთა შეხვედრა და ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმება. რუსეთის ფედერალური სასაზღვრო უწყების ხელმძღვანელს, უშიშროების ფედერალური სამსახურის დირექტორის მოადგილეს ვლადიმირ პრონიჩევსა და ბადრი ბიწაძეს შორის დადებული ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმება ორი ქვეყნის მესაზღვრეების მიერ ერთობლივი საპატრულო ღონისძიებების გატარებასა და საზღვრის მკაცრად დაცვას ითვალისწინებს.

**"დღეიდან არც ერთმა მხარემ არ უნდა დაუშვას უკანონო ქმედებები მათი ქვეყნის სასაზღვრო ზოლში. რუსეთი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საერთო საზღვრის უსაფრთხოების სფეროში საქართველოსთან თანამშრომლობას. დადგა მომენტი, როდესაც კონკრეტული ერთობლივი ღონისძიებების რეალიზაციის დაწყება აუცილებელია"**, - წერია ორი ქვეყნის სასაზღვრო უწყების ხელმძღვანელთა მიერ ხელმოწერილ 2006 წლამდე ურთიერთთანამშრომლობის გეგმაში, რომლის ერთ-ერთი პუნქტი ითვალისწინებს **"ერთობლივ საჯარისო-ოპერატიულ ღონისძიებებს დარიალის ხეობაში - საქართველოს სამხედრო გზაზე, ასევე სხვა მონაკვეთებზე."** ერთობლივად გასაკონტროლებელ ტერიტორიათა შორისაა იმ სადავო მონაკვეთის 3-კილომეტრიანი ზოლი, რომელიც საქართველოსა და რუსეთის საზღვარს შუა მდებარეობს და რომელსაც "შეუთანხმებელ ტერიტორიას" ეძახიან. სხვათა შორის, ხსენებული გეგმის ხელმოწერას წინ უსწრებდა ორი ქვეყნის სასაზღვრო უწყების წარმომადგენელთა კიდევ ერთი შეხვედრა, რომელიც 30 მარტს შედგა. საქართველოს სასაზღვრო ძალების შტაბის უფროსი კორნელი სალია თავის რუს კოლეგას შეხვდა. მათ დარიალისა და ზემო ლარსის სასაზღვრო ზოლს შორის არსებული შეუთანხმებელი ტერიტორიის სრული გაწმენდისა და ორმხრივი პატრულირების გადაწყვეტილება მიიღეს. შეუთანხმებელი ტერიტორიის გაწმენდის შესახებ ორმხრივი შეთანხმების მიღება იქ არსებულმა სიტუაციამ განაპირობა. კონკრეტულად, კონტრაბანდული ტვირთების მასშტაბურმა მოძრაობამ. **"შეუთანხმებელ ტერიტორიაზე საშინელება ხდებოდა, ლიილოს ბაზრობაზე გეგონებოდათ თავი, მთელი კონტრაბანდა აქ იყრიდა თავს და მიდიოდა გადატვირთვები. ეს არ იყო სახელმწიფო საზღვარი, აქ იყო ბაზარი,"** - აცხადებს დარიალის საგუშაგოს ახლად დანიშნული კომენდანტი მინდია არაბული. კონტრაბანდისტთა სამუშაო სქემა ასეთი იყო: ტრანზიტული ტვირთი საქართველოს საზღვარს საბაჟო და სასაზღვრო წესების დარღვევით კვეთდა, შედიოდა შეუთანხმებელ ტერიტორიაზე, სადაც ტვირთის მეპატრონეებს რუსი პარტნიორები ხვდებოდნენ, რომელთა მიერ იმავე წესით რუსეთიდან შემოყვანილ ტრაილერებშიც ხდებოდა ქართველ კონტრაბანდისტთა საქონლის გადატვირთვა და რუსეთში გატანა. ეს მეთოდი წლების წინ, სპირტის ბიზნესის აყვავების პერიოდში დამკვიდრდდა და ბოლო დრომდე გრძელდებოდა.

24 აპრილს სასაზღვრო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ბადრი ბიწაძემ დარიალის საგუშაგოს კომენდანტს მინდია არაბულს ჯერ სიტყვიერი, ხოლო შემდეგ წერილობითი ბრძანება მისცა და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ კანონის დაცვა დაავალა. ამ კანონის ერთ-ერთი მუხლით, სასაზღვრო ზოლში, სარეჟიმო და შეუთანხმებელ ტერიტორიებზე სამეურნეო ან სხვა სახის საქმიანობის წარმოება კატეგორიულად იკრძალება. თავმჯდომარის ბრძანების მიღებისთანავე საქართველოს საზღვარი "ჩაიკეტა". საქართველოს საზღვარს მიმდგარი 20-ტონიანი 70 სატვირთო მანქანა, რომელიც შეუთანხმებელ ტერიტორიაზე აპირებდა გადასვლას, ახლაც დარიალის საგუშაგოზე დგას. მართალია, ისინი მესაზღვრეებს არ დაუკავებიათ, მაგრამ ტვირთის მეპატრონეთა მიერ დაქირავებული მანქანის მძღოლებისთვის მიცემული ახსნა-განმარტების შემდეგ მათ საზღვრის გადაკვეთა და შეუთანხმებელ ტერიტორიაზე შესვლა თავად ველარ გაბედეს. საქმე ისაა, რომ მძღოლთა უმეტესობას საზღვრის გადაკვეთისთვის საჭირო დოკუმენტაცია არ მოეპოვება, თუმცა არიან მძღოლებიც, რომელთაც წესრიგში აქვთ დოკუმენტაცია, მაგრამ მესაზღვრეებისგან მიღებული გაფრთხილების გამო, რომ შეუთანხმებელ ტერიტორიაზე საქონლის გადატვირთვის შემთხვევაში მათ პასუხისგებაში მისცემენ, საზღვარს ვერ კვეთენ. ასეთი განმარტება მოგვცეს ტვირთის მეპატრონეების მითითების მოლოდინით დაღლილმა მანქანის მძღოლებმა.

**"მივიღე დეპარტამენტის თავმჯდომარის ჯერ სიტყვიერი, შემდეგ წერილობითი ბრძანება, რომ შეუთანხმებელ ტერიტორიაზე ტვირთების გადაზიდვა და სამეურნეო საქმინობის წარმოება არ მომხდარიყო. ტვირთის მეპატრონეებსა და მძღოლებს განვუმარტეთ საქმის არსი, გავაცანით კანონი. ამის შემდეგ ატყდა სკანდალი. ვინ აღარ მირეკავდა, ერთ დღეს დავითვალე - 245 ზარი შემოვიდა ჩემს ტელეფონზე. ერთი დამემუქრა კიდეც, ისეთი ზურგი გვაქვს, ჯოხი საბოლოოდ შენზე გადატყდებაო. როგორც მითხრეს, მუქარის ავტორი, რომლის ტვირთიც - ხორცითა და ბარკლებით გატენილი 20-20-ტონიანი ტრაილერები აქ დგას, ერთ-ერთი ცნობილი ბიზნესმენის სახელით მემუქრებოდა.**



"დღეიდან არც ერთმა მხარემ არ უნდა დაუშვას უკანონო ქმედებები მათი ქვეყნის სასაზღვრო ზოლში."

**საქმე ისაა, რომ ჩვენ არავის ვაკავებთ, ვუშვებთ ყველას, მაგრამ თავად არ მიდიან, რადგან იციან, ტვირთს არ გადავატვირთვინებთ. თანაც, რუსი მესაზღვრეები დადებულ ხელშეკრულებას მკაცრად იცავენ, მანქანები იქიდან არ შემოდის,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას საგუშაგოს კომენდანტმა მინდია არაბულმა, რომელმაც საზღვარსა და შეუთანხმებელ ტერიტორიაზე წესრიგის დამყარებისთვის, კონტრაბანდული გზების გადაკეტვისთვის 12 საათი ჰაუპტვახტში გაატარა. როგორც ჩანს, ტვირთის მეპატრონემ მუქარა შეასრულა და გავლენიანი მფარველის დახმარებით საგუშაგოზე შსს-ს გენერალური ინსპექციის თანამშრომელი გააგზავნეს. ჩვენს შეკითხვაზე - რის საფუძველზე ჩავიდნენ ინსპექციის თანამშრომლები კომენდანტის საქმიანობის შესამოწმებლად? შსს-ს გენერალური ინსპექციის უფროსის დავით ჯინჯოლავასგან ასეთი მოკლე პასუხი მივიღეთ: **"მოკვლევა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე მოხდა, მასალები გადავეცით სამხედრო პროკურატურას, მეტს ვერაფერს გეტყვით."** მოკვლეული მასალები ინსპექციამ სამხედრო პროკურატურას გადაუგზავნა, სადაც მინდია არაბული თანამდებობის გადამეტებაში დაადანაშაულეს.

**"მასალები შსს-ს გენერალური ინსპექციიდან მივიღეთ, სადაც გაცემული იყო დასკვნა, ფაქტი დანაშაულის ნიშნებს შეიცავსო, სხვა არაფრის თქმა არ შემიძლია,"** - ჩვენთან საუბრისას განაცხადა მთავარმა სამხედრო პროკურორმა პაატა ჯახუტაშვილმა, რომელსაც, შსს-ს გენერალური ინსპექციის უფროსის დავით ჯინჯოლავას მსგავსად, მინდია არაბულის დაკავების ფაქტზე არგუმენტირებული პასუხის გაცემა გაუჭირდა.

თბილისის სამხედრო პროკურატურაში დაკითხვაზე დაბარებული კონტრაბანდის წინააღმდეგ მებრძოლი კომენდანტი გამომძიებელმა, ფაქტობრივად, დააპატიმრა; თუმცა მეორე დღეს ჰაუპტვახტში გამოკეტილი მინდია არაბული გაათავისუფლეს და მან კომენდანტის მოვალეობის შესრულება კვლავ განაგრძო. ამ სიტუაციაში ყველაზე საინტერესო ისაა, რომ კონტრაბანდისტთა ოპერატიული შეტყობინების საფუძველზე და გაუგებარი სამართლებრივი არგუმენტით დაკავებული კომენდანტის გათავისუფლება პრეზიდენტის ჩარევის შემდეგ მოხდა. საქმე ისაა, რომ მინდია არაბულის დაკავებისა და კონტრაბანდისტთა გავლენიანი მფარველების მიერ საგუშაგოზე ატეხილი აურზაურის შესახებ პრეზიდენტ სააკაშვილს ინფორმაცია სასაზღვრო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ბადრი ბიწაძემ მიაწოდა. საქართველოს პრეზიდენტს მომხდართან დაკავშირებით კატეგორიული პოზიცია ჰქონდა და საბოლოოდ მოხდა ის, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა გათავისუფლებულ მინდია არაბულს ანტიკონტრაბანდული ღონისძიებების გაგრძელების თაობაზე უფრო მკაცრი დავალება მისცა. **"შეუთანხმებელი ტერიტორია გასუფთავებულია; როგორც ნახეთ, აქ ახლა სიწყნარეა, მძღოლები საზღვარს იქით დგანან და ელოდებიან ტვირთის მეპატრონეებს. არის ერთი ძირითადი მომენტი: ეს ტერიტორია სადავოა და თუ მის კონტროლს ჩვენ არ მოვახდენთ, მეორე მხარე გააკონტროლებს და ჩვენი უყურადღებობის შედეგად მივიღებთ იმას, რომ შეიძლება ტერიტორია დავკარგოთ. ძალიან მაკვირვებს, რატომ არ ფიქრობენ ამაზე ის ბიზნესმენები, რომლებმაც მუქარით ამიკლეს? მეგონა, მადლობას მეტყოდნენ წესრიგის დამყარებისთვის, მაგრამ დამიჭირეს და საქმის კურსში რომ არ ჩაეყენებინათ საქართველოს პრეზიდენტი, ალბათ, სამთვიან პატიმრობასაც მომისჯიდნენ. შევარდნაძის ხელისუფლების დროს, ალბათ, სამართალს ვერც ვიპოვნიდით. ის ადამიანები, ვისი ტვირთიც აქ დგას და რომელთა კონტრაბანდისტული საქმიანობით ქვეყნის ბიუჯეტს უზარმაზარი თანხები აკლდებოდა, საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ მათი შექმნილი სქემები დაირღვა, რომ მათი დანაშაულებრივი საქმიანობა დასრულდა,"** - აცხადებს დარიალის საგუშაგოს კომენდანტი მინდია არაბული.

შპს "დარიალი", კომპანია "ფორტექს ლაინი", შპს "სდს" - ეს იმ ფირმათა სახელებია, რომელთა ტრანზიტული ტვირთით დატვირთული მანქანები ახლაც დარიალის საგუშაგოს სიახლოვეს დგას. როგორც მესაზღვრეები და იქ მყოფი მძღოლები აცხადებენ, ერთ-ერთი კომპანიის არაოფიციალური მფლობელია კომპანია "სამგორი-ჯგუფის" მეპატრონე ავთანდილ წერეთელი. თუმცა, ამის დამადასტურებელი არანაირი ოფიციალური დოკუმენტაცია არ არსებობს. **"საგუშაგოზე გაჩერებული ტვირთი "სამგორი-ჯგუფის" ნამდვილად არ არის. ის ხორცი და ბარკლები ამერიკული კომპანია "ფორტექს ლაინისაა", გადამზიდავია ქართული მხარე "ტრანს ლოჯიკ სტიქსი". კონტრაქტით გათვალისწინებულია, რომ გადატვირთვა უნდა მოხდეს ნეიტრალურ ზონაში, რადგან, უსაფრთხოების ნორმების დაცვიდან გამომდინარე, რუსეთი უარს ამბობს ტვირთის საომარ ზონაში მიღებაზე,"** - ასეთი კატეგორიული კომენტარი გააკეთეს "სამგორი-ჯგუფში". თუმცა, გაუგებარი დარჩა, რატომ ფლობენ "სამგორი-ჯგუფში" ამერიკული კომპანია "ფორტექს ლაინისაა" და "ტრანს ლოჯიკ სტიქსის" ხელშეკრულების დეტალებს.

**"რას ელოდებიან ტვირთის მეპატრონეები გაუგებარია, უკანონო გზით ტვირთის გატარება არ მოხდება, სახელმწიფო საზღვარი ბაზარი არ არის და ამის უფლებას არავის მივცემთ,"** - აცხადებს საქართველოს პრეზიდენტისა და საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის რწმუნებით აღჭურვილი დარიალის საგუშაგოს კომენდანტი მინდია არაბული.

# მხოლოდ იურიდიული განათლება პოლიციელობისთვის საკმარისი არ იქნება

*შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში წელს კურსანტებს არ მიიღებენ. აკადემიის ფასიანი განყოფილებები გაუქმდება და დაუსწრებელი სწავლების ფორმა აღარ იარსებებს. დასწრებული ფაკულტეტების ხუთასი ვაკანტური ადგილი სამასამდე შემცირდება. ამ ცვლილებებს აკადემიის რეფორმა ითვალისწინებს. რეფორმა შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის შტატების შემცირებასაც გულისხმობს.*

**"რეფორმის გასატარებლად დონორი ორგანიზაციებისგან უკვე გამოყოფილია სპეც-სახსრები და რამდენიმე მილიონი დოლარის დახმარებასაც აკადემია უცხოური დონორი ორგანიზაციებისგან მალე მიიღებს",** - აცხადებს შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი ბარამიძე. მინისტრს არასწორად მიაჩნია აკადემიაში სიმბოლური ხელფასების აღების ხარჯზე შტატების ხელოვნურად გაზრდა. ერთი სიტყვით, მაისიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში შტატები 50 პროცენტით შემცირდება.

როგორც აკადემიის ახალი რექტორი ლევან იზორია განმარტავს, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება აკადემიის ბათუმის ფაკულტეტის არსებობაც. მაისიდან გასამმაგდება მასწავლებლების ხელფასი (400 ლარამდე). ევროკავშირის ეგიდით ივნისში დაიწყება მასწავლებელთა გადამზადება, ევროკავშირის ექსპერტების დახმარებით შემუშავდება ახალი სასწავლო პროგრამები. რაც ყველაზე მთავარია, მომავალში შსს-ს სისტემის საპოლიციო და საგამოძიებო სამსახურებში მუშაობის დასაწყებად სავალდებულო იქნება აკადემიაში სწავლის კურსის გავლა. სხვა უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ექნებათ, იმუშაონ შსს-ს სისტემის მხოლოდ არაპოლიციურ სამსახურებში.

**"სექტემბრიდან მუშაობას დაიწყებს პირველდაწყებითი მოზმადების კურსები, რომლის ხანგრძლივობაც იქნება 3 თვე. ყველა იმ პირმა, რომელიც განაცხადებს სურვილს, დაიწყოს მუშაობა შსს-ს სისტემაში რიგითი შემადგენლობის თანამდებობაზე, აუცილებლად უნდა გაიაროს აღნიშნული კურსები"**, - აცხადებს აკადემიის რექტორი.

ერთი სიტყვით, ამიერიდან შსს-ს სისტემაში რიგითად ყველა ვერ იმუშავებს. იმსახურებს მხოლოდ ის, ვინც წარმატებით გაივლის პირველდაწყებითი მომზადების კურსს.

ლევან იზორიას განმარტებითვე, მეოთხე კურსელები, რომლებიც ამჟამად სწავლობენ აკადემიაში, სახელმწიფო გამოცდებს დეკემბერში ჩააბარებენ. მეორე-მესამე კურსელებთან კი დაიწყებენ იმ პროგრამით მუშაობას, რომელიც სექტემბრამდე უნდა მომზადდეს. ფასიანი და დაუსწრებელი ფაკულტეტების სტუდენტების ბედი განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით გადაწყდება და მათ სხვა უმაღლეს სასწავლებლებში გადაანაწილებენ.

მოკლედ, შსს-სა და პოლიციის აკადემიაში დაგეგმილი რეფორმების შესაბამისად, მომავალში პოლიციელთათვის მარტო იურიდიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი საკმარისი აღარ იქნება. აკადემიის რექტორის, ლევან იზორიას თქმით, საუნივერსიტეტო განათლება პრაქტიკოსი პოლიციელისათვის სპეციალიზირებულ განათლებას ვერ იძლევა და, როგორც ყველა განვითარებულ ქვეყანაში, საქართველოშიც პოლიციელები სპეციალიზირებულ განათლებას აკადემიაში მიიღებენ.

როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი და აკადემიის რექტორი ირწმუნებიან, შსს-ში დაწყებული რეფორმები, პირველ რიგში, მიმართული იქნება აკადემიის პედაგოგ-მასწავლებლების პირობების მკვეთრად გაუმჯობესებისკენ. აკადემიის ყველა პროფესორ-მასწავლებელს მინიმუმ სამჯერ გაეზრდება ხელფასი, თუმცა მათი რიცხვი დაგეგმილი ატესტაციის საფუძველზე მნიშვნელოვნად შემცირდება.

*24 საათი*

# ფინანსური აფიორა თერჯოლის შამპანურის ქარხანაში

*გუშინ ფინანსური პოლიციის მეექვსე განყოფილებამ თერჯოლის შამპანურის კომბინატის კუთვნილი 100 ტონა ფალსიფიცირებული ღვინო დალუქა, რომელიც საწარმოს თერჯოლის სასურსათო კომბინატში ჰქონდა გადამალული. ფინანსური პოლიციის ოპერატიული სამსახურის უფროსის სოსო გაბრიჩიძის ინფორმაციით, აღნიშნული ღვინოდან სისტემატურად ისხმებოდა შუშხუნა ღვინოები სამარკო ნიშნებით "თერჯოლა" და "ვაზისა", რომლითაც სასურსათო მაღაზიებს ამარაგებდნენ. უკანასკნელად აღნიშნული შუშხუნა ახალი წლის დღეებში ჩამოისხა.*

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

"ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ თერჯოლის სასურსათო კომბინატში შესანახად მიიტანეს 100 ტონა ფალსიფიცირებული ღვინო. სინამდვილეში კი აღნიშნული ღვინო თერჯოლის შამპანურის ქარხნის ხელმძღვანელობამ გადამალა. ღვინოს ექსპერტიზა ჩაუტარდა და იგი ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის სახიფათო აღმოჩნდა. ღვინო ამღვრეულია და სპეციფიკური სუნი აქვს. ამჟამად იგი დალუქულია და სინჯები ლაბორატორიული შემოწმებისათვის არის წაღებული; გამოძიება მიმდინარეობს და პასუხისმგებელ პირებს დაადგენენ", - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ფინანსური პოლიციის ოპერატიული სამსახურის უფროსმა სოსო გაბრიჩიძემ.

"ამოღებული 100 ტონა ღვინო ფალსიფიცირებულია და სტანდარტებს არ შეესაბამება. ექსპერტიზა დაადგენს ამ ღვინის ხანდაზმულობასაც და იმასაც, ეს ღვინო წლების წინ თერჯოლის შამპანურის ქარხნიდანაა გამოტანილი, თუ მოგვიანებით არის საცავებში ჩასხმული. სრული შემოწმება ჩატარდება თერჯოლის შამპანურის ქარხანაში და სასურსათო კომბინატშიც ყველა აგებს პასუხს, ვინც ამ დანაშაულს ხელი შეუწყო, მათ შორის - სახელმწიფო მოხელეებიც", - აცხადებს ფინანსური პოლიციიის იმერეთის განყოფილების უფროსი მიხეილ ხარაბაძე.

თერჯოლის შამპანურის კომბინატი "ვაზისა-200" ბონდო შალიკიანის კუთვნილებაა. იგი ამჟამად პატიმრობაშია და ჯერჯერობით უცნობია დაამძიმებს თუ არა მის ბრალს ფალსიფიცირებული შუშხუნა ღვინის წარმოება. მიუხედავად ამისა, სამართალდამცველებში აღნიშნული ქარხნის პრივატიზებაც ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს. თავის დროზე შაშიაშვილი აცხადებდა, რომ "შამპანურკომბინატი ბანდიტებს ჩაუვარდათ ხელში". მაშინ იმერეთის ყოფილი გუბერნატორი ბანდიტებად მოიხსენიებდა ბონდო შალიკიანს, პრეზიდენტის რწუნებულს ემზარ კვიციანსა და ვანო ონიანს. თავის დროზე შალიკიანმა აღნიშნული კომბინატი ბანკის მიერ გამოცხადებულ აუქციონზე შეიძინა (ბანკმა "შამპანურკობინატი" ერთ-ერთი ფირმის დავლიანების გამო დააყადაღა და გაყიდა). კონტროლის პალატამ აღნიშნული ქმედების კანონიერება შეისწავლა და დაადგინა: ბანკს უფლება არ ჰქონდა, რომ გაეყიდა "ვაზისას" ქონება, მით უმეტეს - ღვინო მასალები, რომელიც "ვაზისას" საკუთრება არ იყო და მისი ფლობის უფლება მხოლოდ სახელმწიფოს ჰქონდა. ამასთან დაკავშირებით თემურ შაშიაშვილი აცხადებდა, რომ ბონდო შალიკიანის, ემზარ კვიციანისა და ვანო ონიანის მიერ "ვაზისას" ხელში ჩასაგდებად ფინანსური აფიორა განხორციელდა. მისი განმარტებით, ბანკიდან სესხი სწორედ აღნიშნულმა პირებმა გამოიტანეს და შემდეგ ვალის გადაუხდელობის გამო გაყიდული "ვაზისა" იმავე კრედიტით იყიდეს.

"თერჯოლის "შამპანურკომბინატში" აფიორა განხორციელდა, რის საფუძველზეც იგი ვანო ონიანს, ემზარ კვიციანს და ბონდო შალიკიანს ჩაუვარდა ხელში. მანამდე კი კომბინატმა რამდენიმე კრიმინალური დაჯგუფება გამოირა. ამ ხლხმა ბანკიდან 700 000 ლარის სესხი გამოიტანა, სანაცვლოდ კი ბანკში საწარმოს ძირითადი საშუალებები ჩადო. შემდეგ ვალდებულება არ შეასრულა, რის გამოც ბანკმა "ვაზისა" გაყიდა. მათ კი იგი ბანკიდან გამოტანილი სესხით იყიდეს, ანუ იგივე ფული დააბრუნეს უკან. იმ დროს პრეზიდენტი ზესტაფონში იმყოფებოდა და ამის თაობაზე მოვახსენე, ვუთხარი, რომ თერჯოლაში კატასტროფა ხდებოდა. მან აილო ყურმილი, მაშინდელ შინაგან საქმეთა მინისტრს თარგამაძეს დაუკავშირდა და უთხრა, რასაც შაშიაშვილი მეუბნება, ეს კატასტროფაა და საქმე შეისწავლეთო. როგორც ვიცი, მათ აბსოლიტურად არაფერი გაუკეთებიათ. "ვაზისას" მილიონნახევარი სახელმწიფოს ვალად აჰკიდეს", - ასე გვიამბო თემურ შაშიაშვილმა თერჯოლის "შამპანურკომბინატის" ისტორია.

სხვათა შორის, შაშიაშვილის მიერ დასახელებულ პირთაგან ერთ-ერთს - ვანო ონიანს - სამართალდამცველები ტარიელ ონიანთან დაახლოებულ პიროვნებად მიიჩნევენ. ტარიელ ონიანთან დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს ბონდო შალიკიანსაც. აქედან გამომდინარე, სამართალდამცველები ასკვნიან, რომ ესპანეთში მოღვაწე ქართველ ავტორიტეტსაც გააჩნია თერჯოლის "შამპანურკომბინატში" საკუთარი ინტერესები.

# გენერალ-მაიორი ლევან კენჭაძე იზოლატორში გადაიყვანეს

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიამ გუშინ დააკამყოფილა გენერალური პროკურატურის მოთხოვნა და უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელი ლევან კენჭაძე ორთაჭალის მეხუთე იზოლატორში გაისტუმრა. გენპროკურატურის მოთხოვნა შესრულებულია - ყოფილ მაღალჩინოსანს მართლმსაჯულებამ წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა. ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება მხოლოდ და მხოლოდ უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატაში არის შესაძლებელი. მართალია, დაკავებული და მისი ინტერესების დამცველი გუშინ სხვაგვარი გადაწყვეტილების მოსმენას არც ელოდნენ და იმასაც ნაკლებად ვარაუდობენ, რომ გასაჩივრების შემდეგ რაიმე შეიცვლებოდა, თუმცა ბრალდებულ კენჭაძისთვის შეფარდებული წინასწარი სამთვიანი პატიმრობა კანონით გათვალისწინებულ ვადაში მაინც გასაჩივრდება.

ანტიტერორისტული ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელი კვლავ დუმილის უფლებით სარგებლობს და არც გუშინდელ სასამართლო პროცესს დასწრებია.

შეგახსენებთ, საქართველოს უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის ყოფილ უფროსს ლევან კენჭაძეს გენერალურმა პროკურატურამ თანამდებობის ბოროტად გამოყენების მუხლით ბრალი გუშინწინ წაუყენა. გენერალური პროკურატურა ყოფილ მაღალჩინოსანს, რომლის გვარიც წლების განმავლობაში (ოფიციალურად თუ არაოფიციალურად) სხვადსხვა დანაშაულზე საუბრისას ფიგურირებდა, ჯერჯერობით მხოლოდ უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის უფროსად მუშაობის პერიოდში, 1999-2000 წლებში, სამინისტროს ბალანსზე არსებული რამდენიმე ათეული ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ ჩამოწერაში ადანაშაულებს. გენერალ-მაიორ ლევან კენჭაძის ადვოკატი ვახტანგ თალაკვაძე კი კვლავ ირწმუნება, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის წაყენებული ბრალდებები უსაფუძვლოა. საუბარია კენჭაძის ანტიტერორისტული ცენტრის უფროსობისას უშიშროების სამინისტროს კუთვნილი სპეციალური იარაღის მიზანმიმართულად განადგურებაზე, თუმცა გამოძიებით იკვეთება, რომ ეს იარაღი არ იქნა განადგურებული და პანკისის ხეობაში ჩეჩნებზე გაყიდეს.

იარაღის ჩამოწერის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე სამხედრო პროკურატურაში ჯერ კიდევ ორი წლის წინ აღიძრა, თუმცა იგი დროებით შეწყვეტილი იყო. გენერალურმა პროკურატურამ სამხედრო პროკურატურიდან საქმე რამდენიმე დღის წინ გამოითხოვა და გამოძიება განაახლა.

**"გამოძიება ლევან კენჭაძეს იარაღის ჩამოწერას ედავება, თუმცა რაიმე ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც დაამტკიცებს, რომ კენჭაძეს, როგორც ანტიტერორისტული ცენტრის უფროსს, ამგვარი ქმედების განხორციელების უფლება არ ჰქონდა, არ არსებობს. სადავო იარაღი რეალურად განადგურებულია, რაზეც შესაბამისი აქტიც არსებობს",** - აცხადბს ყოფილი მაღალჩინოსნის ადვოკატი.

*24 საათი*

# დღეს ევროკავშირს ათი ქვეყანა შეემატა

პირველი გვერდიდან

22 აპრილს ევროკავშირის წარმომადგენლობამ საქართველოში ჩეხეთისა და პოლონეთის სრულუფლებიან ელჩებს და ლიტვისა და ლატვიის საპატიო კონსულებს უმასპინძლა.

"ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ, ახალი წევრი ქვეყნებისთვის ბევრი გამოწვევა გაჩნდება. ამ ქვეყნებმა კანონმდებლობის, მმართველობის სისტემის და ეკონომიკის ევროსტანდარტებთან მისადაგება უნდა შეძლონ. ეს სერიოზული პროცესია, მაგრამ ყველა გამოწვევას ძველი და ახალი წევრები ერთობლივი ძალისხმევით გადალახავენ," - განაცხადა საქართველოსა და სომხეთში ევროკომისიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ტორბენ ჰოლცემ.

"პირველი მაისი ჩვენთვის სიმბოლური დღეა, მაგრამ ჩვენ ძალიან კარგად გვაქვს გაცნობიერებული ისიც, რომ ამ დღეს პოლონეთის ცა არც უფრო ნათელი და არც უფრო ღრუბლიანი იქნება. ეს იქნება ხანგრძლივი პროცესი, რომელიც ჩვენ უნდა გავიაროთ, რათა თითოეული ადამიანის ცხოვრება უკეთესობისაკენ შეიცვალოს," - აღნიშნა თავის გამოსვლაში პოლონეთის საქმეთა რწმუნებულმა საქართველოში იაცეკ მულტანოვსკიმ.

პროცესი, რომელმაც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ევროკავშირის წევრობამდე მიიყვანა, ასევე ძალიან რთული იყო და ამ ქვეყნებისგან დიდი "მსხვერპლის" გაღება მოითხოვა: ეკონომიკურ და პოლიტიკური სფეროში წარმატებების მიღწევა, ადამიანის უფლებებისა და, ზოგადად, დემოკრატიის ძირითადი ღირებულებების დაცვა, ევროპული ოჯახის სრულუფლებიანი წევრობის სანაცვლოდ.

ჩეხეთისაგან განსხვავებით, საქართველოში თაობების ოცნება, გახდეს ევროკავშირის წევრი, ახდომისაგან ჯერ კიდევ შორსაა.

ბოლო დროის სტანდარტულ კითხვაზე - რა შანსი აქვს საქართველოს, გახდეს ევროკავშირის წევრი, პასუხი ასეთია: "მე არ მინდა ვთქვა, რომ საქართველოს შანსი არ აქვს. საქართველო ევროპული ქვეყანაა და მას აქვს შანსი, გახდეს ევროკავშირის წევრი. მაგრამ ამისათვის არა მხოლოდ მთავრობის, არამედ მთელი მოსახლეობის ძალისხმევაა საჭირო. დღეს კი ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში. განსაკუთრებით მინდა ხაზი გავუსვა ეკონომიკურ აღმავლობას," - განაცხადა ტორბენ ჰოლცემ

მანამდე კი საქართველოს ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნების გამოცდილების გაზიარება და მათთან აქტიურად თანამშრომლობა შეუძლია, რისთვისაც საქართველოში აკრედიტებულმა ელჩებმა სრული მზადყოფნა გამოთქვეს.

"ლიტვა მზად არის, საქართველოს გაუზიაროს თავისი გამოცდილება, რომელიც მას ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე დიდ დახმარებას გაუწევს. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მალე თბილისში ლიტვის საელჩო გაიხსნება," - განაცხადა ლიტვის საპატიო კონსულმა საქართველოში ირენა სლიზევიჩუტე-ჯიქიამ.

"საქართველომ ამ ქვეყნებიდან ძალზე ბევრი რამ უნდა ისწავლოს, - აღნიშნა თავის გამოსვლაში სახელმწიფო მინისტრმა ევროინტეგრაციის საკითხებში თამარ ბერუჩაშვილმა, - მათ უნიკალური გამოცდილება დაუგროვდათ და ამ გამოცდილების გაზიარება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ეს, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი კანონმდებლობის ევროპულთან ჰარმონიზაცია და კანონების ადმინისტრირების ეფექტური მექანიზმების დანერგვაა. ეს ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანი იქნება იმ კრიტერიუმების დასაკმაყოფილებლად, რომელიც, საბოლოო ჯამში, ევროკავშირში ჩვენს გაწევრიანებას შესაძლებელს გახდის. ჩვენ, ხელისუფლება და ამ ქვეყნის მოსახლეობა, ერთად შევეცდებით მოვახდინოთ ძალების მობილიზაცია, რათა გამოვიყენოთ ის ახალი შანსი, რომელსაც გაფართოებული ევროპა გვაძლევს."



კრიტერიუმები, რომელთა დაკმაყოფილება საქართველოს მოუწევს, იგივე იქნება, რაც თავის დროზე კოპენჰაგენის ევროპულმა საბჭომ აღმოსავლეთ ევროპის კანდიდატ ქვეყნებს დაუსახა.

■ პირველი, პოლიტიკური კრიტერიუმი - კანდიდატ ქვეყნებს უნდა ჰქონდეთ სტაბილური ინსტიტუტები, რომლებიც უზრუნველყოფენ დემოკრატიას, კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებებისა და უმცირესობათა უფლებების დაცვას და მათ პატივისცემას.

■ მეორე, ეკონომიკური კრიტერიუმი - კანდიდატ ქვეყნებში უნდა ფუნქციონირებდეს საბაზრო ეკონომიკა. მათ უნდა შეძლონ, გაუძლონ კონკურენციის ზეწოლასა და საბაზრო ძალებს ევროკავშირის ტერიტორიაზე.

■ მესამე - ქვეყანამ უნდა აიღოს ყველა ის ვალდებულება, რასაც ევროკავშირის წევრობა გულისხმობს, მათ შორის - პოლიტიკური, ეკონომიკური, საკანონმდებლო და ფინანსური მიმართულებით.

გაფართოებული ევროკავშირი, რომელიც ახლა უკვე 25 ქვეყანას მოიცავს, 2007 წელს, სავარაუდოდ, კიდევ უფრო გაფართოვდება და მას ბულგარეთი და რუმინეთი (შესაძლოა, ხორვატიაც) შეუერთდება, თუკი ყველაფერი იმ გეგმის მიხედვით წარიმართა, რომელიც კოპენჰაგენში იყო მიღებული.

მანამდე კი, 2004 წლის გაფართოება ცვლილებებს გამოიწვევს ევროკავშირის საგარეო ურთიერთობაში. განსაკუთრებით, იმ ქვეყნებში, რომლებიც ევროკავშირის აღმოსავლეთით და სამხრეთით მდებარეობს.

"სამეზობლო ინიციატივას," რომელიც ევროკავშირმა გასულ წელს მიიღო, საქართველო, შესაძლოა, ივნისში შეუერთდეს.

"ჩვენ დავეხმარებთ საქართველოს, გახდეს ევროკავშირის სამეზობლო ინიციატივის წევრი. გადაწყვეტილებას, ივნისის ბოლოს, წევრი ქვეყნები მიიღებენ. ამ ინიციატივას სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანა შეუერთდება და ყველა ქვეყანა ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმას მიიღებს. როგორი იქნება ეს სამოქმედო პროგრამა, ჯერჯერობით, ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის, მაგრამ მისი საშუალებით ჩვენ ვითანამშრომლებთ ამ ქვეყნებთან და დავეხმარებით მათ ევროპასთან ინტეგრაციაში სხვადასხვა მიმართულებით. თუმცა, მინდა დავძინო, რომ კანონმდებლობის ჰარმონიზაცია მნიშვნელოვანია, მაგრამ არა მთავარი. მთავარია ის, რომ შემდეგ ამ კანონმდებლობის ეფექტური იპლემენტაცია მოხდეს. საქართველოს რთული გზა აქვს გასავლელი იმისათვის, რომ კანდიდატი ქვეყანა გახდეს. სამეზობლო ინიციატივაში მონაწილეობა, ბუნებრივია, არ გულისხმობს იმას, რომ ამ პროგრამის დამთავრების შემდეგ ის ავტომატურად გახდება ევროკავშირის კანდიდატი. ჯერჯერობით, ევროკავშირისთვის მთავარი ამოცანაა, რომ ახალი წევრი ქვეყნების მაქსიმალური ინტეგრაცია მოხდეს კავშირის შიგნით. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სხვა ქვეყნები ყურადღების გარეშე დავტოვოთ," - განაცხადა ევროკავშირის პრეზიდენტი ქვეყნის წარმომადგენელმა საქართველოში, ჰოლანდიის ელჩმა ჰარი მოლენაარმა.

## ევროპული ინტეგრაციის ისტორია

ევროპული ინტეგრაცია სათავეს მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდიდან იღებს. გამანადგურებელმა ომმა კიდევ ერთხელ დაარწმუნა ევროპელები, რომ ხანგრძლივი მშვიდობის დამყარება და საფრანგეთისა და გერმანიის შერიგება არაორდინარულ გადაწყვეტილებას მოითხოვდა.

1950 წელს, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, რობერტ შუმანმა წამოაყენა წინადადება, რომ საფრანგეთსა და გერმანიას გაეერთიანებინათ თავიანთი სამხედრო მრეწველობის ხერხემალი - ფოლადისა და ნახშირის წარმოება. 1951 წლის პარიზის ხელშეკრულებით, ევროპის ნახშირისა და ფოლადის გაერთიანება შეიქმნა. ხელშეკრულებას იტალია, ბელგია, ნიდერლანდები და ლუქსემბურგიც მიუერთდნენ. ამ დღიდან მოყოლებული, ნახშირისა და ფოლადის ინდუსტრიის მართვა ერთ ზესახელმწიფოებრივ ორგანიზაციას - "მაღალ ხელმძღვანელობას" გადაეცა, რომელსაც ჟან მონე ჩაუდგა სათავეში.

1957 წელს ექვსმა ქვეყანამ გადაწყვიტა, თავისი რესურსები სხვა სფეროებშიც გაეერთიანებინა. შეიქმნა ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანება, ე.წ. "ევრატომი", რომელსაც ევროპის ეკონომიკური გაერთიანების შექმნა მოჰყვა. ამ წელს დადებული რომის ხელშეკრულების თანახმად, დაიწყო სავაჭრო ბარიერების მოხსნა და საერთო ბაზრის ფორმირება. 1957 წლიდან იღებს სათავეს საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკაც, რომლის მიზანიც მაშინ იაფი და ყველასათვის ხელმისაწვდომი სურსათის წარმოებისათვის ხელშეწყობა იყო.

1957 წლის შემდეგ ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა უკვე მეხუთედ ფართოვდება. 1973 წელს მას შეუერთდა დანია, ირლანდია და დიდი ბრიტანეთი, 1981 წელს - საბერძნეთი, 1986 წელს - პორტუგალია და ესპანეთი, 1995-ში - ავსტრია, ფინეთი და შვედეთი. დღეს კი ევროკავშირს კიდევ ათი ქვეყანა ემატება: კვიპროსი, ჩეხეთი, ესტონეთი, უნგრეთი, ლატვია, ლიტვა, მალტა, პოლონეთი, სლოვაკეთი და სლოვენია.

1967 წელს სამი ევროპული ინსტიტუტი გაერთიანდა. მაშინ შეიქმნა ერთიანი კომისია, მინისტრთა საბჭო და ევროპარლამენტი.

1979 წელს ევროპარლამენტის პირველი პირდაპირი არჩევნები გაიმართა, აქამდე ევროდეპუტატებს ეროვნული პარლამენტებიდან გზავნიდნენ.

1987 წელს ძალაში შევიდა ერთიანი ევროპული აქტი, რომელიც საერთო ბაზრის შექმნას ითვალისწინებდა. საერთო ბაზარი, რომელიც 370 მილიონ ადამიანს აერთიანებდა, 1993 წელს შეიქმნა. მას შემდეგ იგი უზრუნველყოფს კავშირის მასშტაბით საქონლის, მომსახურების, მუშახელისა და კაპიტალის თავისუფალ გადაადგილებას.

1993 წელს, მაასტრიხტის ხელშეკრულების შედეგად გაჩნდა ტერმინი "ევროკავშირი". ამ ხელშეკრულებამ საფუძველი დაუდო თანამშრომლობას თავდაცვის, საშინაო და საგარეო პოლიტიკის სფეროებში, განისაზღვრა ეკონომიკური კავშირის შექმნისა და ერთიანი ვალუტის შემოღების ვადები.

იმისათვის, რომ განსაზღვრულიყო, როგორი იქნებოდა ევროკავშირი გაფართოების შემდეგ, 2002 წლიდან დაიწყო მუშაობა კავშირის კონსტიტუციის შესაქმნელად. ეს პროცესი დღემდე გრძელდება.

2002 წლის თებერვლიდან გაჩნდა საერთოევროპული ვალუტა - ევრო. იგი კავშირის ყველა ქვეყანამ ეროვნულ ვალუტად გამოაცხადა, გარდა დანიისა, შვედეთისა და დიდი ბრიტანეთისა.

ევროკავშირის შემდგომი გაფართოება 2007 წლისათვის არის სავარაუდევი. 3 წლის შემდეგ ევროკავშირს, შესაძლოა, ბულგარეთი, რუმინეთი და ხორვატია შეუერთდნენ. ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი აქვს თურქეთსაც, თუმცა მისი გაწევრიანების სავარაუდო თარიღი ჯერჯერობით უცნობია. რაც შეეხება ევროპის სხვა ქვეყნებს, მათ შორის - საქართველოს, მათი ევროკავშირში გაწევრიანების საკითხი ამჟამად დღის წესრიგში არ დგას.

## ევროკავშირის გაფართოება

კრისტოფერი პატენი
ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა კომისარი

დღეს ცენტრალური და სამხრეთ ევროპის ათი ქვეყანა ფორმალურად და საბოლოოდ გაწევრიანდება ევროკავშირში. შედეგად, კავშირის მოსახლეობა 450 მილიონ ადამიანს მიაღწევს და მსოფლიოს უდიდეს ბაზრად იქცევა. 25 ქვეყნის გაერთიანებაზე მოვა მსოფლიო ვაჭრობის 25 პროცენტი და საგარეო დახმარების ნახევარზე მეტი. ეს ძალზე შთამბეჭდავი ციფრებია, მაგრამ კიდევ უფრო შთამბეჭდავი იყო ის ნაბიჯები, რომლებიც ერთიანობის მისაღწევად გადაიდგა.

1989 წელს, კომუნიზმის დამხობასთან ერთად, ევროპამ თავი დააღწია ეკლიანი მავთულების, შიშისა და ომის საფრთხის ეპოქას. გაჩნდა იმედი. მაგრამ, რომ არ გაჩენილიყო კონკრეტული მიზანი და დახმარება ამ მიზნის მიღწევაში, იმედი შესაძლოა სასოწარკვეთას შეეცვალა. იმ მძლავრმა სტიმულმა, რომელსაც ევროკავშირში გაწევრიანება წარმოადგენდა და, პარალელურად, გაწეულმა დახმარებამ ევროპის მთელ კონტინენტზე მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნება უზრუნველყო. ამან კი, თავის მხრივ, ეკონომიკურ განვითარებასა და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას შეუწყო ხელი.

ეს არ ყოფილა იოლი გზა. ჩვენს ახალ პარტნიორებს თავიანთი ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი ცხოვრების, პრაქტიკულად, ყველას ასპექტის რესტრუქტურიზება მოუწიათ. 1 მაისი არ არის ევროკავშირის გაფართოების დასაწყისი. ეს პროცესი, რეალურად, 15 წლის წინ დაიწყო. ევროკავშირის გაფართოება უკვე რეალობაა, მათ შორის, მათთვისაც, ვინც მის საზღვრებს მიღმა დარჩა.

1 მაისს თან ახლავს ბევრი პრობლემაცა და ბევრი ახალი შესაძლებლობაც. გაერთიანებაში ამდენი ახალი ქვეყნის შემოსვლა აუცილებლად შეცვლის ჩვენი საქმიანობის სტილს. ჩვენს ახალ პარტნიორებს თავიანთი შეხედულებები, მიზნები და საჭიროებები აქვთ. ახალი პრობლემების გადასაჭრელად ახალი ალიანსები შეიქმნება. იმან, რომ კვიპროსის ბერძნულმა მოსახლეობამ კუნძულის გაერთიანების გეგმა უარყო, ევროკავშირი დააყენა ორად გაყოფილ ქვეყანასთან ურთიერთობის საჭიროების წინაშე. ჩვენ უნდა მოვნახოთ გზა, რათა გადაწყვეტილების მიღების პროცესის ეფექტურობა არ შემცირდეს. ამიტომ, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ევროპის კონსტიტუცია რაც შეიძლება სწრაფად იქნას მიღებული.

1 მაისი საშუალებას მისცემს ახალი წევრი ქვეყნების მოქალაქეებს, მონაწილეობა მიიღონ ივნისისათვის დაგეგმილ საერთოევროპულ არჩევნებში. მათი მთავრობები მონაწილეობას მიიღებენ ევროკავშირის ინსტიტუტების სხვადასხვა რანგის შეკრებებში, ევროკავშირის პროგრამები მათ ტერიტორიაზეც გავრცელდება. ევროკავშირის საზღვრები სამხრეთისაკენ და აღმოსავლეთისაკენ გადაიწევს.

ზოგიერთი შეშფოთებით ადევნებს თვალს ევროკავშირის გაფართოებას, და შიშობს, რომ იგი ჩაკეტილ ციხესიმაგრედ იქცევა. მათ გასაგონად მინდა ვთქვა: ჩვენ იმიტომ არ გვიშრომია ამდენი წელი დასავლეთისა და აღმოსავლეთის გამყოფი ბარიერების აღმოსაფხვრელად, რომ ევროპაში ან მის გარეთ ახალი გამყოფი ხაზები შეგვექმნა. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური შიში თან ახლდა ევროკავშირის ყველა გაფართოებას. ისტორიამ დაამტკიცა, რომ მართალია, თავიდან ყველა მხარეს უწევს აუცილებელი ნაბიჯების გადადგმა, მაგრამ საბოლოო ჯამში, ევროკავშირის ეკონომიკური განვითარებიდან სარგებელს ნახულობს ყველა, მათ შორის კონტინენტისაგან შორს მყოფი ქვეყნებიც. რაც შეეხება ახლო მეზობლებს, გეოგრაფიული სიახლოვე და ის გამოცდილება, რომელიც ჩვენს ახალ წევრებს მათთან ურთიერთობაში გააჩნიათ, ხელს შეუწყობს მათსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობების განმტკიცებას. "ახალი სამეზობლო პოლიტიკა" ამის ნათელი დასტურია.

გაფართოების შემდეგ, ევროკავშირის გავლენა ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებში, როგორიცაა, მაგალითად, გაერო და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, კიდევ უფრო გაიზრდება. ჩვენი პოლიტიკური პრიორიტეტები არ შეიცვლება და არც ის დახმარება შემცირდება, რომელსაც ჩვენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს ვუწევთ. ჩვენ პასუხისმგებელი მმართველობის, მდგრადი განვითარებისა და მთელ მსოფლიოში სიღარიბის შემცირების პრინციპების ერთგულნი ვრჩებით. იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენ ვასრულებთ ჩვენს დაპირებებს, ევროკავშირი დარჩება მსოფლიოში ყველაზე მსხვილ საერთაშორისო დონორად. ჩვენი სახით, უცხოელი ინვესტორები და ექსპორტიორები კიდევ უფრო მსხვილ ბაზარს შეიძენენ.

მაშინ, როდესაც ეს ისტორიული გაფართოება რეალობა ხდება, იმედი მაქვს, რომ ევროკავშირი კიდევ უფრო წარმატებით გაუმკლავდება მის წინაშე მდგარ სიძნელეებს და, თავის პარტნიორებთან ერთად, წარმატებით გამოიყენებს ევროპა 25-ის მიერ შექმნილ ახალ შესაძლებლობებს.

## როგორ იმართება ევროკავშირი?

ევროკავშირის მმართველობის სტრუქტურა საკმაოდ რთულია და ხშირად მასში გარკვევა ჭირს. ამიტომ, ურიგო არ იქნება, გავეცნოთ ძირითადი ორგანოების ჩამონათვალს და მათი ფუნქციის მოკლე აღწერას.

**ევროპის კომისია** - არის პოლიტიკისა და კანონების შემმუშავებელი ორგანო, აგებს პასუხს ევროკავშირის მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებაზე. შედგება 20 კომისრისაგან. მათ ნიშნავენ წევრ ქვეყნებს შორის შეთანხმების საფუძველზე და ამტკიცებს ევროპარლამენტი. თითოეული კომისარი პასუხისმგებელია ცალკეულ სფეროზე (მაგ. ვაჭრობა, საგარეო ურთიერთობები). ისინი მოქმედებენ, როგორც ევროკავშირის და არა როგორც ცალკეული ქვეყნების წარმომადგენლები. ამჟამად, კომისიის პრეზიდენტია რომანო პროდი.

**ევროპული საბჭო** (არ უნდა აგვერიოს ევროპის საბჭოში, რომელიც ევროკავშირისაგან სრულიად დამოუკიდებელი ორგანიზაციაა და რომლის წევრიცაა საქართველო) - იღებს კანონებს, რომლებიც სავალდებულოა მთელი კავშირის ტერიტორიაზე და წარმართავს სამთავრობათშორისო თანამშრომლობას. შედგება წევრი ქვეყნების სახელმწიფოთა მეთაურებისაგან ან მინისტრებისაგან. ქვეყნები საბჭოზე სხვადასხვა მინისტრებს აგზავნიან, იმის შესაბამისად, თუ რა საკითხი დგას დღის წესრიგში. გადაწყვეტილებათა მიღება უმეტეს შემთხვევაში ხმათა უმრავლესობით ხდება, თუმცა ზოგიერთ საკითხში მოქმედებს ერთხმივობის პრინციპი. საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანას ირჩევენ მორიგეობით, ექვსი თვის ვადით. ამჟამად თავმჯდომარეა ირლანდია.

**ევროპის პარლამენტი** - შედგება 626 დეპუტატისაგან, რომელსაც ევროკავშირის მოსახლეობა პირდაპირი კენჭისყრით, 5 წლის ვადით ირჩევს. პარლამენტში დეპუტატები ჯგუფდებიან არა ეროვნული კუთვნილების, არამედ პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით. პარლამენტს შეზღუდული საკანონმდებლო ფუნქციები გააჩნია და, ძირითადად, პრობლემების განხილვისათვის ფორუმის ფუნქციას ასრულებს. თუმცა, მას აქვს უფლება, დაამტკიცოს ან უარყოს კომისია და კავშირის ბიუჯეტი.

**ევროპის სასამართლო** - ახდენს კანონმდებლობის ინტერპრეტირებას. მისი გადაწყვეტილებების შესრულება სავალდებულოა. შედგება 15 მოსამართლისა და 9 გენერალური ადვოკატისაგან.

**ევროპის აუდიტორთა სასამართლო** - შედგება 15 წევრისაგან და აკონტროლებს კავშირის ფინანსურ საქმიანობას.

**ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტი** - შედგება 222 წევრისაგან, რომლებიც წარმოადგენენ დამქირავებლებს, მუშახელს, მწარმოებლებსა და მომხმარებლებს. რიგ საკითხებში გადაწყვეტილების მისაღებად მისი თანხმობა აუცილებელია.

**რეგიონთა კომიტეტი** - ასევე 222 წევრისაგან შედგება, რომლებიც ევროკავშირის რეგიონებისა და ადგილობრივ ხელისუფლებებს წარმოადგენენ. მისი თანხმობა აუცილებელია გადაწყვეტილების მისაღებად ისეთ საკითხებზე, რომლებიც გავლენას ახდენს ადგილობრივ თვითმმართველობაზე.

www.24hours.ge 24 B

ნომრის სტუმარი

# სანამ შეგიძლია, უნდა იფრინო







NBI-ს მოთამაშეს მთელი მსოფლიო შეჰყურებს. მოდუნების და შეცდომის დაშვების უფლება არ გაქვს.




**ბევრი ქართველი კალათბურთელი ევროპაშიც თამაშობს და ქართული კალათბურთი ჩვენ ყველამ ერთად უნდა ავწიოთ მაღლა.**

მაია ჭალაგანიძე

*ნებისმიერი კალათბურთელის ოცნებას NBI ჰქვია. 21 წლის, 2 მ. 11 სმ. სიმაღლის მქონე და 49,5 ზომა ბოტასიან გოლიათს ზაზა ფაჩულიას ეს ოცნება აუხდა. თვითონ კი ამბობს, რომ ჩვეულებრივი ბავშვი იყო, ჩვეულებრივი სიმაღლით და მონაცემებით, მაგრამ ეს, ალბათ, თავმდაბლობით მოსდის, რადგან ასე ჩვეულებრივებს 15 წლის ასაკში სხვა ქვეყანაში სათამაშოდ არ ეპატიჟებიან. სწორედ ამ ასაკში, სტამბულში გადასვლისას დაიწყო მისი კარიერა. 2003 წლის 26 ივნისს კი „ორლანდო მეჯიკმა" დაუძახა.*

**- ეს დღე, ალბათ, არასდროს დაგავიწყდებათ.**

- რა თქმა უნდა, მაგრამ ეს ერთ დღეში არ ხდება. თურქეთში თამაშის 6 წლის განმავლობაში მადევნებდნენ თვალყურს.

**- რა აქვს კალათბურთს სხვა სახეობებისგან განმასხვავებელი, რაც ყველაზე მეტად გიზიდავთ?**

- კალათბურთის თამაში ჩემთვის სიამოვნებაა. რა თქმა უნდა, ყველას თავისი პროფესია მოსწონს, მაგრამ კალათბურთი ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი სახეობაა. განსაკუთრებით ის მიყვარს, რომ მთელი თამაშის განმავლობაში სიტუაცია ბევრჯერ იცვლება და შეიძლება თამაშის ბედი უკანასკნელ წამებში გადაწყდეს.

**- ძველი ვარსკვლავების მონაწილეობით ჩატარებულ ძველ მატჩებს, ალბათ, უყურებთ და კარგად ხედავთ სხვაობას. როდემდე შეიძლება გაიზარდოს თამაშის ტემპები, სად არის ზღვარი?**

- არა მხოლოდ კალათბურთში, ახალი რეკორდები სპორტის ყველა სახეობაშია. ამ რეკორდებიდან გამომდინარე ვითარდება სპორტი და სულ უფრო და უფრო კარგი მოთამაშეები მოდიან. კალათბურთში, ჯერჯერობით, ჯორდანზე უკეთესი არავინ გამოჩენილა.

**- მოედანზე არ შეხვედრიხართ?**

- სამწუხაროდ, ვერ მოვესწარი. მან შარშან დაანება თავი თამაშს, მისი შემცვლელი კი, ჯერჯერობით, არავინ არის.

**- რით იყო უნიკალური ჯორდანი?**

- ზედიზედ ექვსჯერ გახადა გუნდი ჩემპიონი და ექვსჯერვე საუკეთესო მოთამაშის პრიზი აიღო. სხვებისგან განსხვავებული ის ჰქონდა, რომ თავადაც აკეთებდა ქულებს, სხვასაც ეხმარებოდა და ვერ აჩერებდნენ. მას მთელ NBI-ში ყველაზე მეტი ქულა ჰქონდა ჩაგდებული.

**- მოედანზე არიან მოთამაშეები, ვინც შავ საქმეს აკეთებს, ან ვინც უნივერსალურად ასრულებს ყველა ამოცანას, ან ვინც სპეციალიზებულია ერთ რომელიმე ელემენტზე. ალბათ, ლიდერი მაინც ის არის, ვისაც გუნდისთვის ქულები მოაქვს?**

- ასეც არის და არც არის ასე. ვისაც კალათბურთი ესმის და მოთამაშეებზე მხოლოდ ჩაგდებული ქულებით არ მსჯელობს, იცის, რომ მოედანზე ყველაფერი მნიშვნელოვანია. ქულების ჩაგდებას კარგი პასი უნდა, დახმარება სჭირდება. ეს გუნდური თამაშია.

**- მწვრთნელები მოედნის ხედვას ყოველ თქვენგანს თხოვენ?**

- რა თქმა უნდა. იგებს მთელი გუნდი და არა ერთი მოთამაშე. 30 ქულა თუ გააკეთე და გგონია, რომ თამაში შენ მოიგე, სწორი არ არის. ყველას თავისი ფუნქცია აქვს. თამაში გუნდზე და ხელმძღვანელობაზეა დამოკიდებული. იმაზეც, თუ სად და ვისთან თამაშობ... მოკლედ, ყველაფერზეა დამოკიდებული. უნდა შეგეძლოს ლიდერობაც, პასიურობაც, შავი სამუშაოს გაკეთებაც. სწორედ მაშინ ხარ კარგი მოთამაშე.

**- ყველაფერ ამას ფაჩულია ახერხებს?**

- NBI-ში პირველი წელია, ვთამაშობ. შარშან სხვა როლი მქონდა, დარწმუნებული ვარ, მომავალ წელს ეს როლი შემეცვლება.

**- სათადარიგო სკამზე ხშირად ზიხართ?**

- სათადარიგო სკამზე ჯდომა ყველას უწევს. 84 თამაშიდან ორჯერ მომიწია ხუთეულში თამაში, მაგრამ, ამას არც თუ ისე დიდი მნიშვნელობა აქვს. ზოგჯერ, მოედანზე გვიან შესულს უფრო მეტი მითამაშია, ვიდრე ხუთეულში. გააჩნია, ვინ როგორ თამაშობს. არიან მოთამაშეები, თუ ხუთეულში არ გავიდნენ, მერე ვეღარ თამაშობენ.

**- როგორი განცდაა სუპერვარსკვლავებთან ერთ გუნდში თამაში, რას გაძლევთ მათ გვერდით ყოფნა?**

- მათთან ურთიერთობა არა მხოლოდ მოედანზე, მოედნის გარეთაც ბევრს მაძლევს. ისინი თავისი ცხოვრების სტილით და ქცევით გამოირჩევიან. სუპერვარსკვლავობა ადვილი არ არის. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მოედანზე უნდა მოიპოვო, მაგრამ მათ მოედნის გარეთაც არ შეუძლიათ ჩვეულებრივი ადამიანებივით ცხოვრება. ამერიკაში კალათბურთზე გიჟდებიან. ქუჩაში რომ ვარსკვლავს ნახავენ, ისე არ გაუშვებენ, ან მაისური არ შემოახიონ, ან, უბრალოდ, არ შეეხონ...

**- ცხადია, ქუჩაში დაცვით დადიან.**

- დიახ.

**- რამდენია იმ დამცველთა სიმაღლე?**

- ჩვენთან ტრეისი თამაშობს. ის ისე მაღალი არ არის. საერთოდ, ამერიკაში მაღალი და ტანადი ხალხი ცხოვრობს. თურქეთში უფრო დაბლები და პატარები არიან.

**- როგორია ადამიანების ზემოდან ყურება?**

- იციან, რომ კალათბურთელი ვარ და სიმაღლის პრობლემა არ მაქვს. კალათბურთელი რომ არ ვიყო, ალბათ, კომპლექსი მექნებოდა.

**- თბილისში თქვენ მიმართ ქუჩაში როგორ დამოკიდებულებას გრძნობთ?**

- საქართველოში ხშირად არ ვარ...

**- რა მანქანა გყავთ, სად ეტევით?**

- ყველანაირ მანქანაში შემიძლია ჩავეტიო, მთავარია, კომფორტული იყოს. იქ დიდი მანქანა მაქვს, კადილაკი.

**- როგორია NBI-ს ახალგაზრდა ვარსკვლავის დღე?**

- თავიდან მარტო ვცხოვრობდი, ახლა მე და დედა ვართ. მართალი გითხრათ, სეზონის განმავლობაში ბევრი თავისუფალი დრო არც მაქვს, ვარჯიშებითა და თამაშებით ვარ დატვირთული. დასასვენებლად და გასართობად თავისუფალ დროს მხოლოდ ღამე ვპოულობ. NBI-ს მოთამაშისთვის ეს საჭიროც კია. ზომიერების ფარგლებში არავის უშლიან გართობას, მათ შორის, არც თამაშის წინა საღამოს.

**- რამდენ ხანს მოგიწიათ თამაშის გარეშე ყოფნა?**

- პირველ წელს თხუთმეტამდე თამაში გამოვტოვე, მაგრამ ამ პერიოდისთვის ეს ბევრი არ არის.

**- მძიმედ გადაიტანეთ ეს დღეები?**

- რა თქმა უნდა, თუ პროფესიონალია და მარტო ფულზე არ ფიქრობს, ყველას მოედანზე უნდა ყოფნა.

**- რისთვის უშვებენ გუნდიდან NBI-ს მოთამაშეს?**

- ჩემი იქ ყოფნის პერიოდში ბევრი მოვიდა და წავიდა კიდეც. დისციპლინის გამო წელს არავინ წასულა, მაგრამ ასეთი რამ ხდება ხოლმე. უფრო გუნდის ბევრი წაგებისთვის უშვებენ.

**- პროფესიონალებში რა ითვლება დისციპლინის დარღვევად?**

- გაზეთის პირველ გვერდზე რომ გამოგჭიმავენ და მიაწერენ, რომ რაღაც დააშავე. ბევრი შემთხვევა ყოფილა ნასვამ მდგომარეობაში სიჩქარის დაშვებული დონის გადაჭარბებისთვის, ქუჩაში ჩხუბისთვის.

**- სუპერვარსკვლავი, ალბათ, უფრო განსხვავებულად ცხოვრობს.**

- ყველა სუპერვარსკვლავი ძალიან მდიდარია. პირველ რიგში, კარგად თამაშობენ, გუნდის და მთელი NBI-ს საუკეთესო მოთამაშეები არიან. მათ, როგორც მდიდარს და კარგ მოთამაშეს, ყველა პატივს სცემს.

**- ბევრს ვარჯიშობთ?**

- გააჩნია, თუ ბევრს თამაშობ, დასვენება გჭირდება, თუ არა, უნდა ივარჯიშო.

**- შაკირ ო`ნილი მართლა დაჩაგრეთ?**

- მისი დაჩაგვრა ძალიან ძნელია. ბევრი მაგარი მოთამაშეა ჩემს პოზიციაზე და მათ წინააღმდეგ თამაში ზოგს ეშინია, ვერ ბედავენ. მე კი პირიქით ვარ, მინდა, მათ წინააღმდეგ რაც შეიძლება მეტი ვითამაშო და თან რაიმე ისეთი გავუკეთო, ხალხმა რომ დაინახოს და მოეწონოს.

**- ვეტერან სუპერვარსკვლავთან „შერკინება" NBI-ში ყოფნის პირველსავე წელს გაბედეთ. როგორ დამთავრდა?**

- ჩემი გამარჯვებით. 19 წუთს მომიწია ჩემპიონის წინააღმდეგ თამაში. მაგრად ვეცადე, რომ ბურთი წამერთმია, ან რამენაირად ხელი შემეშალა. დიდ წარმატებას მივაღწიე-მეთქი, არ ვიტყვი, მაგრამ რაღაც შევძელი.

**- თავად რა რეაქცია ჰქონდა?**

- სხვათა შორის, თამაშის მერე მოვიდა და გადამეხვია. ის თამაში მათ მოიგეს. თან, მის წინააღმდეგ უხეშად არ მითამაშია. მოედანზე ბევრი ვიშრომე. შაკირ ო`ნილი ვეტერანია, ბევრი აქვს ნანახი. ახლბედა ვიყავი, მოეწონა მოედანზე ჩემი მუშაობა და, ალბათ, ამიტომ გადამეხვია.

**- კვების განსაკუთრებული რეჟიმი გაქვთ?**

- რა თქმა უნდა. კვება ყველა სპორტსმენისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. ჩემი დიეტოლოგი მყავს და ვცდილობ, მის რჩევებს მივსდიო.

**- კიდევ იზრდებით?**

- დიდი ხანია, არ გავზომილვარ, თუმცა 2 მეტრის შემდეგ ამას აზრი აღარ აქვს, უკვე მაღალი ხარ.

**- თავიდანვე სიმაღლით გამოირჩეოდით?**

- ასაკთან შედარებით განსაკუთრებით მაღალი არ ვყოფილვარ და არც თამაშით გამოვირჩეოდი სხვა ბავშვებისგან, ჩვეულებრივი მოთამაშე ვიყავი.

რა თქმა უნდა, საქართველოდან NBI-ში წასვლა აბსურდია. რომ არ ყოფილიყო თურქეთი, იქ ვერც მოვხვდებოდი. მერე კი ყველაფერს ნაბიჯ-ნაბიჯ მივაღწიე.

**- შეგიძლიათ თქვათ, რომ გიმართლებთ?**

- გამართლება, მართლაც, მნიშვნელოვანია.

ჩემს ოჯახში ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ განათლებას. ცუდ ნიშანს რომ მივიღებდი, ვარჯიშზე არ მიშვებდნენ და ეს ჩემთვის დიდი სასჯელი იყო. თურქეთში რომ გადავდიოდი, ჩემმა მშობლებმა ჯერ იკითხეს, რომელ კოლეჯში უნდა მესწავლა და მხოლოდ მერე დაინტერესდნენ გუნდით.

**- როგორც ვიცი, დედამ დიდი როლი შეასრულა თქვენს ცხოვრებასა და კარიერაში.**

- დიახ, დედამ უდიდესი როლი შეასრულა. ის კალათბურთელი იყო, მამა მოჭიდავე და სულ კამათობდნენ, სპორტის რომელ სახეობას უნდა გავყოლოდი. მე კალათბურთი უფრო მომწონდა. იმ პერიოდში ეს სახეობა ძალიან პოპულარული იყო. თბილისის „დინამოს" თამაშებზე სულ დავდიოდი. ისე, ძალები ბევრ სხვა სახეობაში მოვსინჯე, ყველაფერს გავეცანი. სერიოზულად კი მხოლოდ კალათბურთს შევხედე.

**- 9 წლიდან თამაშობთ. ალბათ, მძიმე პერიოდებიც გექნებოდათ.**

- ძალიან მძიმე პერიოდი მქონდა. 15 წლის ვიყავი. თურქეთში ერთი სეზონი ჩავატარე. თბილისში რომ ჩამოვედით, მამა გარდაიცვალა. ჩვენი ოჯახისთის ეს დიდი ტრაგედია იყო. მაშინ სწორედ კონტრაქტი უნდა გამეგრძელებინა. სხვა ქვეყანაში წასვლა აღარ მინდოდა და ჩემს ქვეყანაში დარჩენის და სწავლის გაგრძელების გადაწყვეტილება მივიღე. დედამ ეს გაიგო და არ ესიამოვნა, რადგან კარგ გზაზე ვიდექი, NBI-ში მოხვედრის და ჩემი მიზნის ასრულების დიდი შანსი მქონდა. დედამ მამის გარდაცვალებით გამოწვეული საკუთარი წუხილი გადადო, გვერდით დამიდგა და თურქეთში წასვლა გადამაწყვეტინა.

**- NBI-ში კიდევ ორი ქართველი თამაშობს. ხშირად ხვდებით ერთმანეთს?**

- სეზონის განმავლობაში მხოლოდ მაშინ ვხვდებით, როცა ერთმანეთს ვეთამაშებით.

**- როგორი მეტოქეები ხართ?**

- რა თქმა უნდა, მოედნის გარეთ ძმაკაცები ვართ. მოედანზე კი ასე არ არის, მათაც ისე ვექცევი, როგორც სხვა მეტოქეს.

**- თამაშის დროს ერთმანეთს ქართულად ეხმიანებით?**

- თუ სკამზე ვზივარ და ნიკა თამაშობს ან პირიქით - ერთმანეთს ქართულად ვამხნევებთ. რა თქმა უნდა, მინდა, კარგად ითამაშოს.

**- სამივე ერთ პოზიციაზე თამაშობთ. როგორია თქვენი ბრძოლა ბურთისთვის, ქართულად ჩხუბობთ?**

- ასეთ დროს ერთმანეთს არაფერს ვეუბნებით.

**- ცოტა ხნის წინ თქვენმა ქვეყანამ დიდი რყევა გადაიტანა. როგორ ჩანდა ეს იქიდან?**

- აქ განვითრებულ მოვლენებს თავისუფალ დროს ინტერნეტით ვადევნებდი თვალს. უფრო დედა იყო საქმის კურსში და ის მიყვებოდა ამბებს. რა თქმა უნდა, როცა ქვეყანაში დაძაბულობა და არეულობაა, ვღელავთ და არ გვსიამოვნებს. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა და ამოვისუნთქეთ. უფრო სხვაგვარად, თავისუფალი განწყობით ჩამოვედით და აქაურობა, მართლაც, კარგისკენ შეცვლილი დამხვდა.

**- NBI-დან ქართული კალათბურთი როგორ მოჩანს?**

- კარგად არის-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ ჩვენ სწორედ იმისთვის ვართ, რომ საქართველოში კალათბურთი წინ წავწიოთ. თუმცა, არა მგონია, ეს მხოლოდ სამმა ლეგიონერმა შევძლოთ. სახელმწიფოს დახმარებაც საჭიროა და, რა თქმა უნდა, სხვა მოთამაშეებისაც. ბევრი ქართველი კალათბურთელი ევროპაშიც თამაშობს და ქართული კალათბურთი ჩვენ ყველამ ერთად უნდა ავწიოთ მაღლა.

**- კონკრეტულად როგორ აპირებთ ქართული კალათბურთის განვითარებაში წვლილის შეტანას?**

- მე და ნიკა ცქიტიშვილი ახალგაზრდები ვართ, ვოვა სტეფანიაც ახალგაზრდა წავიდა NBI-ში. რადგან იქ თამაშობ, კარგი მოთამაშე და შედარებით ძლიერი ხარ. NBI-ში მხოლოდ სუპერვარსკვლავები და ვარსკვლავები არიან. საქართველოს ნაკრებს სამი ასეთი მოთამაშე ჰყავს. პირველად 11 სექტემბერს სამივე ერთად ითამაშებს საქართველოს ნაკრებში. სანამ ევროპის ჩემპიონატამდე არ მივალთ, ვითამაშებთ და პირადად მე მთელ ჩემს ცოდნას მოედანზე დავდებ.

**- თქვენი გუნდები ნაკრებში სათამაშოდ გიშვებენ?**

- პრობლემა იქნება, მაგრამ სამი თამაში არც ისე ბევრია, რომ ვერ ჩამოვიდეთ.

**- რა შანსები აქვს საქართველოს ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო თამაშებში?**

- შანსი გვაქვს. ნაკრებში NBI-ს სამი მოთამაშის ყოფნა დიდი პრივილეგიაა.

**- ნაკრებში თანაგუნდელები არ დაკომპლექსდებიან?**

- კალათბურთი გუნდური თამაშია და ყოველი მათგანი მნიშვნელოვანი იქნება ჩვენთვის. ისე ნამდვილად არ მოხდება, რომ ბურთი მხოლოდ ჩვენ სამს გვექნება, თუმცა, ყველაფერი მწვრთნელებზეა დამოკიდებული.

**- რა მანძილზე შეგიძლიათ ახტომა?**

- ფარში ვტენი და ეგ საკმარისია.

**- როგორია მოედანზე ფრენა?**

- სანამ შეგიძლია, უნდა იფრინო, თორემ მოვა დრო და ამას ვეღარ შეძლებ.

**- ქალბატონ თაყვანისმცემლებს დამაიმედებელს რას ეტყვით?**

- სათქმელი ისეთი არაფერი მაქვს, სახლხოდ რომ მივმართო ყველას. თუ სათქმელი იქნება, პირადად ვეტყვი.

**- NBI-ში მოთამაშის ინტელექტუალურ დონეს ყურადღებას აქცევენ?**

- წელს ამ ტიპის ბევრი შეხვედრა გვქონდა. მასმედიასთან ურთიერთობას კი საგანგებოდ გვასწავლიან. იქ განსაზღვრულია, რომ თამაშის წინ 45 წუთით ადრე და დასრულებიდან ნახევარი საათით პრესისთვის გასახდელი ღიაა.

**- რას გასწავლიან, როგორ უნდა მოიქცეო?**

- ისე, როგორც თქვენთან ვიქცევი. წესების დაცვას შევეცადე. გუნდს ჰყავს მასმედიასთან ურთირთობების დამარეგულირებელი პირი და ჩვენს შეხვედრებს ის ადგენს. მასთან შეუთანხმებლად ჟურნალისტებს არ ვეკონტაქტებით.

**- იმედია, „24 საათში" სტუმრობის შესახებ არ შეგითანხმებიათ... სუპერვარსკვლავთა უმრავლესობა ფერადკანიანია, რატომ?**

- ფიზიკურად უფრო ძლიერები არიან და ბადეში ბურთს ზემოდან ოსტატურად ტენიან. ეს ხალხს ძალიან მოსწონს.

**- ამერიკული და ევროპული კალათბურთი, რა თქმა უნდა, განსხვავდება, მაგრამ როგორ?**

- ეს განსხვავება დიდია. NBI-ს მერე ყველა მეუბნებოდა, როგორ შეიცვალეო. იქ უფრო პროფესიონალი ხდები, იზრდები და ყველაფერს სხვაგვარად უყურებ.

**- ამ პროფესიონალიზმმა ასაკისთვის შეუფერებლად სერიოზული გაგხადათ. „სისულელეებს" ვეღარ ჩადიხართ?**

- ამერიკაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მოედნის გარეთ ცხოვრებას. NBI-ს მოთამაშეს მთელი მსოფლიო შეჰყურებს. სისულელეების კეთების, მოდუნების და შეცდომის დაშვების უფლება არ გაქვს.

იუბილე

# ორგზის იუბილარი ქალბატონი

## თამარ სხირტლაძის დაბადებიდან ... და სასცენო მოღვაწეობის 55 წლისთავი



*თამარ სხირტლაძე.*

დიმიტრი როგავა

ხვალ თამარობაა! საქართველოს სახალხო არტისტი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის წამყვანი მსახიობი, თამარ სხირტლაძე თავისი სახელწოდების დღეს ორგზის იუბილარად ხვდება. მისი ახალგაზრდული ენერგიისა და შემოქმედებითი შრომისუნარიანობის გათვალისწინებით, აგრეთვე, ქალის ასაკისადმი ჩემი რაინდული დამოკიდებულების გამო, მის ასაკს ვერ გაგიმხელთ; სამაგიეროდ, სიამაყით შემიძლია გითხრათ, რომ სცენაზე „ხუთოსან" ქალბატონს შემოქმედებითი ცხოვრების 55 წელი შეუსრულდა.

1949 წლიდან, როდესაც თამარ სხირტლაძემ დაასრულა მარჯანიშვილის სახელობის თეატრთან არსებული სტუდია, იგი მსახიობია - ჯერ მარჯანიშვილელი, შემდეგ რვა სეზონის განმავლობაში რუსთავის თეატრის მსახიობი; თბილისში დაბრუნებული კვლავ მშობლიური თეატრის სცენიდან აგრძელებს მოღვაწეობას დღემდე.

თამარ სხირტლაძე გამორჩეული აქტიორული შესაძლებლობებისა და უნარის მსახიობია. მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი უშუალობით, დამაჯერებლობითა და გმირის შინაგან სამყაროში წვდომის უნარით ხორცი შეესხა ბრწყინვალედ შესრულებული სახეების მთელ გალერეას.

თამარ სხირტლაძე ძალიან ცნობილი კინომსახიობიცაა. მას იღებენ არა მხოლოდ საქართველოში - იგი ხშირად მონაწილეობს რუსეთის სხვადასხვა კინოსტუდიების მიერ გადაღებულ ფილმებში. კინოფილმ „დღეს ღამე უთენებია"-ში (რეჟ. ლანა ღოღობერიძე) მონაწილეობისათვის ქალბატონ თამარს საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

თამარ სხირტლაძე ცალკეულ დადგმებზე მიწვეული იყო სანდრო ახმეტელის სახელობის თეატრისა და თეატრალური სარდაფის სპექტაკლებშიც; ამჟამადაც დაკავებულია თავისუფალი თეატრის ახალ სპექტაკლში, რომლის პრემიერაც რამდენიმე დღეში იგეგმება. ასე რომ, მისი შემოქმედების მოყვარულთ კვლავ ექნებათ შესაძლებლობა, შეხვდნენ საყვარელი მსახიობის ახალ ნამუშევარს.

მაინც რა არის ის ფენომენი, რითაც ასე ხშირად ინტერესდებიან ქართველი თუ უცხოელი რეჟისორები, რითაც ხიბლავთ მსახიობ თამარ სხირტლაძესთან მუშაობა? ალბათ, უპირველესად დიდი პროფესიონალიზმი, როლის შინაგან სამყაროში ღრმად შესვლისა და მხატვრულ იერსახედ მისი გადაქცევის უნარი, რაც, რბილად რომ ვთქვათ, არცთუ ბევრს ხელეწიფება. თამარ სხირტლაძის მართალი სიტყვა სცენიდან ის უმთავრესი იარაღია, რომლითაც ის ახერხებს, მაყურებლის გულში შეიჭრას და გაიხადოს იგი თანამოაზრედ, გულშემატკივრად, ბოლოს კი – თაყვანისმცემლადაც.

ხვალ თამარობაა! თან თამარ სხირტლაძის დაბადების დღეა!

# თვითმყოფადი კინო

## კინომატიანე დევი აბაშიძესთან ერთად



*დევი აბაშიძე ოპერატორ აბესალომ მაისურაძესთან ერთად.*

ნინო ჭორჭაძე

ცნობილი რეჟისორი დევი აბაშიძე დღეს, 1 მაისს 80 წლის ხდება. ბატონი დევი, თურმე, ექიმობას აპირებდა, მაგრამ მალე მიხვდა, რომ მისი მოწოდება მხოლოდ რეჟისორობა იყო. თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი ქუთაისის თეატრში მუშაობდა, სადაც 10-მდე სპექტაკლი დადგა. მანამდე კი, საკურსო ნაშრომად ჩეხოვის "ხელის თხოვნა" დადგა, სპექტაკლი, რომლის მხატვარი ლადო გუდიაშვილი იყო. სპექტაკლმა დიდი რეზონანსი გამოიწვია, შემდეგ კი აიკრძალა: "ისეთი ამბავი ატყდა, კინაღამ მეც და ლადოც დაგვიჭირეს," - იგონებს ბატონი დევი. ქუთაისში მოღვაწეობის შემდეგ იგი კინოსტუდია "ქართულ ფილმში" გადმოდის სამუშაოდ. მისი ფილმების სია ასეთია: "დიდოსტატის მარჯვენა", ვახტანგ ტაბლიაშვილთან ერთად, "ყვარყვარე", "ჩაძირული ქალაქის მაძიებლები", "ომი ყველასათვის ომია", "წითელი პატეფონი", "ყველა კომეტა როდი ქრება", "გამოაღეთ ფანჯრები", "მზის საგალობელი"...

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ბატონი დევი სიცილით იხსენებს: "ჩემი დაბადების დღე ყოველთვის ზარზეიმით აღინიშნებოდა; ახლა - ისე ველარ. გვირგვინებიანი საიუბილეო საღამოები კი, მართალი გითხრათ, არ მიყვარს. უარი ვთქვი. თანაც, რა გვეზეიმება, მძიმე დრო დაგვიდგა. სტუდია ძლივს სუნთქავს. რეზო ჩხეიძე ფილმებს საკუთარი თანხებით იღებს. სხვები პატარა, დოკუმენტურ ფილმებს ძლივს ახერხებენ."

"დიდოსტატის მარჯვენაზე" მუშაობა უაღრესად საინტერესო იყო და რთულიც. შესანიშნავი კოლექტივი შეიკრიბა, მქონდა მუდმივი კონტაქტი კონსტანტინე გამსახურდიასთან. მან რამდენიმე კანდიდატურისაგან შორენას როლის შემსრულებელი თავად აირჩია. "მოგეხსენებათ, ფილმის მასალა მოსკოვში ჩადიოდა დასამტკიცებლად. "სახკინო"-ს მთავარი რედაქტორი ფილმის ნახვის შემდეგ აღშფოთდა: ტულაში რომ ეს ფილმი ნახონ, რა უნდა იფიქრონ, ქართველებს ჰქონდათ კულტურა და ჩვენ არაო? მოგეხსენებათ, ხრუშჩოვის დროს ცხენები დაკლეს და ხორცად ჩააბარეს. ისტორიული ფილმი ცხენების გარეშე როგორ უნდა გადაგვეღო? სერგეი ბონდარჩუკმა თავისი გადაღებებიდან გვათხოვა სამასი ცხენი თავის მხედრიანად, ჩვენ მხოლოდ აბჯარი და სხვა რეკვიზიტი ჩავიტანეთ რუსეთში. და, რა თქმა უნდა, პურმარილი.."

ცენზურის დიდი ქარცეცხლი გამოიარა "ყვარყვარემაც". ფილმი მოსკოვში მხოლოდ მას შემდეგ მიიღეს, რაც შევარდნაძის თაოსნობით, კულტურის ავტორიტეტებმა და სოციალისტური შრომის გმირებმა მხარი აქტიურად დაუჭირეს. თუმცა, საბოლოოდ, მზის სინათლე "ყვარყვარემ" საკმაოდ დაჩეხილი სახით იხილა.

"ბევრი რამ ვერ გავაკეთე, მაგრამ მაინც ბედნიერი ვარ, რომ მრავალი ბარიერის მიუხედავად, 10 ფილმის გადაღება მოვახერხე," - ამბობს ბატონი დევი, რომლის სიცოცხლის ხალისი და ახალგაზრდული ენერგია ძალიან გადამდებია. მას ახლაც აქვს სცენარი - პაროდია ტერორისტებზე, რომელიც, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, მძიმე ცხოვრებით დაღლილ ხალხს გაახალისებს. სცენარი დაფინანსებას ელოდება...

# e-mail-ები გერნიკადან

ირაკლი კაკაბაძე

### პირველი e-mail-ი (26 აპრილი 2004 წელი)

დღეს ბასკეთის ტრადიციულ დედაქალაქ გერნიკაში ქალაქის დაბომბვის 57 წლისთავი აღინიშნა. ზუსტად 57 წლის წინ (1937 წლის 26 აპრილს), გენერალი ფრანკოს თხოვნით, გერმანულმა ნაცისტურმა ავიაციამ მოაწყო შეტევა ამ ქალაქზე, სადაც მაშინ მხოლოდ ოთხი ათასი ადამიანი ცხოვრობდა და, დაახლოებით, სამი ათასი უდანაშაულო ადამიანი დახოცა. ეს ფაქტი მოხდა იმისათვის, რომ მხოლოდ ფიზიკურად კი არა, მორალურადაც გაენადგურებინათ ბასკი ხალხი და მასთან ერთად რესპუბლიკური წინააღმდეგობა ნაცისტური რეჟიმისადმი.

მთელი მსოფლიო საოცრად შეძრწუნდა დაბომბვის ამ საშინელი ფაქტით და პიკასომაც გადაწყვიტა, თავისი პროტესტი გამოეხატა იმ ძალადობის მიმართ, რომელიც თავს დაატყდა ესპანეთის რესპუბლიკას, კერძოდ კი, ბასკეთის ქვეყანას (აქ ყველა ასე იხსენიებს ბასკეთს). მაშინ პაბლო პიკასო პარიზში ცხოვრობდა და სწორედ იმ პერიოდში დაიწყო მან გენიალური ტილოს Guernika-ს შექმნა. პიკასომ ხარი დახატა, რომელიც ფეხქვეშ თელავს ქალებსა და ბავშვებს. ეს ხარი მისთვის იყო ფრანკო და ნაციზმი, რომელმაც გადაწყვიტა, რომ ბასკი ხალხის წელში გადასატეხად საჭირო იყო უდანაშაულო ადამიანთა სამაგალითო დახოცვა.

ფრანკოს ბატონობის დროს ბასკური ენა, დაახლოებით, 40 წლის განმავლობაში აკრძლული იყო. თუმცა, ბასკებს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისადმი ლტოლვა არ დაუკარგავთ.

დღეს გერნიკაში დაბომბვის 57 წლისთავზე მსოფლიოს უამრავი ქვეყნიდან ჩამოვიდნენ დელეგაციები. ცერემონია მთლიანად ბასკურ ენაზე მიმდინარეობდა; ერთ-ერთმა წამყვანმა რამდენიმე ძალიან დასამახსოვრებელი რამ წარმოთქვა.

"ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ტრაგედია იმიტომ, რომ იგი არ განმეორდეს და, ამავე დროს, უნდა ვაპატიოთ ერთმანეთს და მივუტევოთ მტრებსაც";

"ვფიქრობთ, რომ დღეს საოცრად ძალადობრივი დროა მსოფლიოში და სწორედ დღეს უნდა გვედგას თვალწინ "გერნიკა" – პიკასოს გენიალური ქმნილება და თავად ქალაქი, რომელიც ბუნების არანაკლებ გენიალური ქმნილებაა. პრობლემები მშვიდობიანად უნდა მოგვარდეს და გასულ წელს ეს რამდენიმე ქვეყანაში თუ მოხერხდა (დაასახელეს კვიპროსი, ჩრდილოეთ ირლანდია და საქართველო), მსოფლიომ და, განსაკუთრებით, ამერიკამ, რუსეთმა და ჩინეთმა მათ უნდა მიჰბაძონ".



*პიკასოს „გერნიკა".*

ეს სიტყვები არაჩვეულებრივი ბასკური მუსიკისა და არანაკლებ არაჩვეულებრივი ბასკური ცეკვის ფონზე გაისმოდა. ეს ყველაფერი გერნიკას მსხვერპლთა სასაფლაოზე ხდებოდა.

საოცარი გრძნობაა აქ ყოფნა, განსაკუთრებით - ხელოვანისათვის.

ავსტრალიელი მხატვარი ბილ ქელი უკვე მერამდენედ იმყოფება აქ და ნამუშევრებს უძღვნის გერნიკას და მშვიდობას. მისი ერთ-ერთი ტილო, რომელსაც მე აუცილებლად ჩამოვიტან საქართველოში, თითქოს, ვარდების რევოლუციის წინასწარმეტყველებაა. ერთ მხარეს დგას შეიარაღებული კაცი, მეორე მხარეს კი ადამიანი ვარდით ხელში, რომელიც ვარდით ცდილობს მის განიარაღებას.

აქ წარმოდგენილი ყველა ნამუშევრის დედააზრია: მშვიდობა **სამართლისა** და **სიმართლის** გარეშე არ არსებობს; და რაც უნდა მტკინვეული იყოს ეს სიმართლე, თანასწორობა და სამართალი კი - ძნელად მისაღწევი, ნამდვილი მშვიდობისათვის აუცილებელია მათი მოპოვება.

### მეორე e-mail-ი (29 აპრილი 2004 წელი)

**ხელოვნება ძალადობის წამალი - რეიმონდ ვატსონის შემოქმედების შესახებ.**

ჩრდილოეთ ირლანდიის ისტორია ძალიან ჰგავს საქართველოს ისტორიის ბოლო 15 წელიწადს. 1921 წელს, როდესაც ირლანდიელმა ხალხმა დამოუკიდებლობა მოიპოვა, ბრიტანეთის იმპერიამ გამოიძახა მაშინდელი რესპუბლიკელები ლონდონში და პირდაპირი ულტიმატუმი წაუყენა მათ: ან თქვენ მიიღებთ დამოუკიდებლობას და დაგვითმობთ ჩრდილოეთ ნაწილს (ეგრეთ წოდებულ ოლსტერს - 6 საგრაფოს) ან საერთოდ არ მიიღებთ დამოუკიდებლობას და მთლიანად განადგურდებით ამ ომში. გასაგებია, რომ ირლანდიელებს დიდი არჩევანი არ დაუტოვეს. მაიკლ კოლინსი და მისი მეგობრები ამ კომპრომისზე წავიდნენ და ერთიან ირლანდიას ჩრდილოეთი ნაწილი ჩამოაშორეს. ეს სიტუაცია გაჭრილი ვაშლივით ჰგავს აფხაზეთის მაგალითს. რუსეთმა ზუსტად გაიმეორა ბრიტანეთის 1921 წლის მეთოდი.

რეიმონდ ვატსონი 45 წლის მხატვარი და მოქანდაკეა, რომელიც თავის დროზე IRA-ს წევრი იყო და ირლანდიის გაერთიანებისათვის იბრძოდა. ის პოლიტპატიმარიც იყო. "მივხვდი, რომ Good Friday-ს შეთანხმების შემდეგ მშვიდობას რეალური შანსი აქვს, რადგან ბრიტანეთის მთავრობამ ცნო ჩვენი მოთხოვნის ლეგიტიმურობა და დაიწყო ლაპარაკი ირლანდიის გაერთიანებაზე. მე ამას მივუძღვენი ჩემი ქანდაკება "ხელები" - ორივე ხელი ქვაში გამოვხატე. ქვას ისტორიულად ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ირლანდიაშიც და ინგლისშიც. ირლანდიელები ქვიდან ძალას იღებდნენ, ბრიტანეთის მონარქები კი მას ძალაუფლების საჩვენებლად ატარებდნენ. მე გამოვხატე ორი ხალხის გაწვდილი ხელები იმისათვის, რომ ირლანდიაში სოლიდური, ხანგრძლივი მშვიდობა დამყარებულიყო. იმედი მაქვს, მშვდობა ისეთივე მყარი იქნება, როგორც ის ქვა, რომლითაც ხელებია შექმნილი". ვატსონს პოლიტიკური პატიმრობიდან ისიც ახსოვს, როდესაც გაყინულ პატიმრებს გასათბობად ბიბლიაზე აყენებდნენ და ამით მათ კათოლიკურ მრწამსს შეურაცხყოფდნენ. ვატსონს ეს დღეები არ ავიწყდება, მაგრამ შურისძიება არ სურს. მისი ხის ქანდაკება "ცივი იატაკი" სწორედ ამ მოგონებას ეძღვნება - შიშველი ტერფები ბიბლიაზე.

რეიმონდ ვატსონი ის ხელოვანია, რომელიც ფიქრობს, რომ ხელოვნების მთავარი დანიშნულება სიმართლის თქმაა, და ეს წარსულის იარებს აშუშებს. ტყუილზე აგებული ნებისმიერი წესრიგი მალე და მტკინვეულად იშლება. ამიტომაც, ძალიან მნიშვნელოვანია, დავინახოთ მსოფლიო მათი თვალით, ვისაც ატყუებენ, შეურაცხყოფენ და ვინც თავისუფლებისათვის იბრძვის. ვატსონის გარდა, მოარული გამოფენის მონაწილენი არიან უილიამ ქელი და ალექს კარასკოზა; გამოფენაზე წარმოდგენილია ვარცლავ ჰავერის ნახატიც - "მშვიდობა". ყველა ეს ნამუშევარი გამოფენილი იქნება გერნიკაში, ბელფასტში, სამხრეთ აფრიკაში, ამერიკაში და ავსტრალიაში. ვატსონს იმედი აქვს, რომ ამ გამოფენის ჩამოტანა საქართველოშიც შეიძლება.

**P.S.** გუშინ "ვარდების რევოლუციის" სიმღერის პრემიერამ ძალიან კარგად ჩაიარა. მთელი დარბაზი ტაშით მიესალმა ირაკლი ჩარკვიანის მუსიკას და მრავალმა მხატვარმა აქვე შექმნა ტილო ვარდების რევოლუციის თემაზე; ნამუშევრები საქართველოს აჩუქეს. მათ შორის, უილიამ კელიმ გადაწყვიტა, რომ თავისი განთქმული ნამუშევარი "ვარდისა და მუშტის დიალოგი" საქართველოს აჩუქოს.

იმედი ვიქონიოთ, ამგვარი განწყობა კიდევ დიდხანს შენარჩუნდება ჩვენ მიმართ.

# ერთი საუკეთესო ყოველი ათიდან

## სააგენტო "ამსაში" კასტინგები იაპონური პრინციპით გრძელდება

ვერა ნეფარიძე

*სოფო ჭყონიას მოდელების სააგენტოს მორიგი სტუმარი ჰყავს. ამჯერად "ამსას" გოგონების შესაფასებლად და მათთვის იაპონური გამოცდილების გასაზიარებლად სააგენტო "აქსელის" წარმომადგენელი ჩამოვიდა. გუშინ სასტუმრო "ქორთიარდ მერიოტში" ფლორენციიდან დაბრუნებული გოგონები "ამსას" დანარჩენ წევრებთან ერთად იაპონელ სტუმარს აწონებდნენ თავს.*

დაეხმარა თუ არა პროფესიულ სრულყოფაში სააგენტო "ამსას" გოგონებს ფლორენციაში, "მოდა იტალიანას" ჩვენებაში მიღებული გამოცდილება, ამას მაშინ შევიტყობთ, როდესაც ქართული სააგენტოს იაპონელი სტუმარი კაზუა აკიამა გუშინდელი კასტინგის შედეგებს საკუთარი სააგენტოს სხვა წარმომადგენლებთან ერთად ტოკიოში შეაჯამებს.

როგორც ვიტყობინებოდით, ფლორენციაში, მოდის აკადემიის 20 წლის აღსანიშნავად, საკმაოდ მასშტაბური ღონისძიება გაიმართა. ქართველი მოდელების შესარჩევად რამდენიმე ხნის წინათ ჩვენებაზე ჩამოსული იყო აკადემიის პრეზიდენტიც. ჩვენება 2500 კაციან დარბაზში გაიმართა – მართალია, ნაკლებად ცნობილი დიზაინერებისა და მოდელების მონაწილეობით, მაგრამ ქართველი გოგონებისთვის ეს ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო. გუშინდელ შეხვედრაზე ფლორენციიდან დაბრუნებული "ამსას" მოდელები ცოტა ძუნწად, მაგრამ, შეძლებისდაგვარად, გადმოსცემდნენ იტალიაში მიღებულ შთაბეჭდილებებსა და გამოცდილებას. რამდენიმე მათგანმა მომავალ წელს დაგეგმილ იგივე ღონისძიებაზეც (ჩვენება ყოველწლიურია და მასში, ძირითადად, აკადემიის კურსდამთავრებულები მონაწილეობენ) მიიღო მიწვევა. "ამსას" გარდა, აღნიშნულ ღონისძიებაში სააგენტო "ნატალის" მოდელებიც მონაწილეობდნენ; ვიდეოჩანაწერს FTV მაისში გაუშვებს ეთერში.



*"ამსას" გოგონები იაპონელ სტუმარს აწონებენ თავს.*

"ამსას" მოდელებს გუშინ მორიგი გამოცდა ჰქონდათ. ამჯერად მათი შესაძლებლობებით ტოკიოს წამყვანი სამოდელო სააგენტოს "აქსელის" დამაარსებელი დაინტერესდა. როგორც გაირკვა, კაზუა აკიამა პირველად ჩამოვიდა კავკასიაში. სოფო ჭყონიას თქმით კი, ამ ვიზიტით ქართულმა სამოდელო ბიზნესმა პირველად დაამყარა ურთიერთობა იაპონელ პარტნიორებთან.

სააგენტო "აქსელი", თხუთმეტი წელიწადია, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან (ძირითადად, ავსტრალია, იტალია, კანადა, აფრიკა) არჩევს მოდელებს. კონტრაქტები, სავარაუდოდ, ორთვიანი იქნება. როგორც სოფო ჭყონიამ განმარტა, იაპონელები იშვიათად, თითქმის არასდროს, აფორმებენ უფრო ხანგრძლივი ვადით ხელშეკრულებებს უცხოელ პარტნიორებთან.

"კასტინგების დროს ჩემი პრინციპია, ყოველი ათიდან ერთი ან, მაქსიმუმ, ორი გოგონა შევარჩიო", - გვითხრა გუშინდელი კასტინგის დაწყებამდე იაპონელმა სტუმარმა. რამდენად უღალატებს საკუთარ პრინციპებს კაზუა აკიამა, ამას მოგვიანებით შევიტყობთ, როდესაც იგი "აქსელის" სხვა ხელმძღვანელებთან ერთად, ვიდეოჩანაწერის მიხედვით, კიდევ ერთხელ შეარჩევს "ამსას" მოდელებს. გუშინვე ცნობილი გახდა, რომ ჩვენებებისთვის საუკეთესო მოდელის გამოსავლენად სტუმარი უპირატესობას მიანიჭებდა სიმაღლეს, რასაც ნაკლებ ყურადღებას მიაქცევდა ფოტომოდელების შერჩევისას. რაც შეეხებათ გოგონებს, როგორც თავად განაცხადეს, ისინი მზად არიან, იაპონური შრომისუნარიანობა გამოამჟღავნონ; მით უმეტეს, რომ სააგენტოს ერთ-ერთ წევრს იაპონიაში მუშაობის გამოცდილება უკვე აქვს.

# საბიბლიოთეკო კვირეულის დახურვა

ნინო ჭორჭაძე

საქართველოს მასშტაბით ჩატარდება ბიბლიოთეკის კვირეული, რომელიც 23 აპრილს გაიხსნა. ეს, გარკვეულწილად, მკითხველისა და ბიბლიოთეკარის ურთიერთობის დღეები იყო, ბიბლიოთეკა შემოქმედ მკითხველებს წარმოაჩენს. ამ მხრივ, ბიბლიოთეკებს შორის გამორჩეულია შოთა რუსთაველის სახელობის ბიბლიოთეკა, რომელთანაც პოეზიის მოყვარულთა კლუბი არსებობს.

რაც შეეხება დახურვის ცერემონიას, მას ორგანიზება ეროვნულმა ბიბლიოთეკამ გაუკეთა. უნდა ვაღიაროთ, რომ, როგორც მოსალოდნელი იყო, საღამო ორგანიზებულობის დონით სკოლის ზეიმს მოგვაგონებდა. მიკროფონი გამუდმებით წიოდა და ქართულ ნაციონალურ კოსტიუმებში გამოწყობილი მოცეკვავე ბავშვებიც ირგვლივ ძალიან აჟიტირებული სახეებით დარბოდნენ. თუმცა, ამ საზეიმო ნაწილზე მეტად საინტერესო, ალბათ, ის პრობლემებია, რომელთა წინაშეც დღეს ბიბლიოთეკები დგანან. ამ თემაზე საქართველოს მირზა გელოვანის სახელობის ახალგაზრდობის ბიბლიოთეკის დირექტორი ომარ შამათავა გვესაუბრა. მისი განმარტებით, საბიბლიოთეკო საქმიანობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზა საკმაოდ არასრულყოფილია, თითქმის არ არსებობს დოკუმენტები. ამასთან დაკავშირებით, იურისტებთან შეხვედრა გაიმართა. გარდა ამ საკითხისა, საბიბლიოთეკო დაწესებულებებმა უნდა შეითვისოს საარქივო და სხვა საცნობარო სამსახურები. სწორედ ეს არის ის თანამედროვე ტენდენცია, რასაც მკითხველი მოითხოვს.

ასევე ამ კვირეულის დანიშნულებას წარმოადგენდა ძველი და ახალი თაობის ბიბლიოთეკარების შეხვედრა, ხოლო 30 აპრილი დაწესდა ამ არცთუ განებივრებული პროფესიის ადამიანების, ბიბლიოთეკარების დღედ.

იმედია, ეს კვირეული ყველა ზემოთ ჩამოთვლილ პრობლემას, მართლაც, მნიშვნელოვნად წაადგება და ბიბლიოთეკის მომსახურებას უფრო პროგრესულს და მოქნილს გახდის.

# ნავთსაყუდელი

## საუბარი თამაზ ჭილაძესთან

მზია ნოზაძე

**- თავიდანვე ჩემი გაკვირვება უნდა გაგიმხილოთ: ორი მწერალი ერთ ბინაში როგორ ეტევით? ნათქვამია, ერთ ბუნაგში ორი დათვი წარმოუდგენელიაო.**

- მორიდებით შეგახსენებთ, ჩვენ დათვები კი არა, ძმები ვართ.

**- მე არ გეხუმრებით. ნამდვილად იშვიათი შემთხვევაა, უიშვიათესი! როგორც ვატყობ, თავს მშვენივრად გრძნობთ.**

- პირადად ჩემთვის, ეს დიდი ბედნიერებაა.

**- კარგით, „მოთელვა“ დამთავრებულია, ახლა საქმეზე გადავიდეთ.**

- ესეც საქმე იყო, თანაც, ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანი.

**- გეთანხმებით, მაგრამ ასეთი საუბარი შორს წაგვიყვანს. ჩემ მიერ წინასწარ მომზადებულ კითხვებს რა ვუყო, რომ იცოდეთ, რამდენი ვიფიქრე ამ კითხვებზე!**

- დიახ, კითხვები უფრო ძნელი მოსაფიქრებელია, ვიდრე პასუხები. ერთი ფრანგი მწერალი ამბობს, მთავარია, კითხვები არ გამოილიოსო.

**- ჩემს კითხვებს ეგ არ ემუქრება. მე ის მაფიქრებს, დრო თუ გვეყოფა. რატომღაც, თქვენი ერთი პიესის პერსონაჟის სიტყვები მახსენდება: „ერთადერთი, რაც მაქვს, დროა“.**

- როცა ბევრი დრო გაქვს, ეს იმას ნიშნავს, სხვა აღარაფერი დაგრჩენია. რამდენადაც მახსოვს, თქვენ მიერ გახსენებულ პიესაში, მაინცდამაინც, კარგად არ უნდა იყოს იმ პერსონაჟის საქმე...

**- პარალელი უნებურად გავავლე. განა თქვენ თვითონ არ წერდით, თუ ვინმეს არ ჰგავს ნაწარმოები, უპირველეს ყოვლისა, მის ავტორსო? ასეა თუ ისე, იქნებ დაგვეწყო ჩვენი საუბარი? აი, როგორია ჩემი პირველი კითხვა: ადრე ილუზიებით ვცხოვრობდით, გვაიძულებდნენ, ილუზიებით გვეცხოვრა. ახლაც ილუზიის იერი ხომ არ დაჰკრავს ზოგიერთ ჩვენს განცხადებას?**

- მაინც, რას გულისხმობთ?

**- ვითომ ასე იოლია თავისუფლების მოპოვება?**

- თავისუფლების იოლად მოპოვების შესაძლებლობა მხოლოდ იმან შეიძლება დაუშვას, ვისაც, პირდაპირ რომ ვთქვა, წარმოდგენაც კი არ გააჩნია თავისუფლებაზე, ვისაც თავისუფლება სუპერმარკეტი ან ამქვეყნიური სამოთხე ჰგონია. თავს ნებას მივცემ და ჩემს ერთ ძველ ნათქვამს გავიმეორებ: თავისუფლება ღარიბია, მონობაა მდიდარი. ერთმა პოეტმა თქვა: „თავისუფლება მოდის შიშველიო“. ოღონდ, თავისუფლებას სულით მდიდრები აღწევენ, მონობას კი სულით ღარიბები ურიგდებიან. ბოლომდე გულწრფელი რომ ვიყო, რაც თავიდანვე კატეგორიულად მომთხოვეთ, ვიტყვი: ამ ბოლო დროს თითქოს დაგვავიწყდა ის, რაც გაჩენის დღიდან ჩვენი ხალხის მთავარ საქმეს წარმოადგენდა, თავისუფლებისთვის ბრძოლას ვგულისხმობ. მართალია, ყველა ერთნაირად ვგრძნობდით, რაღაც საშინელებას რომ გადავურჩით, მაგრამ რატომღაც გვავიწყდებოდა, იმ საშინელების გამეორების დიდი საფრთხე რომ არსებობდა. მგონი, ბოლომდე გააზრებულიც კი არ გვქონდა, რას ნიშნავდა გადარჩენა.

თუ შევეცდებით მთავარი სიტყვა მოვიძიოთ ჩვენს, უკანასკნელი ორი საუკუნის, ლიტერატურაში, ეს, ალბათ, „თავისუფლება“ იქნება. „თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდელი“! - პოეტის ეს ნათქვამი თავიდან, ანუ სიყრმიდან, მუსიკალურ ფრაზასავით მოქმედებდა ჩემზე, მხიბლავდა, მიზიდავდა თავისი იდუმალებით, მაღელვებდა ისე, რომ ბოლომდე არ მესმოდა ამ აზრის ტრაგიკული სიღრმე. მერე თანდათანობით ჩავწვდი მის ჭეშმარიტ მნიშვნელობას: ჩვენ - ქართველები - განწირულები ვართ თავისუფლებისთვის! ვინმეს, ასეთი „ვინმე“ ამჟამად უამრავია ჩვენში, შეიძლება უცნაურადაც კი მოეჩვენოს თავისუფლებისა და განწირულობის ცნებების დაწყვილება, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ, მართლაც, სხვა გზა არა გვაქვს: ან თავისუფლები უნდა ვიყოთ, ან თავისუფლებისთვის ვიბრძოდეთ, საერთოდ რომ ვარსებობდეთ, როგორც ერი. პოეტს შეუძლია ერთი ფრაზით გადმოსცეს ხალხის სულისკვეთება, ერთი ფრაზით დაახასიათოს მთელი ხალხი. ჯერ კიდევ როდის ითქვა, თანაც ნამდვილად თავისუფალ საქართველოში: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი“! ჩვენი არსება სრულყოფილებას მაშინ ავლენს, როცა თავისუფალია, ანდა თავისუფლებისთვის იბრძვის.

**- თავისუფლებისკენ ყველა თავისი გზით მიდის.**

- მართლაც, თავისუფლებისკენ უამრავი გზა მიემართება, ოღონდ, მათ შორის ერთადერთია სწორი.

**- რომელია ეს გზა?**

- ძალიან გამიჭირდება პასუხის გაცემა. ყველა ხალხი თვითონ ირჩევს ამ გზას. ზოგს უმართლებს, ზოგს - არა, მაგრამ ვიდრე ამაზე ფიქრობს, ვიდრე გზას ეძებს, მანამდე ხალხი ჰქვია. ჩვენ, ალბათ, „ახალი ვარსკვლავისკენ“ მიმავალ გზას უნდა დავადგეთ. ხომ გახსოვთ: „ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს“!

**- ეს ძალიან ზოგადი პასუხია.**

- არ დაგავიწყდეთ, მე პოლიტიკოსი არა ვარ.

**- პოლიტიკოსებმა კი იციან?**

- როგორ გითხრათ... ღმერთმა ნუ ქნას, რომელიმემ მაინც არ იცოდეს. მართლაც, ძალიან ზოგადად გიპასუხეთ, მაგრამ უფრო ჩემი გულისტკივილის გაზიარება მინდოდა: უცნაურია, ყველაზე ხშირად ილია ჭავჭავაძეს ვახსენებთ და, ამავე დროს, ყველაზე ხშირად სწორედ მის შეგონებებს ვივიწყებთ, ვუპირისპირდებით კიდეც. ილია ჭავჭავაძის გზა არა მარტო სწორია, არამედ გადამრჩენიც.



თამაზ ჭილაძე.

ვახო ხაჯალიას ფოტო

**- ვიცი, თქვენცა და ბატონი ოთარიც პოლიტიკისგან შორს დგახართ.**

- პოლიტიკასთან „ახლოს დგომამ“, ე.წ. „ინტელიგენციის დარბაზებმა“, ანუ ინტელიგენციის პოლიტიკურ ძალად, სწრაფი რეაგირების რაზმად გადაქცევის ცდებმა შელახა სწორედ ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის ავტორიტეტი. ვგულისხმობ ჩვენი ხელოვნებისა და მწერლობის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც პოლიტიკური ზეგავლენის შედეგად, ან პოლიტიკისადმი მათი საკვირველი, თავშეუკავებელი ლტოლვის წყალობით, ხელისუფლების მხარდამჭერთა ან მოწინააღმდეგეთა ჯგუფებად ერთიანდებოდნენ, ანუ კარგავდნენ ინტელიგენტობის მთავარ ნიშანს - პიროვნულ დამოუკიდებლობას, ღირსებას. შეიძლება ამიტომაც, გაუბრალოვდა ინტელიგენციის დიდებული თვისება - ოპოზიციურობის პათოსი, დემოკრატიული საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი ძირითადი სტიმული.

ოთარიცა და მეც დარწმუნებულები ვართ, ჩვენი საქმეც, ანუ ქართული მწერლობის სამსახურიც, პოლიტიკაა. ამდენად, ვემსახურებით რა კულტურას, ჩაბმულნი ვართ ქართველთა მთავარ პოლიტიკაში! ჩვენში ბოლო დროს ისეთი ვითარება შეიქმნა, ყველას უნდა პოლიტიკოსობა, მაგრამ ისიც აშკარა გახდა, მარტო სურვილი საქმეს ვერ შველის, ამისთვის სათანადო ნიჭი, ცოდნა და გამოცდილება უნდა გაგაჩნდეს. ჩვენი ხელისუფლების ბევრ წარმომადგენელს, თუ უმეტესობას არა, წარმოდგენაც კი არ ჰქონდა პოლიტიკური ნავიგაციის კანონებზე, ისე დგებოდა სახელმწიფოს მართვის საჭესთან. არ შეიძლება პოლიტიკოსობა სარფიან საქმიანობად აქციო. პარლამენტარობა კი არ უნდა იყიდო (რაც, სამწუხაროდ, ასე იყო გავრცელებული ჩვენს სინამდვილეში), პარლამენტისკენ მაღალი ხელფასი და ასევე მაღალი, სამუდამო პენსია (რაც, ძალიან საკვირველია ჩვენი საერთო სიღატაკის ფონზე!) კი არ უნდა გიზიდავდეს, არამედ მოქალაქეობრივი სინდისი. მიკროფონთან შენი დამფინანსებლების გასაგონად, ანდა ვალის მოსახდელად (ტაბელის გადასაბრუნებლად!) კი არ უნდა მიდიოდე, არამედ საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი სათქმელი უნდა გაგაჩნდეს. შენს მსმენელს არ უნდა გაახსენდეს სენეკას სიტყვები: „მე მძულს ჩემი ყურები“! ოთარი და მე დღევანდელი, თუ გნებავთ, ქართული გაგებით, მართლაც, არა ვართ პოლიტიკოსები, მაგრამ დიდ პატივს ვცემთ ქვეყნისთვის აუცილებელ და საჭირო საქმიანობას. ჩვენც გვყავს ნამდვილად მნიშვნელოვანი პოლიტიკოსები.

**- მახსენდება თქვენი ძმის სტრიქონი: „და ამ პატარა მიწის ნაგლეჯზე შემაძრწუნებლად ვარ ბედნიერი“...**

- ასეთი ბედნიერება რომ შეიგრძნო, ესეც პოლიტიკოსობაა. პოლიტიკოსობაა ისიც, რომ „განცხრომით სხვაგან ყოფნას“ „აქ სიკვდილს“ ამჯობინებ! შეიძლება, სწორედ ოთარის ამ სტრიქონმა მათქმევინა, თავისუფლებისთვის განწირულები ვართ-მეთქი.

**- მაგრამ, სამწუხაროდ, ფაქტია, რომ „აქ სიკვდილს“ შემოქმედებითი ინტელიგენციის ბევრმა წარმომადგენელმა „განცხრომით სხვაგან ყოფნა“ არჩია...**

- და არა მხოლოდ შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა! გაჭირვების დროს გაქცევა, მართლაც, ჩვენი მოგონილი ყოფილა, აბა, ტყუილად ხომ არ იტყოდა ხალხი: „გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო“! ხელისუფლებამ, სახელმწიფოს მართვის რა მოგახსენოთ, მაგრამ ფიზიკის კანონების ცოდნა კი ნამდვილად გამოავლინა - რომ არ გაეხეთქა, ქვაბიდან ორთქლი გამოუშვა. კარი ფართოდ გაუღო გაქცევის ყველა მსურველს. საქართველოდან არასოდეს ამდენი ქართველი არ წასულა, არც იძულებით, თუნდაც, XVII საუკუნეში, კახელების ფერეიდანში გადასახლების დროს, და, რასაკვირველია, არც თავისი ნებით.

**- ხალხს აშკარად ჰქონდა ამის მიზეზი. ამის ახსნა, მგონი, ადვილია...**

- მე გულისტკივილი მალაპარაკებს, თორემ ნამდვილი მიზეზი მეც, თქვენსავით, რასაკვირველია, ვიცი, თუმცა ამას რა ცოდნა უნდა! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ოფიციალურად დაკანონებული „საარსებო მინიმუმის“ გახსენებაც საკმარისი იქნება. ეს ტერმინი უკიდურესი სიცხადით ააშკარავებს ხელისუფლებისა და ხალხის ურთიერთდამოკიდებულებას, უფრო მეტიც - ხელისუფლების უპატივცემულობას ხალხისადმი. ხალხი ბრბოსგან, ანდა საკონცენტრაციო ბანაკების პატიმრებისგან განსხვავებით, კი არ არსებობს, არამედ ცხოვრობს! ძველად მონები „პურსა და სანახაობას“ თხოულობდნენ. არა მგონია, შემთხვევითი იყოს ის ამბავი, რომ ჩვენში კულტურის ადგილს თანდათანობით, ჯიუტად, თავხედურადაც კი, სანახაობა იჭერს. სანახაობა სჭირდება მონებს, კულტურა კი - ხალხს! ჯერ კიდევ როდის დაიწერა ასეთი დიდებული სტრიქონები: „რაც საჭიროა, მასზედ მეტი კაცს რომ არ მისცე, ადამიანი ხომ პირუტყვად გარდიქცეოდა“! ჩვენი მოქალაქეები საჭიროზე მეტს კი არა, ცხოვრებისთვის აუცილებელსაც ვერ იღებენ და, ალბათ, ამის გამო, ისეთი შემზარავი, „ლაგერული“ ცნება, როგორიც „საარსებო მინიმუმია“, თქვენ წარმოიდგინეთ, ლოგიკურადაც კი წარმოაჩენს ჩვენს უკიდეგანო სიღატაკეს. ასე რომ, გაპირუტყვებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ბრბოდ გადაქცევის ნამდვილად დიდი შანსი არსებობს. რაც, გულწრფელად რომ ვთქვა, ძალიან დიდად არ განსხვავდება გაპირუტყვებისგან.

შეიქმნა ისეთი, ერთდროულად ტრაგიკულიც და აბსურდულიც, ვითარება, თითქოს ამდენ უბედურებას, შიმშილს, სიცივეს, უშუქობას, თავისუფლების გულისთვის კი არ ვითმენდით, როგორც, ვთქვათ, ესტონელები, არამედ... მონობაში დასაბრუნებლად! ვერც კი ვგრძნობდით, როგორ ვშორდებოდით ჩვენს საკუთარ ტრადიციებს, როგორ გვიჩნდებოდა გაუცხოვების გრძნობა მშობლიურ გარემოში. მთავარი და, სამწუხაროდ, განმსაზღვრელი ნიშანი ჩვენი ცხოვრებისა, აგრესია გახდა. აგრესია იფრქვეოდა პრესის ფურცლებიდან, ტელეეკრანიდან, პარლამენტის ტრიბუნიდან. დავკარგეთ ნორმალური აზროვნებისთვის აუცილებელი სულიერი წონასწორობა. ღრმავდებოდა და დღითი დღე იზრდებოდა უფსკრული ჩვენსა და ჩვენს გენეტიკურ საწყისებს შორის, ერთიანი ფენომენი - ხალხი და კულტურა - ორად იხლიჩებოდა, რაც იწვევდა ეროვნული შეგნების ეროზიას, აზროვნების დეგრადაციას; გვეუცხოვებოდა ის, რასაც სინამდვილეში წარმოვადგენდით, სხვები გვინდოდა ვყოფილიყავით, ჩვენი ცხოვრება, ყოველდღიური ყოფა სხვის, ვთქვათ, ფრანგის, გერმანელისა თუ ამერიკელის, ცხოვრებასა და ყოფისთვის გვინდოდა დაგვემსგავსებინა. ამავე დროს ისეთ ქვეყანაში, როგორიც სამოქალაქო ომის შემდგომი საქართველო იყო, ეს სრულებითაც არ არის საკვირველი და არც მხოლოდ უკიდურესი გაჭირვების ბრალი. კულტურულ თვითიზოლაციაში აღმოვჩნდით, არა მარტო დავშორდით, დავუპირისპირდით კიდეც ცივილიზირებულ სამყაროს. თუმცა, იმედი კი გვქონდა, რაც ასე თუ ისე გვასულდგმულებდა, რომ ჩვენი უძველესი კულტურა თავის ფუნქციას აღიდგენდა, საერთო-ევროპული კულტურის სისხლის მიმოქცევის სისტემაში ჩაერთვებოდა, როგორც მისი ორგანული ნაწილი. მაგრამ, სამწუხაროდ, მოხდა პირიქით...

მსოფლიოში, ალბათ, იშვიათია ერი, რომელსაც საკუთარ მიწაზე ისეთი შიშით ეცხოვროს, როგორც ჩვენ ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში ვცხოვრობდით. უნიკალური კულტურის პატრონებს, თითქოს გვერიდებოდა ჩვენი ღირსების დამამტკიცებელი, თუნდაც, ხატისა თუ წიგნის გამომზეურება. ქვეყანაში, სადაც ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად IV საუკუნეში გამოცხადდა, ჯვრის გამოჩენა გვეშინოდა, ორდენზე იქნებოდა ის გამოსახული, თუ დროშასა და გერბზე. მთელ ჩვენს არსებას დამარცხებული ადამიანის იდეოლოგია, მეტასტაზებივით, მოედო. ისტორიულად შემოქმედი ხალხი, თანდათანობით, საშინელი სიღატაკისგან წამხდარი, სხვათა ხელებში შემყურე, „მომხმარებლად“, ანუ „ურჩ გადამხდელად“ და „მორჩილ ამომრჩევლად“ გადავიქეცით. დაგვავიწყდა ის ჭეშმარიტება, რომ ბრბო დამარცხებული ხალხია.

თავისუფლების დიადი, დამათრობელი იდეა ხაფანგში აღმოჩნდა. ამ იდეას, აგერ უკვე ათ წელზე მეტია, ჩვენს თვალწინ ნადავლივით თუ ნანადირევივით გლეჯდნენ მედროვე პოლიტიკოსები. ადვილი შესაძლებელია, ხელში თავისუფლების ჩონჩხილა შეგვრჩეს. თავისუფლების ჩონჩხზე შემზარავი სანახავი კი ამ ქვეყნად არ არსებობს. ღმერთმა დაიფაროს ქართველი ხალხი ამისგან...

და მაინც, ძალიან მიჭირს სამშობლოდან გაქცეულთა გამართლება. იანიჩარი, პიროვნულად, უბედური არსებაა, ოღონდ, შეიძლება, თვითონ არც იცოდეს ეს, მით უმეტეს, დღეს, ჩვენში ამის გაგება ძალიან გაუჭირდება, რადგან ბოლო ათი წელი, თუ ვინმეს ვცემთ პატივს, თუკი ვინმეს ვხვდებით აღტაცებითა და სიხარულით, თუკი ვინმეს სხვისი სამსახურისთვის არა მარტო „ღირსების ორდენით“, არამედ რუსთაველის სახელობის ეროვნული პრემიითაც ვაჯილდოვებთ - იანიჩარია, იანიჩარი ხელოვანი!

**- ორმაგ მოქალაქეობაზე არც კი გეკითხებით...**

- სწორედაც იქცევით. ორმაგი მოქალაქეობა დაუშვებლად მიმაჩნია. თავის დროზე უამრავი და უამრავი ადამიანი გაიხიზნა სომხეთიდან, იტალიიდან, არაბული ქვეყნებიდან სხვა სახელმწიფოებში, მაგრამ მათთვის ორმაგი მოქალაქეობა არავის მიუცია.

**- ჩვენმა პარლამენტმა გამონაკლისი დაუშვა იმათთვის, ვინც, მისი სიტყვით, მსოფლიოში სახელი გაუთქვეს საქართველოს, თანაც ჩვენმა პრეზიდენტმა უნდა გადაწყვიტოს, ვის მიაგოს ასეთი პატივი!**

- მიუხედავად ჩემი დიდი პატივისცემისა, როგორც პრეზიდენტის, ასევე პარლამენტის მიმართ, მაინც ასეთ გადაწყვეტილებას ვერ დავეთანხმები. თუმცა, ისიც ვიცი, ამ საკითხზე ჩემს შეხედულებას არავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს - კანონი უკვე მიღებულია, კანონი კი ყველასთვის ერთნაირად სავალდებულოა, მათ შორის, რა თქმა უნდა, ჩემთვისაც. ისე, კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა დააჯილდოვო ორმაგი მოქალაქეობით ის, ვინც ერთხელ უკვე ადვილად შეელია თავისი ქვეყნის მოქალაქეობას, რა მიზეზითაც უნდა მომხდარიყო ეს! „შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამღუპველ ოსმალეთსა“! - თქვა პოეტმა, მაგრამ ვინ უსმენს დღეს პოეტს, თუნდაც ის ილია ჭავჭავაძე იყოს!

რაც უფრო ღატაკია ქვეყანა, მით უფრო მაღალია იქ იანიჩრობის გამართლების ხარისხი, რაც, თავისთავად, უკვე პროვინციალიზმია, ხალხის შეგნებაში ღრმად გამჯდარი, ხშირად დიდი შეცდომების მიზეზი რომ ხდება, სწორედ კულტურის პრობლემებთან დაკავშირებით.

ნიჭს პასპორტი არ სჭირდება, ჩვენს ქვეყანას კი სჭირდება ნიჭიერი ადამიანები. ამასთანავე, საქართველოდან წასულმა (თუ გაქცეულმა) მუსიკოსებმა და მოცეკვავეებმა თუკი ვინმეს გაუთქვეს მსოფლიოში სახელი, ალბათ მხოლოდ იმ ქვეყანას, ვისი სახელითაც ამჟამად გამოდიან უცხოეთში. პირდაპირ რომ ვთქვა, მათ ყველგან რუს არტისტებად იცნობენ. ისინი რომ უცხოეთში თავიანთი სამშობლოს სახელით გამოდიოდნენ, ანუ როგორც წესი და რიგია და როგორც სხვა ქვეყნების შემოქმედები იქცევიან (პავაროტი სადაც არ უნდა ამღერო, იტალიელ მომღერლად დარჩება!), მაშინ, ალბათ, არც გახდებოდა საჭირო საერთოდ ასეთი საკითხის წამოჭრა.

იმედი მაქვს, ჩვენი ახალი ხელისუფლება, საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი შემოქმედებისთვის ორმაგი მოქალაქეობის მინიჭებასთან ერთად, ორმაგად იზრუნებს სამშობლოში დარჩენილ, ღვთის ანაბარა მიტოვებულ ქართველ შემოქმედებით ინტელიგენციაზე; ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, ამჟამად საქართველოში რამდენიმე ჭეშმარიტად დიდი, საერთაშორისო მასშტაბის ხელოვანი და მწერალია...

**- ზევით პროვინციალიზმი ახსენეთ. მახსოვს, ადრე, ერთ-ერთ პუბლიცისტურ ნარკვევში წერდით: „პროვინცია ხალხის სამშობლოა, პროვინციალიზმი - ბრბოსი“!**

- პროვინცია, მართლაც რომ, ხალხის სამშობლოა და რამდენადაც მშვენიერია იგი, იმდენად მახინჯია და სახიფათო გენეტიკურ ფესვებს, ბუნებრივ გარემოს მომწყდარი პროვინციალიზმი, რომელიც მოდის, მოედინება და გზა და გზა ყველაფერს ანადგურებს, რაც საუკუნეების მანძილზე კულტურას უშენებია და შეუქმნია. მათ შორის კი ყველაზე ძვირფასი და მნიშვნელოვანი ადამიანის პიროვნებაა. ამ ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში ჩვენში ოფიციალურად ორი რევოლუცია მოხდა, მაგრამ იყო მესამეც, გარეგნულად თითქმის შეუმჩნეველი, ოღონდ სინამდვილეში, მართლაც რომ, დამანგრეველი - ჩვენს შეგნებაში დამყარდა პროვინციალიზმის დიქტატურა, რომელმაც თავისი კანონები, ზუსტი იქნებოდა, მეთქვა - თავისი უკანონობა, თავისი გარნიზონული წესი მოგვახვია თავს. პროვინციალიზმის დამკვიდრებას ხელი შეუწყო იმ საბედისწერო ვითარებამაც, რომ თითქმის ჩვენი ხელით ამოვითხარეთ საერთო თვალი - საზოგადოებრივი აზრი! რასაკვირველია, ეს მხოლოდ რევოლუციისა და სამოქალაქო ომის ბრალი არ არის, ლოგიკური შედეგია ორასწლიანი მონობისა, რომლის ყველაზე საშინელმა ნაყოფმა, სწორედ რომ, ერის ტრაგიკულ ვითარებაში იჩინა თავი.

დღეს ბევრ ქვეყანაში უჩივიან პროვინციალიზმის მომძლავრებას, მაგრამ გაცილებით ძლიერი და სახიფათოა იქ, სადაც პოლიტიკური თუ სოციალური უამინდობის გამო, თუნდაც დროებით, დაქვეითებულია კულტურის საერთო დონე. ერთ-ერთი ასეთი ქვეყანა, სამწუხაროდ, საქართველო აღმოჩნდა.

პროვინციალიზმი, უპირველეს ყოვლისა, ეროვნულ ტრადიციებსა და კულტურას უპირისპირდება. თავად უსახური, ცდილობს ყველაფერს სახე დაუკარგოს, დაადაბლოს, გაამდაბიუროს, არარაობად აქციოს. ისეთი მაღალკულტურული ქალაქი, როგორიც თბილისია, პროვინციალიზმის შემაკავებელი ჯებირი, მისი მომთვინიერებელი კი არა - მსხვერპლი აღმოჩნდა. მარტო ქალაქს კი არა, მოქალაქეებსაც შეეცვალათ იერი, დაეკარგათ პეწი და მომხიბვლელობა. ფერადი ქალაქი განაცრისფრდა, მტრისგან აღებულსა და გაძარცულს დაემსგავსა. თეატრიდან თეატრი გავდევნეთ, სკოლიდან - სკოლა, მწერლობიდან - მწერლობა, საზოგადოებიდან - საზოგადოება და, უეცრად, სულ სხვა, ქართულს მიმსგავსებულ, მაგრამ სინამდვილეში ანტიქართულ ენაზე ავლაპარაკდით. ჩვენი ხელით დავანგრიეთ ბევრი რამ, რაც ქალაქს განუმეორებელ, თვითმყოფად იერს უნარჩუნებდა. აი, თუნდაც, ძველისძველი, კოლორიტული უბანი - ფიროსმანის სამყარო - რიყე! ეს მოცალიერებული ადგილი „თბილის-ქალაქობის“, ანუ ზურნა-დუდუკის, ბაიათების, „კინტაურის“, „ბაღდადურისა“ და „შალახოს“ ესტრადად ვაქციეთ, ვითომ ვზეიმობდით „მოსავლის დღესასწაულს“, როცა თავად სოფელი, სოფლის მეურნეობა დიდი ხანია, მიწასთან გვაქვს გასწორებული, ფუნქციადაკარგული გლეხი კი ბაზრის კართან საცოდავად ატუზულა.

სხვათა შორის, როგორც კი რიყეზე დიდი ქართველი მამულიშვილის - დავით სარაჯიშვილის ძეგლი აღიმართა, „გულს იმედი ჩაგვესახა“, თითქოს ამ უბანს პატრონი გამოუჩნდა. ეს, მართლაც რომ შესანიშნავი ძეგლი, გონიერი, საქმიანი და პატრიოტი მეწარმის სიმბოლოდ აღვიქვით. ისიც კი გავიფიქრეთ, რა კარგი იქნებოდა, სწორედ აქ, რიყეზე, ვაზის სასახლე აგვეგო - ჩვენი უძველესი კულტურის მუზეუმი, რომელიც, გარდა იმისა, რომ ქალაქს მოუხდებოდა, იმასაც შეგვახსენებდა, ღვინის უძველესი ქვეყანა რომ ვართ, რაც ამას წინათ საგანგებოდ აღინიშნა ლონდონში. განა შემთხვევითია, რომ ქრისტიანობას ჩვენში ვაზის ჯვარი შემოუძღვა?

ნამდვილად ბრძენი და შორსმჭვრეტელი წინაპრები გვყავდა. დღეს კი სწორედ სიბრძნის, საერთოდ, პიროვნების დეფიციტი იგრძნობა. თუმცა, შექმნილი ვითარების გამო, სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო: ყველაფერი ხელოვნური, ფსევდო გვქონდა, მათ შორის თავისუფლებაც და დემოკრატიაც.

ნამდვილი დემოკრატია პიროვნების სასიკეთო შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენა და სტიმულია. ასე იყო ანტიკურ ხანაში - ელინთა დემოკრატია დიდ პიროვნებებთან არის დაკავშირებული - ასეა დღესაც, თუკი ნამდვილად დემოკრატიული სახელმწიფოების მაგალითს გავიხსენებთ. დემოკრატიას, უპირველეს ყოვლისა, პიროვნებები სჭირდება და წარმოშობს კიდეც თავისი წიაღიდან. ამ თვალსაზრისით, ჩვენი დემოკრატია, სამწუხაროდ, ბერწი აღმოჩნდა...

**- ნუთუ ბოლო ათი წლის განმავლობაში არაფერი შეცვლილა, ნუთუ, რაც ამჟამად გვჭირს, ყველაფერი მხოლოდ გარეშე მტრის ბრალია?**

- როგორ არა, ზოგი რამ აშკარად შეიცვალა, მაგრამ მთავარი - ნიჰილიზმი კულტურისადმი, კულტურისადმი პოლიტიკის დაპირისპირება კიდევ უფრო გაიზარდა, რაც, დღევანდელი ეკონომიკური გაჭირვების ფონზე, ნორმალურად და ლოგიკურადაც კი გვეჩვენება. მწერალთა და ხელოვანთა უკიდურესი ხელმოკლეობა ცენზურის უძველესი, ასგზის ნაცადი და შემოწმებული სახეობაა. გალაკტიონ ტაბიძეს დღიურში ჩაუწერია: „სიღარიბე - ლიტერატურული კატორღა“-ო...

ისეთი ვითარება შეიქმნა, ძნელი გახდა საკუთარი თუ სხვისი ბრალისა თუ დანაშაულის გარჩევა. ბევრი უზნეობა, რომელიც, რატომღაც, „გენეტიკურ თვისებად“ ინათლებოდა, გარეშე, ცბიერი მტრის მიერაა ჩანერგილი ჩვენს ფსიქიკაში. კორუფციაც კი, რომელიც, რა თქმა უნდა, უსათუოდ უნდა გაჩენილიყო ჩვენში, რადგან ამისთვის ყველა პირობა არსებობდა, მტრის მიერაა ასე უკიდურესობამდე გალვივებული: ახლა ჩვენში არა მარტო ფულს ათეთრებენ, არამედ წარსულ საქმიანობასაც და, თქვენ წარმოიდგინეთ, სინდისსაც! კორუფცია დღეს არ გაჩენილა და ხვალ არ გაქრება და არც საქართველოა მისი ერთადერთი მსხვერპლი, მაგრამ მაინც გამუდმებით უნდა ვებრძოლოთ, როგორც ჰოლანდიელები ებრძვიან ზღვას. კორუფციასთან ბრძოლა ხალხის ზნეობის სკოლაა. კორუფციას ადრე „ეშმაკისთვის სულის მიყიდვა“ ერქვა, ბრიყვი ეშმაკი კი ჯერ არავის გაუგონია...

გაგრძელება B7 გვერდზე

ფეხბურთი

## რუსეთი ევროპის ჩემპიონატით რისკავს



ტიტოვის გამო რუსეთის ნაკრები შეიძლება ევროპის ჩემპიონატზე არ დაუშვან.

რუსეთის ნაკრები, შესაძლოა, ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის მიღმა აღმოჩნდეს, - შიშობენ რუსი ჟურნალისტები. მოგეხსენებათ, ევროპის ჩემპიონატის საგზურის მოსაპოვებლად, გადათამაშებაში, რუსეთისა და უელსის ნაკრები გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს. ორი მატჩის ჯამში რუსებმა - 1:0 მოიგეს. ერთადერთი გოლი გამარჯვებულებმა სწორედ უელსში, კარდიფის სტადიონზე გაიტანეს. იმ მატჩში რუსეთის ნაკრების ღირსებას იცავდა დოპინგის მოხმარებაში მხილებული იგორ ტიტოვი, რომელსაც, ბუნებრივია, თამაშის უფლება არ ჰქონდა.

მატჩის შემდეგ უელსის მხარემ უეფაში პროტესტი შეიტანა – იმის გამო, რომ რუსეთმა გამოიყვანა ფეხბურთელი, რომელსაც თამაშის უფლება არ ჰქონდა, რუსეთის ნაკრები დამარცხებულად უნდა ჩაითვალოს და, შესაბამისად, პორტუგალიის საგზური უელსს გადაეცესო, - მოითხოვდნენ ბრიტანელები. ევროპული ფეხბურთის უმთავრეს ორგანიზაციაში ეს პროტესტი უარყვეს და კარდიფული მატჩის შედეგი ძალაში დარჩა. მოგვიანებით ბრიტანელებმა განმეორებით გაიბრძოლეს, მაგრამ ამ პროტესტსაც იგივე ბედი ეწია, რაც პირველს. მაშინ უელსის მხარემ გადაწყვიტა, ლოზანის საარბიტრაჟო სასამართლოში შეეტანა აპელაცია, რომლის შინაარსი ასეთია: უეფამ არ მოისმინა მოსარჩელე მხარის არც ერთი არგუმენტი, ამიტომ იძულებული გავხდით, საარბიტრაჟო სასამართლოსთვის მიგვემართა.

ლოზანის საარბიტრაჟო სასამართლო ამ საკითხს 12 მაისს განიხილავს და არსებობს შანსი, რომ რუსებმა პორტუგალიის საგზური დაკარგონ. ყოველ შემთხვევაში, შიშის საფუძველი რუს ჟურნალისტებს ნამდვილად აქვთ, რადგან გაზეთ „სპორტ ექსპრესისთვის" მიცემულ ინტერვიუში რუსეთის პროფესიული საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტმა ვიაჩესლავ კოლოსკოვმა განაცხადა: რაკი უელსის წარმომადგენლებმა ასეთი ნაბიჯი გადადგეს, ესე იგი, რაღაცის იმედი აქვთ.

ამრიგად, ვიაჩესლავ კოლოსკოვის ვარაუდი, რომ ამ საქმის განხილვა რუსეთის ნაკრების ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრებაზე არ იმოქმედებს, მცდარი აღმოჩნდა. ადვილი შესაძლებელია, ამბობენ რუსეთში, რომ ქვეყნის პირველი გუნდისთვის პორტუგალიის ევროპის ჩემპიონატი უკვე 12 მაისს დასრულდეს.

თუმცა, ჯერჯერობით, არც უელსელებს აქვთ საქმე საზეიმოდ. ლოზანის სპორტულმა საარბიტრაჟო სასამართლომ ბრიტანელთა თხოვნა რომ დააკმაყოფილოს კიდეც, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ უეფა ამ გადაწყვეტილებას შეასრულებს. მით უფრო, თუ დადგენილება სკანდალური ხასიათის იქნება. აქამდე ლოზანამ და უეფამ მხოლოდ ერთხელ ითანამშრომლეს - როცა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, ფრანგ ჯიბრაილ სისეს შეუმცირდეს დისკვალიფიკაციის ვადა. მაგრამ ერთია დისკვალიფიკაციის ვადის შემცირება და მეორე - ეროვნული ნაკრების დისკვალიფიკაცია. არ არის გამორიცხული, რომ უეფამ, უბრალოდ, იგნორირება გაუკეთოს ამ გადაწყვეტილებას. თუმცა, უეფას ჩინოვნიკები ოფიციალურ პოზიციას ჯერჯერობით არ ამჟღავნებენ.

შეგახსენებთ, რომ ლოზანის სპორტულმა საარბიტრაჟო სასამართლომ უკვე დაამტკიცა კანდიდატურები, რომლებიც განიხილავენ უელსის პროტესტს „ტიტოვის საქმესთან" დაკავშირებით. იმ 120 არბიტრიდან, რომლებიც სასამართლომ დაინტერესებულ მხარეებს წარუდგინა, უელსმა თავის წარმომადგენლად დიდი ბრიტანეთის უმაღლესი მოსამართლე პიტერ ლივერი აირჩია, უეფამ კი - იტალიელი ადვოკატი მასიმო კოკიუ. საარბიტრაჟო კომიტეტის პრეზიდენტის კანდიდატურა ორივე მხარემ შეათანხმა - ის ავსტრიელი პროფესორი მიხაელ გაისტლინგერი გახდა.

„როცა საქმე სასამართლოში განიხილება, ეჭვის საფუძველი ყოველთვის არსებობს, - გაზეთ „სპორტ ექსპრესისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა კოლოსკოვმა, - რაკი უელსის მხარემ ასეთი ნაბიჯი გადადგა, ესე იგი, მას რაღაცის იმედი აქვს. ამასთან, დარწმუნებული ვარ, ევროპის ჩემპიონატში რუსეთის ნაკრების მონაწილეობაზე ეს ისტორია არ აისახება. მე უკვე გარკვეული „დაზვერვა" ჩავატარე. ვესაუბრე ადამიანებს, რომლებიც სასამართლოში უეფას ინტერესებს დაიცავენ. უელსელთა ქმედება მათ გაოცებას იწვევს".

უელსის წარმომადგენლებმა საარბიტრაჟო სასამართლოს მას შემდეგ მიმართეს, რაც უეფამ იგნორირება გაუკეთა ბრიტანელთა მეორე სარჩელს. ამრიგად, სასამართლოში მოპასუხე მხარე იქნება არა რუსეთი, არამედ უეფა, რადგან გარჩევის საგანი ამ შემთხვევაში უეფას სააპელაციო კომიტეტის გადაწყვეტილებაა. ბრიტანელთა ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტი ის არის, რომ უეფამ უარი განაცხადა, მოესმინა ბრალმდებლის ყველა წარმომადგენლისთვის. კერძოდ, საუბარია კრისტინა აიოტზე, დოპინგის დიდ სპეციალისტზე, რომლის სახელსაც რამდენიმე საკმაოდ გახმაურებული და წარმატებული საქმე უკავშირდება.

## სად გადავა მატეა კეჟმანი - ესპანეთში თუ ინგლისში?

უკვე დიდი ხანია, სერბი მატეა კეჟმანის მიმართ ინტერესს იჩენენ ევროპული ფეხბურთის ისეთი გრანდები, როგორიცაა, მაგალითად, „ბარსელონა". თუმცა, ეს ფეხბურთელი დღემდე ჰოლანდიის „ეინდჰოვენში" თამაშობს. როგორც ჩანს, სახელოვან კლუბებს კეჟმანის მიმართ ინტერესი ცოტათი გაუნელდათ, სამაგიეროდ, სერბი თავდამსხმელის გადაბირებით ინგლისური „ფულემი" დაინტერესდა. კეჟმანის აგენტმა ეს ინფორმაცია დაადასტურა და იქვე ისიც აღნიშნა, რომ კეჟმანისთვის სულ ერთია, რომელ კლუბში გადავა. მთავარია, ეს კლუბი ინგლისური იყოს და პრემიერ-ლიგაში თამაშობდესო. ასე რომ, კეჟმანს არა აქვს „ბარსელონას" იმედი და ინგლისში გადასვლაზე დაიწყო ოცნება.

## „დინამოში" წესები იცვლება

www.pfl.ge

მიხეილ აბაიშვილი

დღეს ქართულ ფეხბურთში, მართლაც, განსაკუთრებული დღეა. არ არის გამორიცხული, დღესვე გაირკვეს ჩემპიონის ვინაობა. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ბოლნისის „სიონი" თბილისში, ეროვნულ სტადიონზე, „დინამოს" დამარცხებას შეძლებს. ასეთი ვარაუდის ავტორს, თუნდაც ორი თვის წინ უკბილო ხუმარად და ქართულ ფეხბურთში ჩაუხედავ დილეტანტად მონათლავდნენ. დღეს კი იმის თქმა, რომ „სიონს" სტუმრადაც კი შეუძლია „დინამოს" დამარცხება, არავისთვის აღარ იქნება მოულოდნელი. თუ ასე მოხდა, დარჩენილი სამი ტური რომ „სიონის" ჩემპიონობის მხოლოდ ოფიციალურად გასაფორმებლად იქნება საჭირო, ამაში ყველა დამეთანხმება. ბოლნისურ კლუბს კიდევ ერთი რთული გასვლითი მატჩი ელის ამბიციურ „თბილისთან". ამ შეხვედრაში მარცხის შემთხვევაშიც კი „სიონის" მიერ ლიდერობის დათმობის თეორიული ვარიანტიც არ არსებობს, რადგან დარჩენილი ორი თამაში დე ფაქტო ლიდერს საკუთარ მოედანზე, თანაც, აუტსაიდერებთან, „ლოკომოტივთან" და „დილასთან" რჩება გასამართი. დღესავით ნათელია, რომ მოტივაციადაკარგულ მეტოქეებთან „სიონი" იოლად აიღებს 6 ქულას, რაც მას ჩემპიონობას მოუტანს.



გეგუჩაძის „დინამო" ყაზარმულ მდგომარეობაზე გადადის.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ეს კარგად აქვს გაცნობიერებული „დინამოს" შტაბს და გუნდი დღევანდელი მატჩისთვის სრული მობილიზაციით ემზადება. როგორც კლუბის პრეს-ატაშემ, ლევან სალუქვაძემ გვითხრა, გუშინ „დინამომ" ვარჯიშები დახურა - დასწრების უფლება არავის მისცა. რაც შეეხება მატჩისწინა კომენტარს, აქაც სიახლეა. ექსმთავარი მწვრთნელი, ივო შუშაკი ყოველი თამაშის წინ დილმის ბაზაზე ეპატიჟებოდა ჟურნალისტებს და ნებისმიერ შეკითხვას პასუხობდა. საქმისადმი ასეთ ცივილურ მიდგომას „დინამოსთვის" არაფერი უვნია და ეს პროცესი ეროვნული ჩემპიონატის პოპულარიზაციას, გულშემატკივარში ინტერესის გაღვივებას საგრძნობლად უწყობდა ხელს. ახალი მთავარი მწვრთნელი, გია გეგუჩაძე წინასამატჩო პრესკონფერენციებს, როგორც ჩანს, დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს და მხოლოდ აბეზარი ჟურნალისტების ახირებად თვლის. ყოველ შემთხვევაში, „დინამოს" პრესსამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ პრესკონფერენციებს თამაშის წინ ამ გუნდის მთავარი მწვრთნელი აღარ გამართავს, ასეთი მოსაზრების გამოთქმის საფუძველს მაძლევს. პრესკონფერენციის ნაცვლად, გეგუჩაძე ყოველი თამაშის წინ საკუთარ პრესსამსახურს მიაწვდის ინფორმაციას, რასაც შემდეგ მედიას გადაულოცავენ.

„გუნდი სრული სერიოზულობით ემზადება ხვალინდელი მატჩისთვის. თითქმის ყველა ფეხბურთელი მწყობრშია. ტრავმის გამო „დინამოს" მხოლოდ ქოქიაშვილი გამოაკლდება", - ასეთი გახლავთ გეგუჩაძის კომენტარი. მხოლოდ იმას დავამატებ, რომ ქოქიაშვილი კი არ გამოაკლდება „დინამოს", არამედ ვერ მიემატება, რადგან ის შუშაკის ეპოქაში „დინამოს" სამატჩო განაცხადში საერთოდ ვერ ხვდებოდა. დღეს ვერც საგაზაფხულო ფორმაციის „დინამოს" ძირითადი შემადგენლობის სამ ფეხბურთელს - გოგობერიშვილს, წერეთელს და ბობოხიძეს ვიხილავთ. ასე რომ, „სიონის" წინააღმდეგ სათამაშოდ გამოვა სრულიად ახალი, ყველასთვის უცნობი და ამოუცნობი გუნდი, რომლის შესაძლებლობებზე წინასწარ საუბარი ყოველგვარ აზრს მოკლებულია. ეს ერთიორად ზრდის მატჩისადმი ინტერესს.

## დელ ბოსკე: „იმედია, ოდესმე დავბრუნდები"

*მადრიდის „რეალის" უკანასკნელი პერიოდის წარუმატებლობები გუნდის მწვრთნელის შეცვლის შესახებ საუბრის მიზეზი გახდა. ახლა უკვე ყველა დარწმუნებულია, რომ სამეფო კლუბი კარლოს კეიროშის გათავისუფლებას და მის ადგილას სხვა სპეციალისტის მოყვანას აპირებს. ბიანკი, მანჩინი, კამაჩო, მაურინიო - ამ გვარებმა უკვე არაერთხელ გაიჟღერეს პრესის ფურცლებზე. რა გასაკვირია, რომ პრესა ვისენტე დელ ბოსკეს ამბითაც დაინტერესდა. მწვრთნელი, რომელმაც „რეალთან" ერთად უდიდეს წარმატებებს მიაღწია და რომელიც ასე უსამართლოდ გაუშვეს გუნდიდან. ის ჯერაც უმუშევარია და „რეალში" დაბრუნებაზე ოცნებობს. ფლორენტინო პერესს დელ ბოსკესთან ჯერ არ დაურეკავს, თუმცა, ვინ იცის, იქნებ დარეკოს კიდეც...*



ვისენტე დელ ბოსკე: „დამაბრუნეთ „რეალში".

**- მადრიდის „რეალში" თქვენი დაბრუნება გამორიცხულია?**

- არა, გამორიცხული არ არის. ამის წარმოდგენა ახლა ნამდვილად მიჭირს, თუმცა, გამორიცხული ნამდვილად არ არის. კლუბის კარი ჩემთვის არავის დაუკეტავს. როდესაც იქიდან მოვდიოდი, მათი ახსნა-განმარტებებიდან ვერაფერი გავიგე, მაგრამ ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. ყველაფრის მიუხედავად, მე ცუდი არაფერი მითქვამს არც პრეზიდენტზე და არც სხვა ხელმძღვანელებზე. შესაძლოა, ირონიულად რაღაც ვთქვი, რაც ვიღაცამ არასწორად გაიგო, მაგრამ აგრესია არავის მიმართ არ გამომიხატავს. პრობლემა არავისთან მქონია, პირიქით, პრობლემები მათ ჰქონდათ ჩემთან, რადგან დამშვიდობებისას მათ უპატივცემულობა გამოავლინეს ჩემ მიმართ. ეს იყო და ეს. ისინი სრულიად აბსურდულ განცხადებებს აკეთებდნენ. ეს არის ერთადერთი, რამაც გული დამწყვიტა. მე არავის წინააღმდეგ არ ვილაშქრებ. როგორც უკვე გითხარით, იყო ერთი უსიამოვნო მომენტი, როდესაც დამშვიდობებისას ისინი უსამართლოდ მოიქცნენ. ეს დამამახსოვრდა და, ალბათ, ველარ შევძლებ იმ უცნაური ახსნა-განმარტების დავიწყებას, რომელიც მათ მომცეს.

**- „რეალში" დაბრუნების თაობაზე არავინ დაგკავშირებიათ?**

- არა.

**- ფლორენტინო პერესს არ დაურეკავს?**

- არა. სიმართლე გითხრათ, არც მინდა ამ თემაზე საუბარი. მადრიდის „რეალი" ახლა ჩემპიონობისთვის ბრძოლაშია ჩაფლული და ჩემი ამბები ამ საქმეზე მნიშვნელოვანი ნამდვილად არ არის.

**- მართალია, რომ კლუბი ადმინისტრაციულ სამსახურს გთავაზობდათ?**

- ამბობენ, რომ მე რაღაც პოსტს მთავაზობდნენ, მაგრამ ამის ალბათობა მე არც კი დამიშვია. ყოველთვის კარგად ვიცოდი, რომ თუ მე არ ვიქნებოდი მწვრთნელი, მაშინ კლუბშიც აღარ დავრჩებოდი. ასეთი ვარიანტი არც კლუბისთვის იქნებოდა ხელსაყრელი და არც ჩემთვის.

**- ახლა, როდესაც უკვე საკმაო ხანი გავიდა, დათანხმდებოდით თუ არა რომელიმე კაბინეტში მუშაობაზე?**

- არ ვიცი. იმედი მაქვს, რომ ოდესმე მადრიდის „რეალში" დავბრუნდები. მაგრამ არც იმის წინააღმდეგი ვარ, რომ რომელიმე სხვა კლუბის მწვრთნელი გავხდე. დარწმუნებული ვარ, თუ რაიმე ახალ ავანტიურას მოვკიდებ ხელს, ეს ძალიან დამეხმარება ცხოვრებაში.

**- როგორ ფიქრობთ, ფლორენტინო პერესი დარჩება თავის პოსტზე?**

- დიახ. ყველაფრის მიუხედავად, უნდა ვაღიაროთ, რომ პერესი კარგად უძღვება კლუბს. ის შესანიშნავად მუშაობს, ისევე როგორც მადრიდის „რეალის" ყველა პრეზიდენტი, სანტიაგო ბერნაბეუს ეპოქიდან მოყოლებული. ფლორენტინომ ბევრს მიაღწია, მაგალითად, მოაგვარა კლუბის ვალების პრობლემა, რომ აღარაფერი ვთქვათ უამრავ ტიტულზე, რომლებიც „რეალმა" მოიპოვა.

**- გჯერათ თუ არა, რომ „რეალს" ესპანეთის ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შანსი აქვს?**

- „ვალენსიას" მცირე უპირატესობა აქვს და ის ჩემპიონატს ლიდერობს, თუმცა, ეს უპირატესობა მხოლოდ ერთ ქულაში აისახება. ვფიქრობ, „რეალს" უკეთესი კალენდარი აქვს და თუ გუნდი დარჩენილ ოთხ მატჩს მოიგებს, მაშინ ის ჩემპიონიც გახდება.

**- და თუ „რეალი" ვერ გახდება ჩემპიონი, ეს ჩავარდნა იქნება?**

- პროფესიონალურ სამყაროში ძალიან ძნელია ჩავარდნებზე საუბარი. ესპანეთის თასის ფინალში დამარცხებამდე „რეალი" ნამდვილი მტაცებელივით იბრძოდა ყველა ტიტულისთვის. უბრალოდ, გუნდს არ გაუმართლა. ასეთია ფეხბურთი. შემდეგ ამ გუნდს პატარა ჩავარდნა დაეწყო, რაც ჩემპიონთა ლიგის გათამაშებიდან გამოვარდნას დაემთხვა. მაგრამ ვერავინ უარყოფს, რომ ამ ფეხბურთელებმა ბოლომდე იბრძოლეს. ისევე, როგორც სპორტის ნებისმიერ სახეობაში, ჩავარდნაზე საუბარი ფეხბურთშიც უსამართლოა.

**- ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ გუნდმა თავისი ხიბლი დაკარგა. როგორ ფიქრობთ, რა მოხდა?**

- არ ვიცი. მე არ შემიძლია ამის მიზეზებზე საუბარი, რადგან გუნდს ისევე ვადევნებ თვალყურს, როგორც თქვენ - გარედან. შესაძლოა, გუნდს არ უმართლებდეს. მიმაჩნია, რომ მოთამაშეები ბოლომდე იბრძოდნენ და სრულად იზიარებდნენ მათზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას.

**- თქვენი აზრით, კარლოს კეიროში კარგად ხელმძღვანელობს გუნდს?**

- ამ თემაზე სიტყვასაც არ დავძრავ. მე ვიცი, რას ნიშნავს იყო ამ კლუბის მწვრთნელი. ყველას ჰგონია, რომ ეს ძალიან იოლია, მაგრამ ცდებიან. პრაქტიკულად შეუძლებელია, მრავალი წლის განმავლობაში იყო „რეალის" მწვრთნელი.

**- რა აზრის ხართ უკანასკნელ დღეებში გავრცელებული ინფორმაციის შესახებ, რომ „რეალი" ახალ მწვრთნელს ეძებს?**

- არავითარი აზრი არა მაქვს. ერთ დღეს არ მოსწონთ უცნობი მწვრთნელი, შემდეგ არ მოსწონთ სახელგანთქმული მწვრთნელი, მერე არ აკმაყოფილებთ მკაცრი მწვრთნელი, შემდეგ - რბილი... ძალიან ძნელია მადრიდის „რეალისთვის" სრულყოფილი მწვრთნელის პოვნა. ნებისმიერ მწვრთნელს უამრავი ნაკლი აქვს.

**- როგორი უნდა იყოს „რეალის" მწვრთნელი?**

- არ ვიცი. უნდა იყოს ადამიანი, რომელიც თავისი მეთოდით გამარჯვებების მოპოვებას შეძლებს. ეს კი ძალიან ძნელია. რაიმე განსაზღვრული ფორმულა არ არსებობს.

## ინფოთეკა

**ფეხბურთი.** რივალდოსა და ინგლისურ „ბოლტონს“ შორის მოლაპარაკებების შესახებ ინფორმაციები ყოველდღიურად ვრცელდება პრესაში. გუშინ გაუწყეთ, რომ მხარეებმა უკვე მიაღწიეს შეთანხმებას და რივალდო უახლოეს დღეებში გააფორმებს კონტრაქტს „ბოლტონთან“. თუმცა, საქმე არცთუ ისე კარგად ყოფილა. მართალია, „ბოლტონი“ და რივალდო შეთანხმდნენ, მაგრამ ბრაზილიელი ფეხბურთელი კონტრაქტის გაფორმებას მაინც არ ჩქარობს. „ბოლტონის“ შეფი სემ ელარდაისი ამ ფაქტით აღშფოთებულია და აცხადებს, რომ რივალდოს პასუხს დიდხანს არ დაელოდება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** დიეგო მარადონა საავადმყოფოდან გაწერეს. ექიმებმა ჩათვალეს, რომ მის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება და მას სახლშიც შეუძლია მკურნალობის გაგრძელება. მარადონა ფარულად გაიყვანეს საავადმყოფოდან და იქ შეკრებილ ჟურნალისტებს მისი ნახვის საშუალება არ მიეცათ. წარსულში სახელგანთქმული ფეხბურთელი ახლა შინ იმკურნალებს საკუთარი ექიმის მეთვალყურეობით.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს „მანჩესტერ იუნაიტედმა“ კლუბის ჰოლანდიელი თავდამსხმელის, რუუდ ვან ნისტელროოის გაყიდვა გადაწყვიტა. ეს ჭორი „მანჩესტერმა“ უკვე უარყო. ინგლისური კლუბის პრესსამსახური იუწყება, რომ ნისტელროოიმ სამი თვის წინათ მოაწერა ხელი ახალ კონტრაქტს და არსადაც არ მიდის. „ნისტელროოი „მანჩესტერში“ ბედნიერია და კლუბი მის გაყიდვას საერთოდ არ აპირებს“, - ნათქვამია ოფიციალურ განცხადებაში. მსგავსი კომენტარი გააკეთა თავად ფეხბურთელმაც.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** გერმანიის ნაკრებისა და იტალიური „მილანის“ ყოფილი თავდამსხმელი, ოლივერ ბირჰოფი დოცენტი გახდა. მან დისერტაცია დაიცვა ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტში თემაზე „სპორტის როლი თანამედროვე საზოგადოებაში“. თავის მოხსენებაში ბირჰოფმა პარალელები გაავლო სპორტს, მეცნიერებასა და საზოგადოებას შორის. ბირჰოფს დოცენტის წოდება მიენიჭა და ის სამეცნიერო საქმიანობის გაგრძელებას აპირებს. ყოფილი ფეხბურთელი არ გამორიცხავს, რომ პედაგოგიურ მოღვაწეობასაც მიჰყოს ხელი.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის სააპელაციო კომიტეტმა დააკმაყოფილა მადრიდის „რეალის“ საჩივარი და პორტუგალიელ ლუიშ ფიგუს დისკვალიფიკაცია გაუუქმა. შეგახსენებთ, რომ „რეალ“-“ბარსელონას“ მატჩში ფიგუმ კარლეს პუიოლის წინააღმდეგ უხეშობისთვის მეორე ყვითელი ბარათი მიიღო, რის შემდეგაც მოედნიდან გააძევეს. სწორედ ეს ყვითელი ბარათი გააუქმა სააპელაციო კომიტეტმა. ასე რომ, „დეპორტივოს“ წინააღმდეგ მატჩში ფიგუ მოედანზე გამოვა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მიუნხენის „ბაიერნში“ ოტმარ ჰიტცფელდის ხანა ნელ-ნელა დასასრულს უახლოვდება. ახლა უკვე აღარავინ მალავს, რომ მწვრთნელის კონტრაქტს, რომელიც მომავალი წლის ივნისში იწურება, მიუნხენელები აღარ გააგრძელებენ. ამის შესახებ თავად ჰიტცფელდმაც განაცხადა. მან თქვა, რომ მომავალი სეზონის დასრულების შემდეგ ახალი სამსახურის ძებნა მოუწევს. ცნობილია ჰიტცფელდის მემკვიდრის ვინაობაც - მიუნხენელებმა „შტუტგარტის“ ახლანდელ მწვრთნელთან, ფელიქს მაგატთან მიაღწიეს შეთანხმებას. შეგახსენებთ, რომ ოტმარ ჰიტცფელდი 1998 წლიდან მოღვაწეობს „ბაიერნში“.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** გლაზგოს „სელტიკის“ თავდამსხმელი ჰენრიკ ლარსონი შვედეთის ნაკრებში დაბრუნებას გეგმავს. ამის შესახებ მან უკვე აცნობა შვედეთის ნაკრების მწვრთნელებს ლარს ლაგერბაკს და ტომი სედერბერგს. ლარსონი უკვე კარგა ხანია, თავისი ქვეყნის პირველ გუნდში თამაშს უარობდა, ახლა კი ევროპის ჩემპიონატზე თამაში მოუნდა და ნაკრებსაც ამიტომ უბრუნდება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** თითქმის უკვე გადაწყვეტილი ამბავია, რომ მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე ტურინის “იუვენტუსის” მწვრთნელის პოსტიდან გადადგება მარჩელო ლიპი. ეს სეზონი წარუმატებელი აღმოჩნდა სახელოვანი სპეციალისტისთვის. მან ვერც ერთი ტიტული ვერ მოიგო. აღსანიშნავია, რომ ლიპის გვარი მადრიდის „რეალის“ შესაძლო მწვრთნელებს შორის ფიგურირებს.

რაგბი

# შერკინება და ძმობა

პაატა თოთაძე


„ჭიქებს“ რაგბის კავშირში შეხვედრა მოუწყვეს.

ასეთი იყო 15 წლამდე მორაგბეთა საკლუბო მსოფლიო ჩემპიონატის დევიზი, რომელიც ერთი კვირის წინათ დასრულდა საფრანგეთში. ტურნირში ერთი ქართული გუნდიც მონაწილეობდა – “ჯიქი” და 33 გუნდს შორის მეექვსე ადგილზე გავიდა. ტურნირის მიმდინარეობას “24 საათი” მუდმივად აშუქებდა, გუშინ კი საქართველოს რაგბის კავშირის ოფისში კლუბის ხელმძღვანელობამ პრესკონფერენცია გამართა.

სხვათა შორის, ეს პირველი პრესკონფერენცია იყო მას შემდეგ, რაც კავშირის სათავეში ახალი ხელმძღვანელობა მოვიდა. პრესკონფერენცია გახსნა კავშირის პრეზიდენტმა მერაბ ანთაძემ, რომელმაც ჭაბუკ მორაგბეებს წარმატება მიულოცა და უფრო დიდი წარმატებები უსურვა. ხუთი წუთის შემდეგ კი სახალხოდ პირველი საჩუქარიც მიიღო - ალან მაიომ თავისი კლუბის, “სკუფის” ჰალსტუხი გადასცა. ამის შემდეგ მერაბ ანთაძე დამსწრეებს დაემშვიდობა - როგორც მან განაცხადა, რაგბის კავშირის, სავარაუდოდ, მომავალ სპონსორთან შეხვედრაზე მიეჩქარებოდა. მისი ვინაობის გამხელას კი ახლო მომავალში შეგვპირდა. ამის მერე საუბარი კლუბის მწვრთნელებმა, დათო გოცაძემ და კახა ალანიამ გააგრძელეს.

- ეს ბიჭები დღესდღეობით თითქმის საუკეთესონი არიან თავიანთ ასაკში. თითქმისო, იმიტომ ვამბობ, რომ თბილისის ნაკრების შეკრება არ მოხერხდა. ამასთან, გამოუყენებელი დარჩა დასავლეთ საქართველოს პოტენციალი. ჩვენ, მართლაც, საუკეთესო შემადგენლობით რომ წავსულიყავით, ტურნირს მოვიგებდით...

- ეს იყო ამ ბიჭების პირველი საერთაშორისო მატჩები და, ბუნებრივია, გამოუცდელობამ თავისი ქნა. მანამდე ერთ-ორ ტურნირზე რომ მოგვესწრო თამაში, გაცილებით უკეთეს შედეგს მივაღწევდით...

- მთავარია, რომ მსოფლიომ გაგვიცნო. ჩვენ იმდენად კარგი შთაბეჭდილება მოვახდინეთ მოწინააღმდეგეებზე, რომ მათგან რამდენიმე წინადადებაც მივიღეთ თამაშის თაობაზე. რეალური წინადადებებია სამხრეთაფრიკელებისა და ფრანგებისგან. ასევე ჩვენი ხილვა სურთ ლატვიაში, სადაც საერთაშორისო ტურნირი უნდა მოეწყოს. ყველაფერი ფინანსებზეა დამოკიდებული. თუ საკმარისი რაოდენობის თანხა ვიშოვეთ, აფრიკელებსაც ვეთამაშებით და ფრანგებსაც, თუ არადა, შესაძლოა, მხოლოდ ლატვიის ტურნირს დავჯერდეთ...

- შესაძლოა, ხმამაღალი ნათქვამი გამომივიდეს, მაგრამ აქცენტი ხელით თამაშზე გავაკეთეთ და, რაც მთავარია, ამის რეალიზება მოვახდინეთ. დახურულიდან ღია თამაშზე ადვილად გადავდიოდით...

- საერთო ჯამში, ტურნირით უაღრესად კმაყოფილები ვართ. საერთაშორისო ტურნირებზე ხშირად რომ ვიღებდეთ მონაწილეობას, მომავალში გაცილებით უკეთეს შედეგს მივიღებთ. წარმოიდგინეთ, არგენტინის გუნდი, რომელიც ჩვენ დავამარცხეთ, ამ ტურნირიდან ერთ კვირაში ლონდონში მიდიოდა სათამაშოდ, შემდეგ კი - იტალიაში...

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ერთი უსიამოვნო ამბავი საფრანგეთში მაინც მოხდა. საქმე ეხება წაგებული მატჩის შემდეგ ქართველების მიერ ატეხილ ჩხუბს. “მე ვნახე, როგორ შეიცვალა ხალხის დამოკიდებულება ძალიან მოკლე ხანში. იმ მომენტში საშინლად ცუდად ვიგრძენი თავი. ალბათ, ჩემი ბრალია, მოთამაშეების შეგნებამდე რომ ვერ დავიყვანე: რაგბი მხოლოდ თამაში არ არის”, - “24 საათთან” საუბარში აღნიშნა კლუბის მენეჯერმა ბესო გოცაძემ. ამის შემდეგ ის ფრანგულ პრესას ადევნებდა თვალყურს, აინტერესებდა, რა გამოძახილს პოვებდა ქართველთა გამოსვლა ტურნირზე.

“საერთო ჯამში, ახალგაზრდებმა სწორად გაიგეს ტურნირის არსი, თუმცა, ყველაფერმა იდეალურად ვერ ჩაიარა. იყო ერთ-ორი გადახვევა და უწესო საქციელი მოედნის გარეთ იმ გუნდების მხრიდან, რომლებმაც სწორად ვერ აღიქვეს ტურნირის სული. ჩემპიონატზე მასჯებმა ორი წითელი ბარათი უჩვენეს და ორივე - ქართველებს. ალბათ, იმიტომ, რომ მათ არა აქვთ საერთაშორისო მატჩების გამოცდილება. მათ თავიანთი მაისურის ღირსების დაცვა მოედნის გარეთ გააგრძელეს”, - ნათქვამია ტურნირის პრეზიდენტის, დანიელ გალის მიერ “L’Yonne Republica”-სთვის მიცემულ ინტერვიუში.

საწყენია, თუმცა, იმედია, მომავალში მწვრთნელები უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევენ ბავშვთა აღზრდას, მათთვის იმ ფასეულობების ჩანერგვას, რითაც სპორტის ეს სახეობა ფასობს. ამის იმედი დაიტოვა დანიელ გალიმაც, რომელმაც გუშინ ქართულ მხარეს მადლობის წერილი გამოუგზავნა.

ათენი 2004

# ოლიმპიადა დაზღვეულია

### ამერიკას ოლიმპიური თამაშები აშინებს

*აშკარად არ უმართლებთ ბერძნებს. ფაქტობრივად, საუკუნოვანი ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლება მოიპოვეს და, იმ დღიდან მოყოლებული, რაც მათივე სამშობლოში აღმოცენებული თამაშების მასპინძლობისთვის მზადებას შეუდგნენ, არაერთ სკანდალში გაებნენ. გამორიცხული არ არის, ათენის ოლიმპიურ თამაშებს რამდენიმე სახელიანი ამერიკელი სპორტსმენი დააკლდეს. ბოიკოტის მიზეზი? შესაძლო ტერორისტული აქტები. არც ისაა გამორიცხული, რომ ამერიკელებს მიმბაძველებიც გამოუჩნდნენ. ანუ, იზრდება დომინოს ეფექტის ალბათობაც.*

ბიბა ბურასაშვილი

ათენი – ბოლო ორი წელიწადია, რაც XXVIII ოლიმპიური თამაშების მასპინძელი განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა, ანუ მას შემდეგ, რაც მზადების გრაფიკში აშკარა გარღვევები აღმოაჩინეს. თუმცა, მის აღმოსაჩენად ტროას არქეოლოგიური გათხრები არ გამხდარა საჭირო. ყველაფერი ისედაც ნათლად ჩანდა - ზედაპირზე. ჩანდა იმ სპორტულ ობიექტთა თუ ნაგებობათა იერსახე, რომლებსაც დამთავრებამდე საკმაოდ ბევრი აკლდა.

ის იყო, ამ მხრივ ვითარება უკეთესობისკენ შემობრუნდა, რომ ბერძნებს ქვა აღმართში წამოეწიათ. ამ შემთხვევაში ათენელები არაფერ შუაში არ არიან. თუმცა, შესაძლოა, XXVIII ოლიმპიურ თამაშებს რამდენიმე ათეულმა სპორტსმენმა ბოიკოტი გამოუცხადოს, მაგრამ ეს კიდევ არაფერია იმასთან შედარებით, რაზეც საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში უკვე ფიქრობენ.

პირველად ოლიმპიური თამაშების ისტორიაში სოკ-მა უმთავრესი ღონისძიების გაუქმების შემთხვევაში თავი დაიზღვია.

ოლიმპიური მოძრაობის მთავარსარდლის ჟაკ როგის განცხადებით, 170-მილიონიანი სადაზღვევო პოლისი სრულად ან ნაწილობრივ უზრუნველყოფს თამაშების ორგანიზებისთვის გაწეული ხარჯების ანაზღაურებას, თუ ტერორიზმი ან სტიქიური უბედურება თამაშების ჩაშლას გამოიწვევს.

ოლიმპიური თამაშებისთვის უცხო არ არის ტერორისტთა შემოტევა. ამ მხრივ ყველაზე თვალსაჩინოა მიუნხენის ოლიმპიური თამაშები, როდესაც პალესტინელმა ტერორისტებმა ოლიმპიურ სოფელში მძევლად აიყვანეს ისრაელის ნაკრების რამდენიმე წევრი, რასაც მოგვიანებით მსხვერპლიც მოჰყვა. მას შემდეგ ტერორისტთა მხრიდან შესაძლო საფრთხის თავიდან აცილება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისა და მასპინძელი ქვეყნისთვის უმთავრესი თავსატკივარია. ოლიმპიზმის მამებს არ ავიწყდებათ არც 11 სექტემბრის ტერაქტი, რომელმაც ასევე თავისი დაღი დაატყო მსოფლიოს. სწორედ ამის გამოა, რომ ათენის ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოებისთვის ბიუჯეტმა რეკორდულ მასშტაბებს მიაღწია – მილიარდ დოლარზე მეტი!

ალბათ, ამის გამო იყო, რომ ამერიკული სპორტის ერთ-ერთმა გამოჩენილმა ვეტერანმა ცურვაში, ცხრაგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა მარკ სპიცმა ივარაუდა: ამერიკამ, ყველაფრის გათვალისწინებით, შესაძლოა, ათენში გამგზავრებისგან თავი შეიკავოსო.

“ჯერ კიდევ ნახევარი წლის წინათ ამას ვერც ვიფიქრებდი, მაგრამ ყოველდღიურად სულ უფრო აშკარა ხდება – ღირს კი, ჩვენი სპორტსმენები საფრთხის წინაშე დავაყენოთ?” - აცხადებს 1972 წლის ოლიმპიური თამაშების ტრიუმფატორი მარკ სპიცი, რომელმაც მიუნხენში ერთბაშად შვიდი ოქროს მედალი მოიპოვა.

მიუხედავად ამისა, ლეგენდარული მოცურავე მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილება ამერიკელი სპორტსმენების თამაშებიდან გამოწვევის შესახებ, შესაძლოა, ბოლო წუთს მიიღონ, რამაც, ასევე შესაძლებელია, დომინოს ეფექტი მოგვცეს. ერთი სიტყვით, გამორიცხული არაა, ამერიკელების მსგავსად, საკუთარი ოლიმპიელები სხვა ქვეყნებმაც გამოიწვიონო.

“წვრილმანებამდე განვიხილავთ სხვადასხვაგვარ ტერორისტულ თავდასხმებს და ვიცით, რომ ათენში ამგვარი თავდასხმების ალბათობა საკმაოდ დიდია. არა მგონია, პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციამ საფრთხის წინაშე დააყენოს საკუთარი სპორტსმენების სიცოცხლე”.

ეს საკითხი უკვე იმდენად აქტუალურია, რომ აშშ-ის ოლიმპიური კომიტეტი იძულებული გახდა, კატეგორიულად უარეყო გავრცელებული ხმები, თითქოს ამერიკის ნაკრებს განზრახული ჰქონდა, უარი ეთქვა ათენის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაზე.

და მაინც, მოქმედ ამერიკელ სპორტსმენებში გარკვეული შიში შეინიშნება. ჩოგბურთელ სერენა უილიამსის განცხადებით, თუ იგი საფრთხეს იგრძნობს, ათენში არ გაემგზავრება – საკუთარი სიცოცხლე მეტად ფასობსო.

ათენში გამგზავრება-არგამგზავრებაზე მარჩიელობენ ამერიკელი კალათბურთელებიც.

ბუნებრივია, აშშ-ის მთავრობა საბერძნეთისა და XXVIII ოლიმპიადის დედაქალაქში, ოლიმპიელთა გარდა, კიდევ ერთ დესანტს გადასვამს. ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს - თუ ვის. ათენში ელიან სპეცსამსახურების თანამშრომლებს - ფედერალური საგამოძიებო ბიუროსა და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის უსაფრთხოების უწყების თანამშრომლებსაც, რომლებიც თანამემამულეთა უსაფრთხოებაზე იქნებიან პასუხისმგებელნი.

ჭადრაკი

# პონომარიოვი კასპაროვს არ შეხვდება



პონომარიოვი კასპაროვს არ შეხვდება.

გარი კასპაროვი მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის მატჩში უკრაინელ რუსლან პონომარიოვს არ შეხვდება. ეს მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც უკრაინელმა დიდოსტატმა საბოლოოდ უარი თქვა, მონაწილეობა მიეღო ფიდეს მსოფლიო ჩემპიონატში.

ეს ტურნირი 18 ივნისიდან 13 ივლისამდე ლიბიის დედაქალაქ ტრიპოლიში გაიმართება. პირველადი ვარაუდით, ჩემპიონატში 128 მოჭადრაკე უნდა ჩართულიყო. 27 აპრილს ამოიწურა კონტრაქტების ხელმოწერის ვადა, რომლითაც მოჭადრაკე ტურნირში თავის მონაწილეობას დააფიქსირებდა. თუმცა, ვადა ამოიწურა და ორგანიზატორებს მხოლოდ 114 მოჭადრაკე შერჩათ.

როგორც მოსალოდნელი იყო, ლიბიაში ბევრი ფავორიტი არ გაემგზავრება. მათ შორისაა ის შვიდი დიდოსტატი, რომელიც ფიდეს რეიტინგის ტოპ-10 წარმოადგენს. ესენი არიან: გარი კასპაროვი (1), ვიშვანათან ანანდი (2), ვლადიმირ კრამნიკი (3), პეტერ ლეკო (4), პეტრ სვიდლერი (6), იუდით პოლგარი (9) და რუსლან პონომარიოვი (10).

ყველაზე ხმაურიანი რუსლან პონომარიოვის უარი გახდა. მისთვის ტრიპოლის ტურნირი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო. ამ შეჯიბრებაზე პონომარიოვს მსოფლიო ჩემპიონის რეპუტაცია უნდა დაეცვა და მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში გარი კასპაროვთან შეხვედრის უფლება მოეპოვებინა. პარალელურად უნდა გამართულიყო მატჩი კლასიკურ ჭადრაკში ვლადიმირ კრამნიკსა და უნგრელ დიდოსტატ პეტერ ლეკოს შორის. ამ ორ წყვილს შორის გამარჯვებულები კი ბოლოს მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულს გაითამაშებდნენ. ასეთი იყო ფიდეს პრეზიდენტის კირსან ილიუმჟინოვის გეგმა.

თუ საკითხს ამ თვალსაზრისით მივუდგებით, ტრიპოლიში კასპაროვის, კრამნიკისა და ლეკოს არყოფნა გასაგებია. მათ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის მატჩები გარანტირებული აქვთ, იმის მიუხედავად, თუ როგორი შედეგით დასრულდება ტრიპოლის ჩემპიონატი. პონომარიოვს ასეთი გარანტია არ ჰქონდა. ისიც სათქმელია, რომ კირსან ილიუმჟინოვის საყვარელი ნოკაუტ-სისტემის მსოფლიო ჩემპიონატში პონომარიოვს გამარჯვება გარანტირებული სულაც არ ჰქონდა.

კასპაროვ-პონომარიოვსა და ლეკო-კრამნიკს შორის მატჩები 2003 წლის მაისში დაიგეგმა და სახელად „პრაღის შეთანხმება“ ეწოდა. თუმცა, უკრაინელმა დიდოსტატმა (ფიდეს ყოველმხრივი მცდელობის მიუხედავად, კონტრაქტი გაეფორმებინა პონომარიოვთან) უარი განაცხადა კასპაროვთან შეხვედრაზე. მაშინ ფიდეს პრეზიდენტმა გადაწყვიტა, რომ სჯობს, მატჩი საერთოდ გადაიდოს ან გაუქმდეს, მაგრამ პონომარიოვის მიმართ არავითარი დისციპლინარული სანქციები არ გამოიყენეს. ამის ნაცვლად, ილიუმჟინოვის გეგმით, პონომარიოვს საშუალება მიეცა, ტრიპოლის ტურნირში დაეცვა ჩემპიონის ტიტული და შემდეგ კასპაროვთან გაემართა მატჩი. ეს წინადადება პონომარიოვისთვის შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა. მან განაცხადა, რომ მსოფლიო ჩემპიონია და კასპაროვმა თვითონ უნდა მოიპოვოს მასთან შეხვედრის უფლება, ანუ კირსან ილიუმჟინოვის გადაწყვეტილება უსამართლოდ ცნო.

2004 წლის აპრილში, საკონტრაქტო ვადის ამოწურვამდე რამდენიმე დღით ადრე, რუსლან პონომარიოვმა ახალი დემარშით გამოიჩინა თავი. მან განაცხადა, რომ კირსან ილიუმჟინოვს გარი კასპაროვის სახით პირადი ფავორიტი ჰყავს და მას ყოველმხრივ ხელს უწყობს მიზნის მიღწევაში. უკრაინელი დიდოსტატის თქმით, კასპაროვს უსამართლოდ აქვს მითვისებული პირველობა რეიტინგში. არადა, მას შესანიშნავი შანსი ჰქონდა, გარი კასპაროვისთვის თვითონვე ჩამოერთმია ეს პირველობა, მაგრამ მან რატომღაც ეს არ გააკეთა. ამდენად, დადასტურდა პროგნოზი იმის შესახებ, რომ რუსლან პონომარიოვის ეპოქას მსოფლიო ჩემპიონის რანგში დიდი დღე არ უწერია.

აღსანიშნავია, რომ ფიდეს სავალალო შეცდომაა ის, რაც ტრიპოლის ტურნირის ირგვლივ ხდება. პონომარიოვი იმთავითვე აცხადებდა, რომ ჩემპიონატის პირობები უსამართლოა. კერძოდ, ის მიუთითებდა საპრიზო ფონდზე, რომელიც, მისი ვარაუდით, უნდა გაზრდილიყო. პროფესიონალ მოჭადრაკეთა ასოციაცია პონომარიოვის ინიციატივას დაეთანხმა და პრეტენზიების სიაც კი გააფართოვა. ასოციაციის თქმით, კონტრაქტები, რომლებიც მოჭადრაკეებს შესთავაზეს, სრულყოფისგან ძალიან შორს იყო. ამას გარდა, ცუდად შეირჩა ტურნირის გამართვის ადგილიც. ტრიპოლიში გამგზავრებასთან დაკავშირებით პრობლემები შეიძლება შეექმნათ ამერიკელ და ებრაელ მოჭადრაკეებს, რადგან ამ ქვეყნებს შორის პოლიტიკური ურთიერთობა საკმაოდ დაძაბულია.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ანანდისა და პოლგარის უარით ტურნირი ვერაფერს მოიგებს. საერთოდ, ლიბიის ტურნირში არ ითამაშებს ფიდეს არც ერთი მსოფლიო ჩემპიონი და ლაპარაკი ჭადრაკის სამყაროს გამაერთიანებელ მატჩზე კიდევ გაგრძელდება. საინტერესო მხოლოდ ის არის, თუ როდის გადალახავს ეს საუბრები კრიტიკულ ზღვარს.



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

# გულახდილად

წინა შაბათის გაზეთ 24 საათში გამოქვეყნებულ ჩემს წერილს პოლიციაში ფასდაკლება არ არის, რომელიც ნარკობიზნესის, მის წინააღმდეგ ბრძოლის და პოლიციის მეთოდიკის უცვლელობას ეხებოდა, ისეთი გამოხმაურება მოჰყვა, რომ გაკვირვებული დავრჩი. ეტყობა, პოლიციელების ერთმა ნაწილმა მინისტრის გულწრფელობა, ენთუზიაზმი გაიზიარა და არსებული სავალალო მდგომარეობის შეცვლა მართლაც მოინდომა. სწორედ ამიტომ, ჩემი დაუნახაობა საკმაოდ მტკივნეულად საკუთარი შრომის, ჟინის არდაფასებად მიიღო. ამ კვირაში მე ქალაქის შს მთავარი სამმართველოს ნარკომანიასა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს უფროსს ნ. ღამბაშიძეს შევხვდი და ერთსაათიანი, ჩემთვის ძალიან საინტერესო, ინფორმაციული საუბრის შემდეგ, ნუ გაგიკვირდებათ, მაგრამ მომავლის იმედი ცოტათი გამიჩნდა. არ იფიქროთ, რომ ზედმეტად გულუბრყვილო ვარ. არ მესმის, რატომ არ უნდა დამეჯერებინა თუნდაც ერთი პოლიციელის გულწრფელობისთვის - მათაც ხომ შვილები ჰყავთ და ეს სენი, როგორც ჩვენ, ისევე ეხებათ.

სისტემა, რომელიც წლების განმავლობაში საათის მექანიზმივით შეუფერხებლად, ზუსტად მუშაობდა, რამდენიმე თვეში, ბუნებრივია, ვერ შეიცვლება, მაგრამ ღმერთმა ქნას, ცალკეული პოლიციელების დღევანდელი მონდომება ხვალინდელ შედეგს ნიშნავდეს და საქართველოში ათასობით მოწამლული ახალგაზრდით, ბარიგით, ნარკოვაჭრობაში ხელგასვრილი პოლიციელით ნაკლები იყოს და ნარკომანიასთან ბრძოლის შედეგი ბევრად უფრო აშკარა გახდეს, პრობლემა კი ნელ-ნელა არასასიამოვნო მოგონებად გადაიქცეს.

# იმედის გაზაფხული



















თბილისის ერთ-ერთ უძველეს და ულამაზეს აბანოთუბანში გახსნილი ფეშენებელური ტიფლის კლუბი სწორედ იმ გარემოს, ესთეტიკის, დიზაინის მქონეა, რომელიც ნებისმიერ კარგ ღამის კლუბს უნდა ჰქონდეს. ამიტომაც სრულიად არ არის გასაკვირი, რომ კომპანია არტ-იმედმა სწორედ ეს კლუბი შეარჩია იმედის გაზაფხულის ფესტივალის ჩასატარებლად, რომლის გახსნა-პრეზენტაცია ამ კვირაში მოეწყო. ძალიან ბევრი ხალხი, საღამოს სპონსორი "ღვინო ნანის ვენახებიდან", უამრავი ჭეშმარიტი და ყალბი ვარსკვლავი, პრესა, ფოტოაპარატების ჩხაკუნი, კამერის წინ პროფესიონალური ღიმილი და პოზიორობა, ზედაპირული მისალმება-მოკითხვები, ფრთხილი კოცნები - მაკიაჟი რომ არ გაფუჭდეს, პომადა არ მოშორდეს ან დააჩნდეს და, რაც მთავარია, ფონოგრამის გარეშე, ცოცხალი შესრულებით ჩატარებული არტ-იმედის კონცერტი. ზოგიერთი, მართლაც, ძალიან კარგად, ზოგიერთიც კი საერთოდ ვერ მღერის, მაგრამ ეს ჩვენზე უკეთესად, მგონი, არტ-იმედის ახალმა პროდიუსერმა მერაბ სეფაშვილმა იცის. კაცი, რომელიც თავად პროფესიონალი მომღერალია, კარგი მუსიკალური გემოვნება, შესრულების კულტურა გააჩნია, არ შეიძლება კარგსა და ცუდს ვერ არჩევდეს, ამიტომაც, დღეს არასაჭირო რჩევებისგან თავს შევიკავებ, მერაბ სეფაშვილის პროდიუსერის ახალ ამპლუას იმედით შევხედავ, შედეგებს დაველოდები და მერე ვილაპარაკოთ.

იმედის გაზაფხულის ფესტივალის გახსნის საღამო მუსიკათმცოდნე მაია დათუნაშვილს მიჰყავდა, რომელიც ცოტა დიდხანს, ბევრს, ზედმეტად დალაგებულად და საერთო ჯამში ნორმალურად საუბრობს, მაგრამ თუ არტ-იმედი მის ჩაცმულობაზე იზრუნებს, 60-იანი წლების ცეკას მდივნის ცოლის სტილს ცოტა გაათანამედროვებს და თუნდაც 80-იან წლებს მიუახლოვებს, ცუდი არ იქნება. ოღონდ, ზედმეტი არ მოუვიდეთ და მთლად აჩი მეფარიძის ავანგარდიზმს ნუ მიუახლოვდებიან, ვინაიდან ეს უკვე არანაირ ჩარჩოებში არ ჯდება და მაია დათუნაშვილს ნამდვილად არ მოუხდება, თუმცა, მე მგონი, აჩისაც არ უხდება. არ შემიძლია, ყურადღების მიღმა დავტოვო ტელესინევიდეოს ყოფილი წამყვანი და დღეს კი საქართველოს პირველი ლედის თანმყოლი მერაბ ფიფიას რთულად კომბინირებული კოსტიუმი, რომელიც წლებით, ეპოქითაც ვერ ხასიათდება და ჩემი აზრით, უბრალოდ, დროისგარეშე უგემოვნებობაა, თუმცა, ამაზე, ალბათ, პრეზიდენტის აპარატმა უფრო უნდა იზრუნოს, ვიდრე არტ-იმედმა, რომელსაც ჩაცმულობის თვალსაზრისით საკუთარი საზრუნავი არ აკლია. ღარიბი რუსი ბოიარის ხელოვნური ბეწვით დეკორირებული, ენითაუწერელ ქურქ-პალტოში გამოწყობილი ვერიკო ტურაშვილი კი ნამდვილად არტ-იმედის პრობლემაა. კომპანიას, რომელსაც, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, დატვირთვა მუსიკალურ ხარისხზე აქვს, ნორმალური სტილისტი მაინც ძალიან ესაჭიროება, თორემ ქართული ესტრადის ვარსკვლავების ნაწილი თავის გემოვნებაზე თუ მიუშვი, აღარც მაგათი სიმღერა მოგინდება და აღარც არაფერი.

უნდა გამოგიტყდეთ, რომ ცოცხალი შესრულებით კონცერტის ასეთ ხარისხს ნამდვილად არ ველოდი. ლელა წურწუმიამ, რომელსაც შავი კოსტიუმი და ალ კაპონეს მსგავსი შავ-თეთრი ფეხსაცმელი ეცვა, ცეცხლოვანი რუსულ-ბოშური სიმღერა, სხვათაშორის, შესანიშნავად შეასრულა და ის დრო მომაგონა, როდესაც ლელას მოსასმენად რესტორან ევროპაში დავდიოდით, სადაც ბევრად უკეთეს, ყოველგვარი აღმოსავლურ-ავანგარდული პრეტენზიის გარეშე, მისთვის ბევრად უფრო მომგებიანად მართლა კარგ სიმღერებს ასრულებდა. ნატო მეტონიძის მიერ შესრულებული გია ყანჩელის სიმღერა ძლივს მოვისმინე და ვერ წარმოიდგენთ, როგორ ვისიამოვნე! ეკა მამალაძის სიმღერაზე ჩემთან ერთად მყოფი მეგობარი ცოტა ატირდა კიდეც (როგორი ნერვები გვაქვს!). ზუკა ხუციშვილის სიმღერაზე ყველას გული აუჩუყდა, ფორტეს მიერ ძალიან სასიამოვნოდ შესრულებულ შესანიშნავ რუსულ სიმღერაზე მე და გიო ხუციშვილმა ვიცეკვეთ, დათო გომართელის "მამა აფრიკაზე" კი უკვე ყველა გიჟებივით ცეკვავდა. არ ვიცი, ნანი ბრეგვაძის სახელობის ღვინომ გამოაცოცხლა ჩვენი ვარსკვლავები, თუ მათთვის უკვე უჩვეულო უფონოგრამობამ, მაგრამ არტ-იმედს, თურმე, არც ისეთი უიმედო მდგომარეობა ჰქონია, როგორც მე, ცალკეული კლიპების შემხედვარეს, მეგონა და თუ მერაბ სეფაშვილი პროდიუსერის როლში ისეთივე ნიჭიერი გამოდგება, როგორც სცენაზეა, მაშინ არტ-იმედის გაზაფხული ნამდვილად დადგება, ქართველი მსმენელი კი უფრო ხარისხიან მუსიკას მოვუსმენთ.

# კარგია ლუდი ლომისი?

თბილისის ქუჩები, ქვეყნის გზატკეცილები სარეკლამო ფარებით, ბილბორდებით არის აჭრელებული, ჟურნალებში და გაზეთებში სარეკლამო ადგილები გადავსებულია, ტელევიზიის საეთერო დროის უმეტესი ნაწილი კი რეკლამას უკავია. რას არ უკეთედება რეკლამა - ქალის ჰიგიენური პაკეტებიდან, კბილის პასტიდან დაწყებული, სარეცხი ფხვნილით და ავეჯის გადაზიდვის ან დაკრძალვის სერვისით დამთავრებული. ზოგიერთი სარეკლამო კლიპი სასიამოვნო საყურებელი, პროფესიონალურად გადაღებულია. რეკლამისთვის, ხშირად, პოპულარულ სახეებს იწვევენ და ამით რეკლამირებულ პროდუქტს უფრო სასურველს ხდიან. რაც უფრო კარგი გადაღებულია სარეკლამო კლიპი, მისი ნახვისთანავე რეკლამირებული პროდუქციის შეძენა მით უფრო უნდა მოგინდეს, ამიტომაც მწარმოებელი ფირმები სახსრებს, წესით, არ იშურებენ და პროფესიონალ გადამღებ ჯგუფს იწვევენ ხოლმე სამუშაოდ, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვი ამ ბოლო დროს ქართულ ტელეარხებზე გამოჩენილი ლუდი ლომისის ახალ სარეკლამო კლიპზე, რომლის შემხედვარეს ლუდის გასინჯვა კი არა, ზიზღით ტელევიზორის გამორთვაც კი მომინდა. რეკლამაში გვეუბნებიან, რომ ლუდი ლომისი კარგიაო - ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს. კლიპის სცენარიც, იდეაც კარგი ხომ არ არის?! ლუდის მწარმოებელი კომპანია ან ღარიბია, ან ძუნწი და ამიტომაც ამგვარი უნიჭობით დაკმაყოფილდა. ნუთუ, ვინმეს შეიძლება ლუდის ჩამომსხმელი გოგოს ანომალიური ზომის მკერდზე აქცენტი, კლიპის მთავარი, ლუდის და ქალების მოყვარული გმირის მოქმედება, გარეგნობა, მანერა ან მათი გალექსილი, ვითომ მთიულური და ამ დროს, ქართული ფოლკლორის შეურაცხმყოფელი სულელური არშიყი მოსწონდეს? ან ტექსტი ვინ დაუწერათ? ან ვის გაუგია, რომ მართლაც კარგი ლუდისგან სახე ასე სივდებოდეს, ეგ უფრო ლოთობის ნიშანია, ვიდრე ლუდის სიყვარულის. კარგი ლუდისგან საქციელ-გონება დაკარგული კლიპის გმირები სავსე დუქნის თვალწინ ტუალეტში რომ განმარტოვდებიან და იქიდან მოთენთილ-მოჭმუჭნულები, თმაგაჩეჩილები, მზერამიბნედილები, მაისურჩამოგლეჯილები ლიფის გასწორებით და შარვლის შეკვრით რომ გამოდიან, თანაც ცოტა გულძმარვა აწუხებთ - ესეც კარგია? ჩემი აზრით, საგანგაშოდ ცუდია! მსგავსი პრიმიტიული, ერთუჯრედიანი პირდაპირობა, უგემოვნობა, არაესთეტიკურობა ძნელი წარმოსადგენია. ძალიან მაინტერესებს, ამ კლიპის გადაღებისას რეჟისორი რაზე ფიქრობდა - ვაჟაფშაველაზე, საკუთარ მიზერულ ჰონორარზე, უნიჭობაზე, ბართან მომუშავე ქალის კოლოსალური ძუძუს ქვეშ მიმალულ ხალზე, თუ ლუდის მოყვარული, სექსუალურად აქტიური გმირის პოტენციაზე? ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ ლუდის რეკლამირებაზე ყველაზე ნაკლებად ზრუნავდა და შედეგად ანტირეკლამა გამოუვიდა. გამაგებინეთ, კლიპში გადაღებულმა მსახიობმა გოგონამ, გარდა იმისა, რომ დიდი მკერდი აქვს, მეტი რა დააშავა? შეურაცხმყოფელი ქალიძუძუს იარლიყი რატომ მიაწეპეს და სადაც კი ამგვარი უნიათო რეჟისორების გაგებით სექსუალურობის მაქსიმუმი დასჭირდებათ, ყველგან ამ საბრალოს, უფრო სწორად კი, მის ძუძუებს ათამაშებენ. ნუთუ, მსახიობს მეტი პლუსი არ აქვს? შეიძლება სერიალშიც, კლიპშიც, ყვითელ პრესაშიც მხოლოდ მის ძუძუებზე იყოს ლაპარაკი? ფაქტია, რომ მსახიობმა ქალმა ბუნებით მონიჭებული ესოდენ დიდი უპირატესობა ცხოვრებაში მომგებიანად ვერ გამოიყენა, თორემ ასეთ იაფფასიან იდიოტურ რეკლამაში გადაღებაზე რატომ დათანხმდებოდა? ან ამიხსენით, ძუძუებს, კაც-ულაყს, სექსუალურ აქტს და ლუდს რა კავშირი აქვს ერთმანეთთან. ეტყობა, კლიპის ავტორებმა პროფესიონალური უსუსურობის პარალელურად, არც ლუდის დამახასიათებელი თანმყოლი განწყობა იციან და ლომისი ვიაგრაში ეშლებათ. თუ ანტირეკლამა უნდოდათ, ბარემ ბოლომდე ანტირეკლამა ყოფილიყო და ამ ქალი-ძუძუს და კაცი-ულაყის ეროტიკაც თავისებური მხატვრული ხედვით ეჩვენებინათ - მაშინ, საბოლოოდ, ლუდსაც შეგვაზიზღებდნენ. დარწმუნებული ვარ, რომ როგორც კლიპის ავტორებს, ისე მის დამკვეთებს, ანუ ლუდის მწარმოებლებს გემოვნების ნატამალი არ გააჩნიათ, აქედან გამომდინარე კი, მათი ლუდის ხარისხშიც ეჭვი მეპარება. თუ ეს სარეკლამო კლიპი, მასში გადაღებული დიდძუძუებიანი გოგო, პერანგშეხსნილი, უცნაური ჰაბიტუსის მქონე მამაკაცი, სამარცხვინო სიუჟეტი, ენითაღუწერელი ტექსტი და ზოგადი უკულტურობა მოსწონთ, დახვეწილი გემოვნება რაღა ლუდის საკითხში ექნებათ?

ჩემს გარშემო ყველა ნაცნობი ამ კლიპის ეთერში გამოჩენით საშინლად აღშფოთებულია და ამ წერილის დაწერა და საერთო აზრის გადმოცემა მთხოვეს. ჩემი აზრით, რაღაც ტიპის სარეკლამო პროდუქცია არსებობს, რომლის ეთერში გაშვება არანაირი ფულის გამო არ შეიძლება. ეს ტელეკომპანიებს, ისევე როგორც მაყურებლებს, შეურაცხყოფას აყენებს.



# რა არის ფული?

ფული ქაღალდის ოთხკუთხედი ნაჭერია, რომელსაც, ამბობენ, სუნი არ აქვსო და რომელსაც ადამიანებზე საკმაოდ დიდი გავლენა გააჩნია. ზოგიერთმა იცის, რომ ფული ხელის ჭუჭყია, ზოგიერთისთვის კი ფული მთელი მისი ცხოვრების ერთადერთი მიზანია. ყველა ადამიანს ფულისადმი თავისებური, ინდივიდუალური დამოკიდებულება გააჩნია. ზოგიერთი ფულს ბანკში ინახავს, ზოგიერთი მუთაქაში, მიწაში მარხავს. ზოგიერთს ერთი სული აქვს, დახარჯოს, ზოგიც კი ვერა და ვერ ელევა და თითო კაპიკის დახარჯვაზე ნერვიულობს. არსებობს ხალხი, ვისაც ფულის გაჩუქება უყვარს - მათ ხელგაშლილები ჰქვიათ. ადამიანს, რომელიც ფულს მხოლოდ ვალში, ისიც პროცენტიანში იძლევა - მევახშე ჰქვია. ამბობენ, ფულით ყველაფერს იყიდიო. ზოგიერთი ამ გამონათქვამში ღრმად არის დარწმუნებული, ზოგიერთი კი ცხოვრებისეულ ბედნიერებად სხვა რამეებს მიიჩნევს. არსებობს ხალხი, რომელთაც ფულზე ლაპარაკი, ტრაბახი, ერთის ასად მოჩვენება უყვარს. ზოგიერთი კი ამ თემას ერიდება, გულმოდგინედ მალავს ფულის რეალურ რაოდენობას. ფულის გამო იწყებოდა ომები, ფულის გამო თხოვდებიან ან ცოლი მოჰყავთ, ფულის გამო ძმა ძმას კარგავს, ფულის გამო ღალატობენ, ყიდიან, ფულის გამო კლავენ, ფულის გამო მიდიან რისკზე, ქრთამს ფულის სახით იღებენ და ფულის გამო იღუპებიან. ამბობენ, ძალიან ბევრი ფული ადამიანს ცვლისო, არ ვიცი, ჯერ ჩემთვის ცხოვრებას ამგვარი გამოცდა არ მოუწყვია, მაგრამ რატომღაც არა მგონია, რომ ფული ადამიანურ თვისებებს ცვლიდეს; უბრალოდ, ფული ადამიანის კარგი და ცუდი მხარეების გამოვლენის ოპტიმალურ საშუალებას იძლევა. კაცობრიობის უმეტესობა პურის ფულზე ფიქრობს და ღელავს, ზოგიერთმა კი რაზე დახარჯოს, აღარ იცის. ზოგიერთის გარშემო ყველას მისი ფული აქვს, ზოგიერთს კი პირიქით, ყველასი მართებს. ფულზე ოცნებობენ, ღმერთს ევედრებიან, ითვლიან, ინახავენ, ეფერებიან, ამოწმებენ, ამრავლებენ, ანდიდებენ. ზოგიერთს ფულის დათვლა უყვარს. მე ჩემს ყოფილ ტელეგადაცემაში ისეთი რესპონდენტი მყავდა, რომელმაც გულახდილად მომიყვა, რომ ერთხელ ათი ათასი მქონდა, ყოველ თხუთმეტ წუთში გადმოვიღებდი და თითზე დაფურთხებით ვითვლიდიო. თურმე, იცით, რატომ? მერე რომ მეთქვა, რაც მე ათი ათასები მითვლიაო! ზოგიერთს ფულის დახარჯვა თავის თავისთვისაც კი ენანება, დაგლეჯილი ტანსაცმლით, უმანქანოდ დადის, საშინელ სიდუხჭირეში ცხოვრობს, ფულს კი არ ხარჯავს. მათ ბალზაკის ლიტერატურულ პერსონაჟს - გობსეკს ადარებენ. ზოგიერთს ფული დღეს უნდა, ზოგიერთს კი ხვალ. ფულს საჭმელზე, სასმელზე, ჩაცმაზე, ფუფუნებაზე, ხელოვნების ნიმუშებზე, ბოზებზე, საყვარლებზე, ოჯახზე, აზარტულ თამაშებზე, მოგზაურობაზე, ანტიკვარიატზე, ბინებზე, მანქანებზე, თავის თავზე და სხვაზე ხარჯავენ. ზოგიერთი ამას სიამოვნებით აკეთებს, ზოგიერთისთვის კი ეს ნამდვილი ხელის მოჭრის ტოლფასი ტანჯვაა. ფულს ფლანგავენ, ქარს ატანენ, ისვრიან, ანიავებენ, ხელს უჭერენ, გულში იკრავენ, ითვლიან ან არ ითვლიან.

ყველა ადამიანს სხვადასხვა რაოდენობის საკუთარი ფული აქვს. ზოგიერთს ბევრი, ზოგიერთს ცოტა. ყველა ქვეყანას თავისი ფულის ერთეული აქვს. რაც უფრო ძლიერია ქვეყანა, მით უფრო ძლიერი, მყარია მისი ფულიც. ასი ლარი, თითქოს, არც გქონია, ხელში ისე დნება. ასი ფუნტი სტერლინგი კი უფრო დიდხანს გაგიძლებს. მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ფულის ერთეული - დოლარია, ყველაზე არაპოპულარული კი - ბევრია. პოპულარობა, როგორც ადამიანებს, ისე ფულსაც უხდება, აძლიერებს, ამტკიცებს. არსებობს ქვეყნები, სადაც ფული მეტ-ნაკლებად ყველა მოქალაქეს აქვს. არსებობს ქვეყნები, სადაც ზოგიერთს უამრავი ფული აქვს, ზოგიერთს კი - ერთი კაპიკიც სანატრელი. ასეთ ქვეყნებს კონტრასტულს ეძახიან. ჩვენ სწორედ ასეთ კონტრასტულ ქვეყანაში ვცხოვრობთ - ბევრი ფეშენებელურ ბინებიანი ახალი სახლები, უამრავი უძვირფასესი მანქანა, ახალ-ახალი ბანკები, მაღაზიები, რესტორნები, მსოფლიოს ნებისმიერი ქალაქისთვის შიკით, მოდურად ჩაცმული ხალხი და უამრავი მათხოვარი მათ გარშემო. თბილისი აჭრელებული, მრავალფეროვანი ქალაქი გახდა და მის მაცხოვრებლებს სულ სხვა და სხვა ფულის რაოდენობა და აქედან გამომდინარე, ცხოვრების წესი, სტილი, ჩვევები გააჩნია. ამ კონსტრასტულობის, მრავალფეროვნების მიუხედავად, ყველა ტიპის ადამიანს ერთნაირი შოკური რეაქცია ჰქონდა ამ კვირაში მანანა შევარდნაძის მიერ პირადი ანგარიშიდან თხუთმეტნახევარი მილიონის გადახდის თაობაზე. ზოგიერთი ვერც ხვდება, რამდენია თხუთმეტი მილიონი, რაზე შეიძლება გეშოვნა ან დაგეხარჯა ამხელა თანხა. ზოგიერთი მშვენივრად ხვდება და გულწრფელად უკვირს, გია ჯოხთაბერიძეში ამხელა ფულის გადახდა როგორ შეიძლებოდა. ასტრონომიული ციფრი კი, საქართველოს რეალობის ფონზე, გაკიცხვასაც აღარ იმსახურებს. თბილისი სტრესის ქვეშ იმყოფება. გამყიდველი, რომელიც მთელი დღე ფულს იღებს და ხურდას უბრუნებს; ბანკირი, რომელიც ფულს ითვლის; სამარშრუტო ტაქსის მძღოლი, რომელიც ზედმეტი 40 თეთრისთვის მთელი დღე თბილისის ქუჩებში დადის; მექრთამე, რომელიც სასიცოცხლო რისკზე მიდის; ბავშვებიც, რომლებსაც ნებისმიერი თანხა მაკდონალდსის რაოდენობაზე გადაჰყავთ; კომუნალური გადასახადების სალაროსთან გრძელ რიგში მდგომნი და ათასობით სხვა ტიპის ადამიანები, მთელი ეს კვირა, მარტო შევარდნაძის ქალიშვილის პირად ანგარიშზე ლაპარაკობენ და თანაც, ჩუმად, ოღონდ არა შევარდნაძეების ოჯახის პატივისცემის, არამედ თანხის სიდიდის, დაუჯერებლობის გამო. სადაც არ მიხვიდოდი, შეხვიდოდი, ჩადგებოდი თუ ჩამოჯდებოდი, ყველა მხირდან ისმოდა - 16 მილიონი, 16 მილიონი და თანაც, ნამდვილად, არა უკანასკნელი. ზოგიერთს შეშურდა, ზოგიერთს დაენანა, ზოგიერთი გაოგნდა, ზოგიერთი აღშფოთდა, ზოგიერთს აეტირა, ზოგიერთს გაეცინა, ზოგიერთმა თავის ფულს შეადარა. ჩემი აზრით კი, მანანა შევარდნაძისთვის 16 მილიონი იმდენივეა, რაც ჩემთვის 150 ლარი. ეს თანხა არც დამაქცევს, მაგრამ მაინც უმაგისობაც დამეტყობა და ცოტა დამენანება. ყველამ შესანიშნავად ვიცოდით, რომ შევარდნაძეები ჩვიდმეტ ლარად არ სადილობენ და პირადი ანგარიშებიც ექნებათ, მაგრამ ვარაუდი ერთია და რეალობა კი - მეორე.

თექვსმეტი მილიონი! ჰოლივუდში ორსაათიან მძაფრსიუჟეტიან, სპეცეფექტებიან ბოევიკებს იღებენ, რომელშიც ახოვანი გმირები ბევრად ნაკლები თანხის გამო სიცოცხლის ბოლო წვეთამდე იბრძვიან. ამ ბოლო პერიოდში ბევრმა ქვეყანამ საქართველოს 5-10-20 მილიონიანი ფულადი დახმარება გაუწია სხვადასხვა დარგის, სფეროს ფეხზე დასაყენებლად. და ამ დროს, სწორედ ამ დარგების დანგრევის, გაპარტახების ხარჯზე ერთ კონკრეტულ მოქალაქეს იმდენივე ფული აქვს, რამდენსაც ქვეყანა ქვეყანას აძლევს.

ამ წერილში, ფულთან მიმართებაში ბევრი სხვა და სხვა ტიპის ადამიანი ჩამოვთვალე, მაგრამ ისეთებიც ყოფილან, რომელთა დახასიათებისგანაც პირადად მე თავს ვიკავებ. ამას საქართველოს მოსახლეობა ჩემზე უკეთესად მოახერხებს.

ზოგიერთს ფული ქვეყანაზე, სამშობლოზე, ხალხზე, მორალზე, მშვიდ ძილზე უფრო ჰყვარებია, ქმარი კი ფულზე მეტად.

გია ჯოხთაბერიძე ბედნიერი კაცი ყოფილა - რა ქალს ჰყვარებია!

# ნავთსაყუდელი

პირველი გვერდიდან

**- უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენო...**

- საბედნიეროდ, აქამდე ჯერ არ მისულა საქმე.

**- სხვანაირად როგორ უნდა ვიფიქროთ, როცა წიგნიც კი აღარავის უნდა!**

- ამასაც მოვესწარით!

**- დღეს წიგნი კომპიუტერმა შეცვალა...**

- და ეს ჩვენში მოხდა მხოლოდ.

**- განა სხვაგან კომპიუტერი ჩვენზე მეტად არ არის გავრცელებული?**

- ეს არის სწორედ დამაფიქრებელი. სადაც კომპიუტერი გამოიგონეს და, ჩვენგან განსხვავებით, თითქმის ყველას ერთნაირად მიუწვდება ხელი ამ „ჯადოსნურ მანქანაზე", ბიბლიოთეკები სავსეა მკითხველებით. კომპიუტერის გონივრულად გამოყენების, მისი ნამდვილი დანიშნულების სწორად განსაზღვრის შემთხვევაში, წიგნის როლი შეუდარებლად იზრდება. ვის მოუვა აზრად, ან ვინ გაბედავს დაამციროს მეცნიერებისა და ტექნიკის დიადი მნიშვნელობა, მაგრამ იქნებ გაგვეხსენებინა ერთ-ერთ ყველაზე განათლებულ ადამიანად აღიარებული ოლდოს ჰაქსლის სიტყვები: „მეცნიერება არის ცოდნა და არა სიბრძნე"! სიბრძნე კი, სხვა სიტყვით, დამოუკიდებელი აზროვნებაა და ამ დროს ადამიანს ყველაზე მეტად სწორედ წიგნი ეხმარება. როცა კომპიუტერზე ვლაპარაკობ, ვგულისხმობ „მანქანის ფილოსოფიას" და არა მანქანას. ჯერ კიდევ როდის დააწყებინა მაქს ბენზემ კომპიუტერს ლექსების წერა, რამაც მხოლოდ ის დაამტკიცა, რომ მწერლობისთვის (და არა მხოლოდ მისთვის!) მანქანა კი არა, მანქანისებური „აზროვნებაა" სახიფათო. ისიც შესაძლებელია, კომპიუტერი ვინმემ გამოიყენოს (მგონი, იყენებენ კიდეც!), როგორც ყველაზე „ელიტარული" საშუალება საკუთარი შემოქმედებითი იმპოტენციის შესანიღბად. კომპიუტერმა არა მარტო ერთნაირები შეკრიბა ჩვენს პლანეტაზე, არამედ ყველა გააერთნაირა. კომპიუტერი იქცა გლობალიზაციის მძლავრ იარაღად. გალატეას ქანდაკება გაცოცხლდა, ხმა ამოიღო, მაგრამ თურმე ახალი არაფერი ჰქონია სათქმელი და ეს „არაფერია" სწორედ ის საბედისწერო სიცარიელე, რომელიც უვიცთა საიმედო თავშესაფრად მოგვევლინა. კომპიუტერი ბევრ „უთავოს" თავის მაგივრობას უწევს და რაოდენ დამაფიქრებელია, რომ ბევრისთვის ეს ხელსაყრელიც კია. მოდად გარდაქმნილმა უწიგნურობამ და ნიჰილიზმმა იქამდე მიგვიყვანა, რომ ისეთ ქვეყანაში, რომლის ერთადერთი ხსნა ეროვნული ერთიანობის, ეროვნული ღირსების, ანუ კულტურის ერთგულება და სიმტკიცეა, კოსმოპოლიტიზმის ურჩხულმა გაახილა თვალი. ახალგაზრდობას სკოლის კარი მკვდარი პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით ჩავუხერგეთ, ტოტალიზატორებსა და ინტერნეტ-ბარებში შევრეკეთ, კომპიუტერს მივაჯაჭვეთ და ხომალდის მონა-მენიჩბეებს დავამსგავსეთ. გასულ საუკუნეში ევროპელი მწერლები კაცობრიობის მთავარ საფრთხედ „დამოუკიდებელი აზროვნების უნარის დაკარგვას" მიიჩნევდნენ და სამართლიანადაც. ეს საფრთხე, თუ ასე გაგრძელდა, კიდევ უფრო გაიზრდება, რაც ჩვენისთანა ქვეყნისთვის შეიძლება საბედისწეროც აღმოჩნდეს: თუკი დამოუკიდებელი აზროვნების უნარს დავკარგავთ, ეროვნულ დამოუკიდებლობასაც მივაყოლებთ ზედ...

**- როგორ მოვიქცეთ, დავამსხვრიოთ კომპიუტერები, როგორც ერთ დროს ინგლისში დაზგები დაამსხვრიეს?**

- აკი საგანგებოდ აღვნიშნე, ჩემი ნათქვამი მანქანას არ ეხება-მეთქი!

**- ამიტომ შეიძლება აუცილებელიც იყოს ჩემი შემდეგი კითხვა: რა ფუნქცია გააჩნია დღეს მწერლობას, მწერალს?**

- რადგან მაგას მეკითხებით, ეტყობა, საეჭვოდ მიგაჩნიათ დღევანდელ სინამდვილეში მწერლობის, მწერლის ფუნქცია.

**- არა, უბრალოდ, მაინტერესებს თქვენი აზრი.**

- ვერაფერს ორიგინალურსა და ახალს ვერ გეტყვით. მწერლობას, მწერალს იგივე ფუნქცია აქვს დღეს, რაც გუშინ, ათი, ოცი, ოცდაათი საუკუნის წინ ჰქონდა, ანუ ცდილობს, ოდნავ მაინც მიუახლოვდეს ამქვეყნად ყველაზე დიდ საიდუმლოს, რომლის ბოლომდე შეცნობაც შეუძლებელია - არც არის საჭირო - და რომელსაც ადამიანი ჰქვია.

**- ჩემი ათი წლის გოგო, წიგნს რომ კითხულობს, მეკითხება ხოლმე, ნამდვილიაო? რომ ვუთხრა, გამოგონილია-მეთქი, ისე მნიშვნელოვნად აღარ მოეჩვენება წიგნი. რას მეტყვით, რა ვუპასუხო ჩემს შვილს?**

- უთხარით, ეს სამყაროც ღმერთის გამოგონილია, მაგრამ ამაზე ნამდვილი რამ წარმოუდგენელია-თქო. ბავშვი თავიდანვე უნდა შევაჩვიოთ წიგნის კითხვას, გამოგონილის სინამდვილედ აღქმას, ანუ გამოგონილით სინამდვილის გამდიდრებას; უნდა შევასწავლოთ, თუ შეიძლება ასე ითქვას, კითხვის სოლფეჯიო, რამდენადაც წიგნის კითხვისას აუცილებელია განსაკუთრებული სმენა, განსაკუთრებული თვალი, თუ უნდა, რომ იგრძნოს მეორე სინამდვილის აუცილებლობა, გაუჩნდეს მოთხოვნილება ჩვეულებრივში იდუმალის აღმოჩენისა. „დგება თეთრი დღეები, რიდეების სეზონი, გაჩნდნენ ორხიდეები, ყოვლად უმიზეზონი"! და ასე, „ყოვლად უმიზეზოდ", წიგნით გამძაფრებული წარმოდგენებითა და ხილვებით, „ჩვენი სიზმრების ძაფით" იქსოვება სამყარო - მარადიული საიდუმლო, რომელიც ადამიანს ამაღლებს ყოველდღიურ, ერთფეროვან ყოფაზე, აგრძნობინებს (რითიც აიმედებს კიდეც!), რომ მართლა „იარაღის მკეთებელი ცხოველი" კი არ არის, არამედ სამყაროს საოცრებაა - „მოაზროვნე ლერწამი"!



თამაზ ჭილაძე ძმის შვილიშვილთან ერთად.

ვახო ხარაზიას ფოტო

**- როგორ ფიქრობთ, დაუბრუნდება თუ არა ქართველი „მოაზროვნე ლერწამი" წიგნს?**

- უსათუოდ! დააკვირდით, მიუხედავად ამ ბოლო თხუთმეტი წლის მანძილზე მწერლობისადმი ხელისუფლების პილატესეული პოზიციისა, მწერლობისადმი თითქმის დაკანონებული ნიჰილიზმისა, მწერლობის სავალალო ეკონომიკური მდგომარეობისა, საქართველოში არასოდეს ყოფილა მწერლობის ამდენი მსურველი.

**- ჩვენში ისედაც ბევრი მწერალია!**

- ვერ დაგეთანხმებით. ამჟამად საქართველოში ძალიან ცოტა მწერალია.

**- ძმებისა და დათვებისა არ იყოს, ახლაც ხუმრობთ! რამდენადაც ვიცი, ჩვენს მწერალთა კავშირში ხუთასამდე წევრი უნდა იყოს!**

- მწერალი და მწერალთა კავშირის წევრი, უმეტეს შემთხვევაში, ურთიერთგამომრიცხავი ცნებებია. ასეთი გაურკვევლობის გამო, ხშირად ორგანიზაციის ცოდვებს მწერლობას მიაწერენ ხოლმე. შემიძლია დაბეჯითებით გავიმეორო: ამჟამად საქართველოში ძალიან ცოტა მწერალია და, ამ მხრივ, ნამდვილად ნორმალური მდგომარეობაა, ოღონდ არანორმალურია მწერლობისადმი ხელისუფლებისა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ხალხის დამოკიდებულებაც. არადა, ქართველ ხალხს მწერლობაზე ძვირფასი და მნიშვნელოვანი არაფერი შეუქმნია. ასეთ სიმაღლეს ბევრი ხალხი ვერ მიაღწევს, თუნდაც, ეკონომიკურად ძლიერი იყოს.

**- ხელისუფლებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ წიგნისადმი ხალხის ასეთი დამოკიდებულება არც საკვირველია და არც ძნელი ასახსნელი, თუკი ჩვენს დღევანდელ სიღატაკეს გავითვალისწინებთ.**

- სიღატაკეში რომ ვცხოვრობდით და ვცხოვრობთ კიდეც, ეს აშკარაა, მაგრამ, თუნდაც, თქვენ, ჟურნალისტები, რითი ახსნიდით იმ ფაქტს, რომ საშუალო მონაცემების, აშკარად ეპიგონი გასტროლიორის კონცერტზე ფილარმონიის დიდი დარბაზი ხალხით არის გადაჭედილი, საკმაოდ ძვირი ბილეთის შოვნაზე წეწვა-გლეჯვაა და თანაც სცენა უზარმაზარი თაიგულებით ივსება, რაც, სხვათა შორის, თავად გასტროლიორსაც კი უკვირს - აკი ერთ-ერთმა მათგანმა, მოსკოვში დაბრუნების შემდეგ, ტელევიზიით განაცხადა, ქართველების სიღარიბე ქართული ბლეფი ყოფილაო! ასე რომ, ჩემი აზრით, არის კიდევ უფრო ძლიერი და, ამდენად, კიდევ უფრო სერიოზული მიზეზი, სახიფათო ჩვენი პიროვნებისთვის, ჩვენი რაობისთვის. ეს გახლავთ შერყეული რწმენა ეროვნული კულტურისადმი, ჩვენში ხელოვნურად, მტრების მიერ ჩანერგილი ნიჰილიზმი - სულის კიბო!

სწორედ ახლა, ამ გაჭირვების დროს უნდა ვიფიქროთ და ვიზრუნოთ კულტურაზე, კერძოდ, მწერლობაზე, მის გადარჩენაზე, თორემ მერე, რაც უნდა დიდ მატერიალურ კეთილდღეობას მივაღწიოთ, ამ დანაკლისს, მე ვიტყოდი - სულიერ სიცარიელეს - ვერაფრით ამოვავსებთ, რამაც შეიძლება, მართლაც, სათუოდ გახადოს ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობა. აი, ჩვენსავით მცირერიცხოვან ფინეთში, იუნესკოს ცნობით, ყოველწლიურად 50 მილიონი წიგნი იყიდება და ბესტსელერების პირველ რიგებში ფინელი მწერლები დგანან. შეიძლება, ფინელებთან ჩვენი შედარება ზუსტი არ იყოს, რადგან ფინელები გაცილებით უკეთესად ცხოვრობენ, მაგრამ, რასაკვირველია, მხოლოდ მატერიალური დონით ვერ ავხსნით ამ ფაქტს, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი მწერლობისადმი, მართლაც რომ, ეროვნულ დამოკიდებულებას, ხალხის მაღალ მოქალაქეობრივ შეგნებას გამოხატავს. XVII საუკუნეში, როცა კარდინალმა რიშელიემ აკადემიის დაარსება გადაწყვიტა, მწერლები შეკრიბა და უთხრა: დროა, ვისწავლოთ სახელმწიფოებრივი აზროვნებაო. მე მგონია, ბოლოს და ბოლოს, ჩვენშიაც დადგა ეს დრო! მწამს, ქართველი ხალხი, როგორც კი ცოტათი სულს მოითქვამს, მაშინვე დაუბრუნდება წიგნს, სისხლში აქვს წიგნის სიყვარული, ბოლოს და ბოლოს, რუსთაველის მშობელი ხალხია, იცის, წიგნმა რომ გადაარჩინა, წიგნია მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და საამაყო, რაც კი ოდესმე შეუქმნია.

**- თქვენი წიგნი „ვარდის ფურცლობის ნიშანი" - რუსთაველის აპოლოგია - მხოლოდ ახლახან წავიკითხე. ჩემსავით, ალბათ, ბევრმა არ იცოდა და ახლაც არ იცის ამ წიგნის არსებობა, მაგრამ მეც, თქვენსავით, მწამს, რომ წიგნს მკითხველი გამოუჩნდება. თუნდაც, ჩვენი შვილების თაობა მიუბრუნდება თავის დიდ ლიტერატურას, კომპასად გამოიყენებს „სხვა ვარსკვლავისკენ" მიმავალ გზაზე.**

- მახსენდება ებრაელი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატის აიზეკ ზინგერის მეტად საგულისხმო ნათქვამი: „ძველი ებრაული ლიტერატურა დიდად არ ასხვავებდა ერთმანეთისგან პოეტებსა და წინასწარმეტყველებს. ჩვენი ძველი ლექსები ხშირად კანონებად გარდაიქმნებოდნენ და განსაზღვრავდნენ კიდეც ცხოვრების გზას." ასე იყო საქართველოშიც და ამისთვის რუსთაველის მაგალითის გახსენებაც კმარა. „ვეფხისტყაოსანი" ქართველთა სულიერი კონსტიტუციაა და, დარწმუნებული ვარ, ასე იქნება მუდამ. ქართველი ერის სულის კედელში „ვეფხისტყაოსანიცაა" ჩატანებული, როგორც სიმტკიცისა და უკვდავების გარანტია. რაც უფრო მეტი დრო გავა, „ვეფხისტყაოსანი" კიდევ უფრო აუცილებელი გახდება ჩვენთვის. ამას რომ ვამბობ, რასაკვირველია, მწამს, ქართველი ხალხი ხვალ მაინც ადამიანურად იცხოვრებს; ადრეც ბევრი საშინელება გადაგვხდენია თავს, მაგრამ მაინც ვართ, ვარსებობთ მტრის ჯიბრით თუ უფლის ნებით! თანაც, არა მარტო ვარსებობთ, სიმაღლეების გრძნობაც შეგვრჩენია - ნამდვილ, გეოგრაფიულ კავკასიონთან ერთად, კულტურის კავკასიონიც გვაქვს, ჩვენი კულტურის მყინვარწვერი, უშბა, შხელდა... მწვერვალები, რომლებზედაც ბევრ უცხოელ „მთამსვლელს" გაუჭირდება ასვლა. ეტყობა, საერთოდ გვალევებს სიმაღლე, სიმაღლისკენ მივისწრაფვით, რასაც ჩვენი მწერლები „ღმერთთან ახლოს დგომას", „ღმერთთან ლაპარაკს" უწოდებენ.

**- ყურადღება მივაქციე, თქვენ, ძირითადად, გუშინდელ დღეზე ლაპარაკობთ, ფაქტობრივად, წარსულზე. „მოვიკლათ წარსულ დღეებზე დარდი"-ო, თქვა პოეტმა. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს მაინც მომავალი არქმევს სახელს.**

- მე კი ვფიქრობ, თუკი ჩვენ ახლავე არ დავარქმევთ ყველაფერს თავის სახელს, შეიძლება მომავალი საერთოდ არც კი გვქონდეს. თანაც, წარსული უცებ არ თავდება, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. საერთოდ, ჩვენზეა დამოკიდებული, როდის დამთავრდება „წარსული" და როდის დაიწყება „აწმყო". ბევრი სიცოცხლის ბოლომდე მხოლოდ წარსულით ცხოვრობს. არადა, ადამიანმა უნდა შეძლოს სამ დროში - ვგულისხმობ წარსულს, აწმყოსა და მომავალს - ერთდროულად იცხოვროს, თუკი, რა თქმა უნდა, სურს, ადამიანობა შეინარჩუნოს. ჩვენი „აწმყო" ჯერჯერობით, მხოლოდ იმედებითა და სურვილებითაა სავსე, ერთგვარად სასიამოვნო, გამაბრუებელ ბურუსში აღმოვჩნდით, ჯერ მხოლოდ გულით ვხედავთ და როდესაც გონების თვალიც აგვეხილება, მაშინ არა მარტო დავინახავთ, შევისისხლხორცებთ კიდეც ჩვენს ხვალინდელ დღეს, ანუ მომავალს.

**- როგორც ვატყობ, ხვალინდელი დღის იმედი გაგჩენიათ!**

- იმედი არასოდეს დამიკარგავს. ნათქვამია, ადამიანი იმედით ცხოვრობსო. იქნებ ახლა მაინც გაგვიმართლოს!

**- რა გაძლევთ ამჟამად იმედის საფუძველს?**

- ხალხი! და ეს პათეტიკური განცხადება არ არის. მართალია, საკმაოდ ბევრი გასხვავებული შეხედულება არსებობს, მაგრამ ფაქტია, რომ გასული წლის 23 ნოემბერს, პარლამენტის წინ პოლიტიკური მიწისძვრით წონასწორობადაკარგული, უკიდურესად გაავებული ბრბო კი არ გაიპო ორად, კი არ გაიხლიჩა, რაც უსათუოდ ისევ ძმათა სასაკლაოს დაამსგავსებდა რუსთაველის პროსპექტს - სხვათა შორის, აშკარად შეინიშნებოდა გაპონიზმის ელემენტები - არამედ ხელოვნურად დაშლილი და დაქუცმაცებული ხალხი გაერთიანდა და მოხდა ყველა რევოლუციისთვის საკვირველი, მოულოდნელი, თითქმის ფანტასტიკური რამ: ხალხმა არა მარტო შეინარჩუნა, არამედ კიდევ უფრო მშვენიერი სახით წამოაჩინა თავისი ჭეშმარიტი რაობა. ეს არის ახალი რევოლუციის განსაკუთრებული თავისებურება, რისი დავიწყებაც, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის ლიდერებისთვისაა დაუშვებელი. პარლამენტის წინ შეკრებილი ათასობით ადამიანის გონიერი თავშეკავება უნდა იქცეს, ჩემი აზრით, ახალი ხელისუფლების შემდგომი ქმედების კამერტონად. რევოლუცია უცებ კი იწყება, მაგრამ უცებ არ თავდება - მისი პათოსი, სულისკვეთება დიდი ხნის განმავლობაში განსაზღვრავს ხალხის საქმიანობის, ცხოვრების თავისებურებას.

**- ასე რომ, ჩვენს „ვარდების რევოლუციას" შეიძლება „მშვიდობიანიც" ვუწოდოთ?**

- სხვათა შორის, ვარდი სრულებითაც არ არის მშვიდობის სიმბოლო. კაცობრიობას, ვარდების სახელით, ვარდის ემბლემით ბევრი ბოროტმოქმედება ახსოვს, მათ შორის ხანგრძლივი, სისხლისმღვრელი ომიც. რასაკვირველია, გილიოტინასა და მაუზერს ისევ ვარდი სჯობს, მაგრამ, რაც ამჟამად საქართველოში მოხდა, მის სიმბოლოდ ვარდი კი არა, თვით ბოტანიკური საოცრებაც კი ვერ გამოდგება: ბოლოს და ბოლოს, საქართველოშიც ძველი ფორმაცია ახლით შეიცვალა, ანუ ფეოდალიზმი - კაპიტალიზმით! ყოველ შემთხვევაში, სასურველია ასე იყოს, თუკი მომავალში ცხოვრებას ვაპირებთ, როგორც დამოუკიდებელი, კულტურული, აქტიური, შემოქმედი ერი. საბჭოთა იმპერია, რომლის შემადგენლობაშიც სხვა, იმდროინდელი საბჭოთა რესპუბლიკების მსგავსად, საქართველოც შედიოდა, სოციალიზმის ფასადიანი, აღმოსავლური ყაიდის, ფეოდალური, დესპოტური სახელმწიფო იყო. აზროვნების ინერციით, ჩვენ ისევ იქ ვიყავით - ფეოდალიზმში და ეს ეტყობოდა კიდეც ჩვენს ცხოვრებას.

**- ჰგავს თუ არა ახალი რევოლუცია წინა რევოლუციას?**

- იმდენად არა ჰგავს, რამდენადაც გვინდა, რომ დავამსგავსოთ. ზემოთ ვთქვი, რევოლუცია უცებ არ თავდება-მეთქი. ჩვენში ჯერ კიდევ ძლიერია ინერცია წინა რევოლუციისა, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ მანანასავით, ციდან ჩამოვარდნილსა ჰგავდა, მაინც შეძლო გარკვეული მისიის, თუნდაც, ნაწილობრივ, შესრულება, რაც ერთგვარად დასაყრდენიც კი აღმოჩნდა დღევანდელი რევოლუციისათვის. შეიძლება ამიტომაც, უნებურადაც კი, ზოგიერთი, საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი რამ თითქმის უცვლელად გადმოგვაქვს მისი „არსენალიდან". შეიძლებოდა ნახევრად ხუმრობით ისიც მეთქვა, რომ ახალი რევოლუციის ჰიმნოგრაფიამ, ანუ მეხოტბეობამ, თითქმის უცვლელად გადმოინაცვლა წინა რევოლუციიდან. რევოლუციას კი გამეორებები არ უყვარს. ამასთანავე, რევოლუციების (ნებისმიერი რევოლუციის!) მხარდაჭერა ბევრისთვის აშკარად პროფესიად იქცა.

პოლიტიკური მოძრაობისთვის მხარდაჭერა, საერთოდ, მხარდაჭერის ცნება, რატომღაც, არასწორად, მარტივად, უფრო მეტიც - პრიმიტიულად გვესმის. მახსენდება ოთარის ფრაზა, დიდი ხნის წინ გამოქვეყნებული სტატიიდან: ერთი ჰიუგო მაგიდასთან გაცილებით მეტ სარგებლობას მოუტანს ქვეყანას, ვიდრე ჰიუგოების ბატალიონი ბრძოლის ველზე...

**- რას იტყვით ახალ სახელმწიფო სიმბოლიკაზე?**

- ჩვენი ახალი დროშა არა მარტო მომწონს, უკვე მიყვარს კიდეც. მალე ახალი, დიდებული ჰიმნიც გვექნება. მე პატივი მქონდა, ვყოფილიყავი სახელმწიფო ჟიურიში, რომელმაც თითქმის ერთხმად მიიღო იოსებ კეჭაყმაძის მიერ ფალიაშვილის მუსიკის მიხედვით შექმნილი ჰიმნი. ფალიაშვილის მუსიკა კი დიდი ხანია ქართველთა არაოფიციალური ჰიმნია. ხელისუფლებამ მაშინ უკან დაიხია, ვინ იცის, მერამდენედ შეეშინდა ქართველი სავონაროლების. მაგრამ ამდენ შიშს, რომელსაც, რატომღაც, „გონიერებას" ვეძახდით, არაფერი სიკეთე არ მოუტანია ჩვენთვის. ასევე მართებულად მიმაჩნია, რომ ახალ სახელმწიფო გერბს ბაგრატიონების საგვარეულოს გერბი დაედოს საფუძვლად. ბაგრატიონებმა ეს ხანგრძლივი, მოწამებრივი ცხოვრებით დაიმსახურეს. ბაგრატიონობა მოვალეობა იყო და არა პრივილეგია. ბაგრატიონების ტახტი ძალაუფლების სიმბოლოს კი არა, ეშაფოტსა და წამების დაზგას წარმოადგენდა. მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი დინასტიის მრავალი წარმომადგენელი წმინდანებად ჰყავს შერაცხული ჩვენს ეკლესიას, რაც ამ გვარს კიდევ უფრო ამაღლებს და ადიდებს. ბაგრატიონების ცხოვრება და ბედი თანდათანობით ქართველი ერის ცხოვრებისა და ბედის სიმბოლოდაც კი გადაიქცა.

საერთოდ, როცა სახელმწიფოს ახალ სიმბოლიკაზე ვმსჯელობთ, ჩემი აზრით, მთავარი არ უნდა დაგვავიწყდეს: ჩვენ არა მარტო XX საუკუნის ოციანი წლების პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მემკვიდრეები ვართ, არამედ, რაც მთავარია, 3000-წლიანი ქართული სახელმწიფოსი...

მჯერა, რომ კაცობრიობის ცხოვრებას რაღაც იდუმალი, ტრანსცენდენტალური ძალა წარმართავს და თუკი ჩვენმა ხალხმა შეძლო ამ ძალის ეროვნულ სულისკვეთებად, ეროვნულ ენერგიად, ეროვნულ ნებისყოფად გარდაქმნა, ანუ მოუძებნა ყველაზე პრაქტიკული, ამქვეყნიური, გადამრჩენი იმედი, რატომ უნდა ჩავიქნიოთ ხელი და რატომ არ უნდა ვუცქიროთ იმედით ხვალინდელ დღეს?..

## TV პროგრამა

1 მაისი

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **08.30** მულტსერიალი **09.00, 12.00, 15.00** კურიერი **09.20** მულტფილმი **11.00** ლუისი და კლარკი **12.20** "სიმფსონები" **12.50** მხ. ფილმი **15.20** ველური სამყაროს ამბები **16.10** მხ. ფილმი **17.05** "დისკავერი" **18.00, 01.00** კურიერი **18.20** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **19.00** დოკ. ფილმი "თანამედროვე ტექნოლოგიები" **19.30** სერიალი "სერიული მკვლელობები" **21.00** კურიერი PS **22.00** საოჯახო ტოტო **23.00** "ფსიქო": მხ. ფილმი "წამყვანები". რეჟ. კენ ლოუჩი. **01.20** მხ. ფილმი "უნივერსალური ჯარისკაცი". მთ. რ-ში: ჟან კლოდ ვანდამი.

### პირველი არხი

**08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.00** მოამბე **08.10** მხ. ფილმი **10.00** დილის პაემანი **11.05** მხიარული კარუსელი **11.35** მოგზაურობა სასიტყვეთში **12.20** მხ. ფილმი "წინააღმდეგობა" **13.50** დოკ. ფილმი "საგნების ისტორია" **14.00** სერიალი "ნაპოლეონი და ევროპა" **15.15** მხ. ფილმი "გრაფი მონტე-კრისტო" 5-6ს. **17.00** ისტორიანი **17.30** ტელეთამაში "იმღერე რამე" **17.55** ფეხბურთი. თბილისის "ლოკომოტივი" - "დილა" **20.35** ცაიტნოტი **21.55** ფორტუნა **22.35** "სტუმრად მსახიობთა სტუდიაში" **23.30** მხ. ფილმი "ადამიანი მატარებლიდან"

### პირველი სტერეო

**07.30** მუსიკა **10.00** ტოროლა **13.00** ქართული მუსიკა **15.00** ინფორმატორი **16.00** ფილმი "ქალი მუშკეტერი". 1-ლი ნ. მთ.რ-ში ჟერარ დეპარდიე, ნასტასია კინსკი. **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **03.00** "ბრავო" "მოვლენა" მთ. რ-ში პარკერ პოუზი, ოლიმპია დუკაკისი

### მზე

**09.00** მულტფილმი "მხიარული მელოდიები" **10.20** საბ. სერიალი "მომხიბლავი პრინცი" **11.30** საუბრები ბიზნესის შესახებ **12.00** ფეხბურთი მზეზე **12.30** სერიალი "სენტიმენტალური ამბები" **13.30** დღის კინოდარბაზი **14.00, 17.15, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **16.00** დოკ. სერიალი "მსოფლიო კულტურის საგანძური" **16.30** ფეხბურთი. პრემიერ ლიგა. "არსენალი"-"ბირმინგემი" **18.30** მზერა ლაზეთიდან **19.00** სერიალი "ქვეყნის კიდეზე" **20.30** ფეხბურთი მზეზე **21.00** მხ. ფილმი "მოკალი ბილი" (უმა თურმანი) **23.00** მხ. ფილმი "როზენკრაცი და გილდენშტერნი" (ტიმ როტი))

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი **19.30** ჯანმრთელობა **20.00** მხ. ფილმი "როგორ მოიშორო მეზობლის ძაღლი" **21.45** გლობუსი **22.15** მხ. ფილმი "ბოროტმზრახველთა ასოციაცია"

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "უჩინარი" **14.00** მხ. ფილმი "რონინი" **16.00** მხ. ფილმი "თოვლის კაცი" **17.30** მხ. ფილმი "აზარტული თამაშები" **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** საბ. გადაცემა "ნაცნობი ადამიანების უცნობი წლები" **19.40** მუსიკა **21.00** მხ. ფილმი "გაიცანით ჯო ბლექი" **00.20** მხ. ფილმი "დაღამებიდან გათენებამდე"

### იმედი

**09.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00** ქრონიკა **09.15** სერიალი "ტყუპები" **10.05** ანიმაც. ფილმი "მითიური მეომრები" **10.30, 18.00, 02.20** იმედის მელოდიები **11.00** "ნბა"-ს ჟურნალი **11.30, 01.50** ტვ-მარკეტი **12.00** საიმედო ლოტო (პირ. ეთერი) **12.30** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **13.10** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **13.35** არჩევანი თქვენ **15.15** მხ. ფილმი "გაზაფხულის 17 გაელვება" **16.30** პირველი ნახევარი **17.35** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **18.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **19.30** "ვაკაჭი-ნიუსი" **20.00** ქართ. სერიალ "ყავა და ლუდი" **21.00** სერიალი "მართლმსაჯულების 18 ბორბალი" **22.00** ქრონიკა **22.30** კლიპ-ლოტო **23.50** ეროვნ. საკალათბურთო ასოციაცია -პლეიოფი

### არხი

**09.00** საინფორმაციო დაიჯესტი **09.30** ფილმი "პიფ-პაფ, ვაი, ვაი" **11.50** მუსიკა **12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00** საინფ. გამ. "დღეს" **12.10, 16.10, 18.10, 22.30, 00.20** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **12.20** მხ. ფილმი "გაიტაცო 60 წამში" **14.10** ბოევიკი "ბაზა" **15.45, 02.25** მუსიკა **16.20** მულტფილმი **17.40** დრამა "აქ მდინარე მიედინება" **19.45** კომედია "სიყვარული წესებით და წესების გარეშე" **23.00** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.20** "Слово" **00.40** მხ. ფილმი "რიპლის თამაში" **03.00** კომედია "ცამდე მიღწევა"

### ОРТ

**07.00, 11.00, 19.00** Новости. **07.10** Ролан Быков в фильме **"ПОСЛЕДНЯЯ РЕЛИКВИЯ"** **09.00** Праздничный информационный канал. **11.10** ПЕСНЯ ГОДА. Финал. Часть 1-я. **13.40** мультипликац. боевик **"Приключения Флика"**. **15.10** "КВН-2004". Высшая лига. Третья игра сезона. **17.30** "Ералаш". **17.50** Михаил Ефремов в фильме **"ФРАНЦУЗ"** 1 с. **19.10** Михаил Ефремов в фильме **"ФРАНЦУЗ"**. 2 с. **20.10** "Кривое зеркало". Евгений Петросян представляет... **22.00** Время. **22.20** "Кривое зеркало". Продолжение. **01.00** Киану Ривз в супербоевике **"СКОРОСТЬ"** **02.20** Нэнси Трэвис в триллере **"КРАСНАЯ РОЗА"** 1-я серия. **03.50** Джеймс Кэгни в фильме Милоша Формана **"РЕГТАЙМ"**

### НТВ

**06.50 Роджер Мур в фильме "ВИД НА УБИЙСТВО"** **09.00, 13.00, 17.00** Сегодня. **09.20** "Улица Сезам". **09.45** "Та-ра-рам!" **10.00** "Без рецепта". Доктор Бранд. **10.30** Обозреватель. **11.05** "Кулинарный поединок". Праздничный выпуск. **12.00** Квартирный вопрос. **13.20** "Дикий мир: тонет енот". Экспедиция Тимофея Баженова. **13.55** Вкусные истории. **14.00** Стив Guттенберг в комедии **"ПОЛИЦЕЙСКАЯ АКАДЕМИЯ-3: ПОВТОРНОЕ ОБУЧЕНИЕ"** **15.50** Криминальная Россия:. убить по-американски **17.20** "Женский взгляд". "Университеты Нины Архиповой". **17.55 Сериал "КАМЕНСКАЯ: ШЕСТЕРКИ УМИРАЮТ ПЕРВЫМИ". 1 с.** **19.00** Своя игра. **20.00** "Личный вклад" **21.00** "Хорошо сидим!" с участием Олега Газманова, Лолиты и др. **23.15** Джереми Айронс в фильме **"А ТЕПЕРЬ, ДАМЫ И ГОСПОДА"** **01.45** Франсуа Озон. **"ЛЕТНЕЕ ПЛАТЬЕ", "МАЛЕНЬКАЯ СМЕРТЬ", "УВИДЕТЬ МОРЕ"** **03.35** Двое в городе. **04.00** "Ночные музы". "Стиль от..." Ренаты Литвиновой.

# 20 ათასი კოალა საფრთხეშია

მამუკა ქირია



ავსტრალიაში სერიოზული ეკოლოგიური პრობლემა წარმოიშვა. კენგურუს კუნძულზე (შტატი სამხრეთ ავსტრალია, ავსტრალიის კონტინენტის სანაპიროდან ახლოს) შემჩნეულია კოალების რაოდენობის სწრაფი ზრდა. უკანასკნელი 5 წლის მანძილზე კოალები თავიანთი გამრავლების ტემპის გამო პოპულარულები გახდნენ. მათი რიცხვი 5 ათასიდან 30 ათას ერთეულამდე გაიზარდა. კოალები ძირითადად ევკალიპტის ფოთლებით იკვებებიან. ამის გამო კენგურუს კუნძულზე მძიმე ეკოლოგიური პრობლემა შეიქმნა. კუნძულზე თითქმის გაშიშვლებული ევკალიპტის ხეებია, იუწყება როიტერი.

თუ ასეთი ტემპით გაგრძელდა ევკალიპტების განადგურება, შეიძლება საკვების უქონლობის გამო მთლიანად ამოწყდნენ კოალები და კუნძულსაც ეკოლოგიური კატასტროფა დაემუქროს.

ავსტრალიელი ეკოლოგები მიიჩნევენ, რომ კუნძულზე მცენარეული დისბალანსის აღმოფხვრა და კოალების გადარჩენა საბოლოო განადგურებისგან, მხოლოდ კოალების რაოდენობის შემცირებითაა შესაძლებელი. ფიქრობენ, რომ ამ პრობლემას 20 ათასი კოალას დახვრეტა მოაგვარებს.

უკვე განხორციელებულმა ხუთწლიანმა პროგრამამ, რომელიც ამ ცხოველების სტერილიზაციას და სხვადასხვა რაიონებში გადანაწილებას გულისხმობდა, შედეგი ვერ გამოიღო. გამოდის, რომ ამ ლამაზი ცხოველის მასიური ხოცვა გარდაუვალია და როგორც ზემოთ ვთქვით, მათი რიცხვი კუნძულზე 2\3-ით შემცირდება.

ავსტრალიის საზოგადოება სხვადასხვაგვარად ეხმაურება კოალების საკითხს, ამ მართლაც და ქვეყნის ერთ-ერთ სიმბოლოს და მიიჩნევს, რომ საკითხის ასეთი დაუნდობელი და სადისტური გადაწყვეტა ნეგატიურ შედეგებს მოიტანს, ქვეყნის იმიჯს შელახავს და ტურისტების ნაკადს შეამცირებს, რაც ქვეყნის ეკონომიკას დააზარალებს.

მეორე მხრივ, თუ კენგურუს კუნძული ეკოლოგიურად განადგურდება, ტურისტები კუნძულს, მით უმეტეს, არ ესტუმრებიან. ორივე ვარიანტიდან საუკეთესო გამოსავალი მაინც კოალების რიცხვის შემცირებაა. კოალები უკვე შიმშილობენ და დრო აღარ ითმენს. გადაწყვეტილების მიღება უნდა დაჩქარდეს – აცხადებს ავსტრალიის დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი.

არსებობს ამ პრობლემის გადაწყვეტის კიდევ ერთი გეგმა, თუ უკვე დაგვიანებული არ არის. "ავსტრალიური კოალების ფონდის" გენარალური დირექტორი დებრი ტაბარტი აცხადებს, რომ საჭიროა სწრაფად გაიზარდოს ევკალიპტების რაოდენობა კუნძულზე, დაირგას დიდი რაოდენობით ასეთი ხეები. მაგრამ, ხეების დარგვა 6 წლის წინ რომ დაწყებულიყო, ახლა 7 წლიანი ნარგავები იქნებოდა და ასეთი ქაოსი არ იქნებოდა კუნძულზე. დებრი ტაბარტი ამ იდეის ჩაშლას მთავრობას აბრალებს და მთელ პასუხისმგებლობას მოსალოდნელ კატასტროფაზე მას აკისრებს. გარდა ამისა, ეს ბუნების კანონებში უხეში ჩარევაა და კოალებს უნდა მისცენ გამრავლების და მოქმედების ბუნებრივი პირობები.

# "ტერმინატორები" და "ტარაკანა-ვირთხები" რეალობაა



მამუკა ქირია

პენტაგონი და აშშ-ს ნაციონალური სამეცნიერო ფონდი "ტერმინატორებზე" და "ტარაკანა-ვირთხებზე" ნაშრომების მოგროვებას და მათ ამოქმედებას აფინანსებს. პენტაგონმა სააგენტო DARPA-ს მეშვეობით უკვე დააფინანსა სამეცნიერო შრომების განხორციელების და შემუშავების პროგრამები. საუბარია, ისეთი სიცოცხლისთვის საშიში დავალებების შესრულებაზე, რომელზეც ადამიანს ნამდვილად არ მიუწვდება ხელი. ამას მხოლოდ მცირე ზომის განსწავლული რობოტები შეძლებენ, რომლებიც ფორმით და მოძრაობის მანერებით "ტერმინატორებს" და "ტარაკანა-ვირთხებს" წააგავენ.

მაგალითად, ამერიკის ნაციონალურმა სამეცნიერო ფონდმა 5 წლის ვადით 2,6 მილიონი დოლარით მინოსეტას უნივერსიტეტის ის მკვლევარები უკვე დააფინანსა, რომლებიც მცირე ზომის, რადიოკავშირით უზრუნველყოფილ, კომპიუტერიზებულ რობოტებს შექმნიან. სავარაუდოდ, ასეთი რობოტები 10 სმ სიგრძის იქნებიან. მათ ექნებათ კოორდინაციის ცენტრი და სამოქმედო გეგმა, სპეციალური დავალებები რობოტჯგუფის თითოეულ წევრს, მართვის პულტი ადამიანის ხელში იქნება.

ამ გამოგონებას ძალიან დიდი დადებითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს. მაგალითად, ადამიანი კონკრეტული ოპერაციის დროს, თავისი ზომის გამო ვერ ლახავს რაღაც ბარიერს, რასაც ვირთხები და ტარაკნები ადვილად ახერხებენ; ასევე ტარაკანის თვისებები თუ გამოიყენეს, ისინი გარემოს ამოცნობის უბადლო ოსტატები არიან, რაც ბევრ პრობლემას მოხსნის; ასევე სიცოცხლისთვის საშიში ადგილების დაპყრობა, საშიშროების გაუვნებელყოფა და ა.შ.

სააგენტო DARPA-მ დააფინანსა მინი რობოტ "ტერმინატორის" კონსტრუქტირება და პროგრამული უზრუნველყოფის ამოცანა, რომლის უმთავრესი დავალება იქნება, სამაშველო-სამძებრო სამუშაოები, ასევე განაღმვისა და საშიში ნივთიერებების (მათ შორის რადიაციულად აქტიური ნივთიერებების) აღმოჩენა.

გათვალისწინებულია ისიც, რომ ასეთი სახის რობოტებს არ დაევალებათ რთული მაღალინტელექტუალური ამოცანები. 5 წლის შემდეგ შესაძლებელი უნდა იყოს ასეთი რობოტების მასიური გამოშვება-რეალიზაცია. რა თქმა უნდა, მათი ღირებულება კოლოსალური არ უნდა იყოს. ასეთი პროექტები ბევრ სიკეთეს მოუტანენ ჩვენს პლანეტას – აცხადებს პენტაგონი.

# "კომპიუტერული ბულიონი" კიბოს წინააღმდეგ



ებრაელმა მკვლევარებმა მინიატურული "სითხური" კომპიუტერი შექმნეს, რომელიც იკვლევს და კურნავს ადამიანის დაავადებებს, წერს ჟურნალი Nature. ეს "კომპიუტერი" ადამიანის დნმ-ს სხვა ბიოლოგიური მოლეკულების საფუძველზეა შექმნილი და არავითარი კავშირი არა აქვს ელექტრონულ მიკროსქემებთან.

ასეთი კომპიუტერის მუშაობის პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ ინფორმაცია დნმ-ს და რნმ-ს მოლეკულების შესახებ მუშავდება აპარატულ ნაწილში - ფერმენტში. სხვა სიტყვებით, მათ შორის მიმდინარეობს ქიმიური რეაქციები, რომლის პროდუქტიც არის ინფორმაციის დამუშავება. როგორც ვხედავთ, ამ პროცესს მუშაობის ისეთივე პრინციპი აქვს, როგორც პერსონალურ კომპიუტერს. გამოდის, რომ საქმე გვაქვს სითხეკომპიუტერთან, რომელიც დიდი რაოდენობით ინფორმაციას ატარებს მოლეკულების დნმ-ს და რნმ-ს სახით. სითხე დაავადებას სკანირებას უკეთებს და კურნავს მას.

ჯერჯერობით ეს კომპიუტერი ლაბორატორიაში იმყოფება, მაგრამ მომავლისთვის დაგეგმილია მისი გამოყენება კიბოს სამკურნალოდ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კიბოს სიმსივნეები გამოიმუშავებს სპეციფიკურ რნმ მოლეკულებს, რომელსაც ბიოლოგიური კომპიუტერი ამოიცნობს. კომპიუტერი ამ მოლეკულების საპასუხოდ დნმ-ს მოკლე ჯაჭვების სინთეზირებას დაიწყებს. ეს ჯაჭვები ჩართავს კიბოს უჯრედების განადგურების პროცესს. შესაძლებელია, სითხური (ბიოლოგიური) კომპიუტერი დაპროგრამდეს სხვა გენეტიკურ ანომალიებზე და დაავადებებზეც, თუმცა მანამდე ჯერ ბევრი რამ არის კიდევ დასახვეწი. შესაძლოა, არასწორმა გათვლებმა ადამიანის იმუნური სისტემა მნიშვნელოვნად დააზიანოს.

მინიატურული, "სითხური" კომპიუტერი ვეიცმანის ინსტიტუტის თანამშრომლის იეჰუდა შაპიროს ხელმძღვანელობით შეიქმნა. მასთან ერთად მუშაობდნენ ბიოლოგიის, მათემატიკის და კიბერნეტიკის უძლიერესი სპეციალისტები. გასულ წელს ეს მიღწევა გინესის წიგნში იყო შეტანილი, როგორც ყველაზე პატარა ბიოლოგიური გამოთვლითი მანქანა.

მსგავსი, მაგრამ გაცილებით ნაკლები ინფორმაციის მატარებელი მანქანა 1994 წელს შეიქმნა. მას შემდეგ ბევრი ჯგუფი მუშაობდა ბიოლოგიური მანქანის შექმნაზე, მაგრამ არა დნმ-ს და ფერმენტის დონეზე, როგორც ენერგიის წყაროზე. ვეიცმანელთა მანქანა ორიენტირებულია დნმ-ის ენერგიით მუშაობაზე.

ახალი ბიოლოგიური მანქანა, რომელიც "კომპიუტერულ ბულიონად" მონათლეს არის დნმ-ის სითხე და ერთი მილილიტრი ასეთი სითხე შეიცავს იმდენივე ინფორმაციას, რამდენსაც ტრილიონი CD-ROM. მწარმოებლობის მხრივ მილიონჯერ უფრო ძლიერია, ვიდრე ჩვეულებრივი პერსონალური კომპიუტერი, თუმცა მათ შორის განსხვავება ამოცანების შესრულების თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, დიდია.

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი-ინტერნეტი-ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: ჟ.შენგელაიას N70 ტელ:29-48-61

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24








## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.